# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 12 ნოემბერი 1998 №206 (741) ფასი 50 თეთრი



გუშინ მცხეთაში: თსუ — „ვიტ ჯორჯია“. კობა წიტაიშვილმა (№9) ბურთი ხარიხას მოარტყა, სტუდენტებმა დამატებაზე ვერ ივარგეს

## საქართველოს თასი მერვედფინალი

პირველი მატჩები

11 ნოემბერი, ოთხშაბათი

| | |
|---|---|
| დინამო | 0 |
| ლოკომოტივი | 0 |
| კოლხეთი | 3 |
| ტორპედო | 1 |
| დილა | 1 |
| ბათუმი | 2 |
| იბერია | 1 |
| სამგურალი | 1 |
| გორდა | 0 |
| სიონი | 0 |
| მერანი | 3 |
| ოდიში | 0 |
| თსუ | 2 |
| ვიტ ჯორჯია | 2 |
| კოლეჯი | 1 |
| არსენალი | 1 |

# ნუ ავაშენებთ ჯოჯოხეთს!

## სახიფათო ინსტინქტი: პოლიციამ ჟურნალისტებს ხელი შეახვია

ამ ქვეყანას, სადაც პოლიციელები სახალხოდ, ურცხვად, ამეტებით და, უფალო შეგვიწყალე, სადისტური სიამოვნებით სცემენ ჟურნალისტებს, სახელმწიფოდ ჩამოყალიბების უმცირესი შანსი აქვს. და თუ ეს დანაშაული, უფრო სწორად, დანაშაულებანი, ჩამდენთ, როგორც წესი, ახვივით შერჩებათ ხოლმე, ზემოთ ნახსენები შანსისგან არაფერი დარჩება.

პრესა საზოგადოების თვალია, ჟურნალისტების გამმეტებელიც ხალხისთვის თვალის გამომთხრელი ანუ საზოგადოების დამსახიჩრებელია, ეს კი ისეთი დანაშაულია, თუ ხელისუფალთ ჩვეულად წაუყრუეს, მალე ხელთ შერჩებათ ხეიბარი ქვეყანა, რომლის არც პრეზიდენტობას ექნება ფასი, არც პარლამენტის თავმჯდომარეობას, არც თავად პარლამენტარობას, არც სახელმწიფო მინისტრობას... უბრალო მოკვდავებად წოდებულ მოქალაქეთაც ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცევათ და მერე შინაურთა კვალად ჩვენგან ასე პატივდებული უცხოელებიც ამას იკითხავენ, საქართველოში სახელმწიფოს აშენებას აპირებდით და ჯოჯოხეთი რატომ გამოგივიდათო?

ყველაზე სახიფათო კი ის ინსტინქტია, თბილისის პოლიციის სპეცრაზმელებს „რეზონანსის“ კორესპონდენტი ლევკო ცქიტიშვილი ასე უმოწყალოდ რომ აცემინა. თუ ხელისუფლებამ ეს ინსტინქტი არ მოთოკა, იმ ავი ძაღლის პატრონის დღეში არ ჩავარდეს, საკუთარ ბინაში თუ ეზოში შიშით კედელ-კედელ რომ დადის და ერთხელაც იქნება, სხვებივით ისიც დაიკბინება.

*სარბიელელები*



REUTERS ლახტიდან

## საბანისს საბანი გასწვდა

### დღეს გიორგის ჯერია

93 ფინეთის ქალაქ ლახტიში მიმდინარე ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე დღეს 77 კგ წონის ათლეტთა ჯერი დგება და ფიცარნაგზე ევროპის ვიცე-ჩემპიონი ქართველი გიორგი ასანიძეც გავა.

გუშინ კი 62-კილოგრამიანმა ბერძენმა *ლეონიდას საბანისმა* 147,5 კგ აიტაცა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა.

## ფიორენტინა აპროტესტებს

იტალიური სერია A-ს ლიდერმა, „ფიორენტინამ“ მისი უეფას თასიდან გაძევება გაასაჩივრა. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის განცხადებით გუშინ, ოთხშაბათს შეტანილ საპროტესტო განცხადებას აპელაციათა კომიტეტი კვირას განიხილავს.

შეგახსენებთ, „ფიორენტინა“ უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალიდან სალერნოს სტადიონის ტრიბუნიდან ნასროლი პაკეტის აფეთქების გამო მოხსნეს. აფეთქებამ „ფიორენტინასა“ და შვეიცარიული „გრასჰოპერის“ შეხვედრის თანამსაჯი დააშავა.

პროტესტი აგებულია პოლიციის გამოძიების საფუძველზე. გამოძიებამ დაადგინა, რომ პაკეტი ისროლა არა ფლორენციელმა, არამედ სალერნოელმა გულშემატკივარმა და ესროლა არა თანამსაჯს, არამედ „ფიორენტინას“ ფეხბურთელებს, რომელთაც ერთი ხნის წინ ქვეყნის პირველობის შეხვედრაში „სალერნიტანა“ დაამარცხეს.

### კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური

B ჯგუფი

ცრვენა ზვეზდა 74:76 პანათინაიკოსი

D ჯგუფი

სამარა 59:71 ტიმსისტემი

პაოკ 65:69 ვილერბანი

თბილისი
11 ნოემბერი
14 საათი
ეროვნული
1000 (ტევადობა 75 000)

**დინამო 0:0 ლოკომოტივი**

**დინამო:** გვარამაძე, ზ. არჩვაძე, ჯელაძე, დიდავა, ლ. მიქაძე, ა. სახვაძე, კვარაცხელია (ალექსიძე 46), კიკნაძე, ცქიტიშვილი, დ. მუჯირი, აშვეთია
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, გ. შენგელია, ქემოკლიძე
**ლოკომოტივი:** დ. ჯანელიძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, ბარნოვი, თარხნიშვილი, კ. გოგოლაძე, კაციაშვილი, კოტორაშვილი (კ. მელქაძე 67), დაუშვილი, დ. გოდერძიშვილი (გიორგი ქორიძე 76), გ. ლუდუშაური (მ. მინდიაშვილი 86)
*სათადარიგონი:* დოლაბერიძე, ქვარცხავა, ხორგუაშვილი
**გაფრთხილება:** მიქაძე (84)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი), კ. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ე. სილაგავა (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ს. კუტივაძე

# მომავალ შეხვედრამდე, ვაკეში!

**ვახტანგ ბზიკაძე**

ზოგმა გაიხარა, ზოგი დალონდა, ზოგს ფეხებზეც ეკიდა, ვინ მოიგებდა. ბევრმა, ყოჩაღ, მახარაძეო, „ლოკომოტივის" მწვრთნელი შეაქო; ბევრმაც, ასეთი სუსტი „დინამო" არავის ყოლიაო, ჩემპიონთა დამრიგებელ მურთაზ ხურცილავას გარჯა დაუწუნა.

როგორ ვთქვა, მაგრამ არც ერთია საქები და არც მეორე სალანძღავი. ყველაფერი შედარებითია და იმიტომ. „ლოკომოტივს" მეოთხე მატჩია არც გაუტანია და არც გაუშვია. ოთხიდან საწყის და ბოლო მატჩში აქვს „დინამოს" ასეთივე შედეგი, შუაში კი ორი 1:0 გამოურია.

ერთი სიტყვით, „ლოკომოტივ" — „დინამოდან" „დინამო" — „ლოკომოტივამდე" გუშინდელმა მეტოქეებმა სულ ორი ბურთი გაიტანეს და ეს ორჯერვე ჩემპიონმა მოახერხა.

ლოგიკურად გუშინ უხვგოლიან მატჩს არავინ ელოდა, მაგრამ თუ „დინამო" ჩემპიონატში წართმეულ ქულებს რკინიგზელებს თასის გათამაშებაში არ ანანებდა, ბევრს არ ეგონა. „ლოკომოტივისგან" კი ჰა, ფრეს მოელოდნენ და ასეც მოხდა.

გუშინ გამარჯვებას არც ერთი იმსახურებდა. საამისოდ არც საკმარისი მონდომება ეტყობოდათ გუნდებს და არც თავდადება აჩნდათ.

ამ მატჩში თუ მაინცდამაინც გოლი უნდა გასულიყო, მაშინ ორივე კარში. თითო, ნალდი სახიფათო მომენტი ორივე გუნდს ჰქონდა. აღსანიშნი და გამოსაყოფიც ეს ეპიზოდები უფროა, დანარჩენი კი უკბილო იყო.

პირველად „დინამო" დაემუქრა ჯანელიძის კარს — დავით მუჯირმა გიორგი კიკნაძესთან კედელი გაითამაშა და „ლოკომოტივის" მეკარეს შორეულ კუთხეში აუჭრა ბურთი, რომელსაც ჯანელიძე ნახტომში დაეუფლა.

სტუმრებს შანსი 77-ე წუთზე მიეცათ. საჯარიმოს კუთხიდან შესრულებული თავისუფალი დარტყმისას დავით გვარამაძე გამოცვლაზე შეცდა, ბურთი გიორგი ლუდუშაურს მიუვიდა, ნახევარი კარი მაინც დაუცველი იყო, მაგრამ „პრუბეშას" ბურთი აეჭრა და ააცილა.

სულ ეს იყო და კიდევ რამდენჯერმე შორიდან დარტყმული ბურთი მოიგერიეს მეკარეებმა, გვარამაძემ ერთხელ ახლო თავურიც აუღო გოგოლაძეს, მაგრამ ამანაც სწორედ იქ დაურტყა, სადაც „კოშკა" იდგა.

საპასუხო მატჩი ვაკეში „26 მაისის" სტადიონზე შედგება. იქ, სადაც არც ბურთი დაგორავს და ვერც ფეხბურთელები დარბიან წესიერად. აბა, ნამდვილი საცოდაობა იქ იქნება. ნუ გაგიკვირდებათ, „დინამო" მეოთხედფინალს მიღმა დარჩეს. ვერც თავადაა დიდი ხვითო და, პენალტებამდე საქმის მიყვანა „ლოკომოტივსაც" შეუძლია.



ბადრი კოთილაძის ფოტო

დინამოს თამაში რატი ალექსიძის გარღვევებმა გამოაცოცხლა

ფოთი
11 ნოემბერი
14 საათი
ფოლადი
1 500 (ტევადობა 10 000)

**კოლხეთი 3:1 ტორპედო**

0:1 ჯანაშია (20), წივწივაძე (55), 2:1 კალანდაძე (82პ), 3:1 წივწივაძე (90)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, ქუტიძე, ტორჩინავა, ახვლედიანი, შალამბერიძე, გიორგობიანი, დ. ნოზაძე (ლალანიძე 46), კალანდაძე, გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე
*სათადარიგონი:* ჩემია, ბაჩილავა, გოროზია, კრასოვსკი, შავგულიძე
**ტორპედო:** ჭანტურია, ქებაძე (იმედაძე 76), ჩხაბერიძე, მალაკელიძე, შეყრილაძე, ჩხაიძე (ვაჩიბერაძე 83), კ. კვეტენაძე, თურმანიძე, იონანიძე, დ. ჯანაშია, ჩხეტიანი
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი, მეგრელაძე
**მსაჯები:** მ. მალალურაძე, ვ. ჩოჩიშვილი, ზ. დოლიძე (სამივე თბილისი); გ. ასკაროლლი (ქარელი)
**სფფ-ს დელეგატი:** გ. პეტრიაშვილი

# თამაში ორ ტაიმსაა

**იუზა კაციტაძე ფოთიდან**

ალბათ, გახსოვთ, ამ სამიოდე თვის წინ „კოლხეთმა" დიდი სირცხვილი ჭამა ქუთაისში, ჩემპიონატის მეორე ტურში 1:5 წააგო. ჰო და ფოთში სარევანშოდ ემზადებოდნენ. აქაურები ხელებს იფშვნეტდნენ, მართალია, ეს მატჩი სათასოა, მაგრამ „ტორპედოს" შავ დღეს vაყრით, ჩვენ ჭიას მაინც გავახარებთო. მოკლედ რომ ვთქვათ, გუშინ „ფაზისზე" ყველა საინტერესო „ჯახის" მოლოდინში იყო, ადგილობრივი გულშემატკივარიც და ქუთაისიდან სათაყვანო გუნდის მხარდასაჭერად აყრილი ფანობაც.

რა გითხრათ? პირველ ტაიმში კოლხებმა მაგრად კი გააწბილეს თავიანთი ქომაგნი. რის რევანში? თხუთმეტი წუთი პოზიციურ ბრძოლაში კი გაილია, მაგრამ მერე უპირატესობას სტუმრები დაეუფლნენ და პირველი სახიფათო შეტევაც მათ განახორციელეს. კოლხთა საჯარიმოში არეულობა შეიქნა. ამ არეულობაში წაქცეულმა ქუტიძემ, ნებსით თუ უნებლიედ, მაგრამ ხელით კი გამოიტანა ბურთი. არბიტრს ეს ან არ შეუნიშნავს, ან იქნებ შენიშნა კიდევაც, მაგრამ პენალტის დანიშვნა მკაცრ სასჯელად მიიჩნია. კარგი, ეს არაფერი. ოთხი წუთის შემდეგ ტორპედოელებმა მაინც ასიამოვნეს თავიანთ ახალ პრეზიდენტს. გიორგობიანმა საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს თავით უხეიროდ მოიგერია ბურთი და იგი ჯანაშიას ჩაუვარდა. ქუთაისელმა ოდნავ წინ წაიწია და საჯარიმოს კუთხიდან უძლიერესად დაარტყა. ქვაჩახია ამ ბურთის ასაღებად მზად არ აღმოჩნდა და ისიც კარის მარჯვენა კუთხეში შევარდა. მასპინძლებს ცივმა ოფლმა დაასხა. გოლს კოლხთა რამდენიმე უნაყოფო იერიში მოჰყვა. ჯერ ნოზაძემ, შემდეგ ტორჩინავამ დაარტყეს შორიდან, მაგრამ ააცილეს. მერე წივწივაძეს ჰქონდა ორი კარგი მომენტი, თუმცა პირველ შემთხვევაში მისი დარტყმული ჩხაბერიძეს მოხვდა ფეხზე და კუთხურზე გადავიდა, მეორედ კი წივწივაძემ ვარდნაში თავური დაარტყა კალანდაძის ჩაწოდებულს. აქ კი აუცდა. და მაინც, „ტორპედო" უფრო ახლო იყო მეორე ბურთის გატანასთან. მხოლოდ ორ მომენტზე გეტყვით. მე-40 წუთზე ქებაძემ მოედნის შუაგულიდან კარგად გაუჭრა იონანიძეს, რომელიც სტუმართა საჯარიმოში შევიდა და მეკარესთან პირისპირადაც დარჩა, მაგრამ ქვაჩახიამ აუღო. ორიოდე წუთში უკვე ქებაძემ ვერ გამოიყენა ჯანაშიას პასი, ისიც ერთი-ერთზე გავიდა ქვაჩახიასთან, მაგრამ ყველაფერი კუთხურით დამთავრდა.

თამაშის განახლებას მასპინძელთა კართან ერთი ხიფათიც მოჰყვა. მარცხენა ფლანგზე ჩხეტიანი ორ კოლხს დაუსხლტდა და კარში დარტყმაც მოასწრო, თუმც ქვაჩახია ამჯერადაც ადგილზე დაუხვდა ბურთს. ეს იყო და ეს. რამდენადაც საწყენი არ უნდა იყოს ტორპედოელთათვის, მეორე ტაიმის დარჩენილ დროში სტუმრებს ველარ იცნობდით. ეტყობა, ქუთაისელებს ცოდვამ უწია. თვეზე მეტ ხანს ხეირიანად უვარჯიშებლებს არაქათი რომ გამოლეოდათ, რა გასაკვირი იყო. მინდორზე „კოლხეთი" გაბატონდა და თამაშიც მისი კარნახით მიდიოდა. 52-ე წუთზე შეცვლაზე გამოსულმა ლალანიძემ შორიდან ძლიერად გაისროლა, ბურთი მცირედით გადასცდა ქუთაისელთა კარის ხარიხას. სულ მალე სტუმრები თავიანთი საჯარიმოს წინა ხაზიდან სამიოდე მეტრში დაისაჯნენ. შალამბერიძის ძლიერად დარტყმული კედელში გაძვრა, ჭანტურიამ ბურთი ახლოს მოიგერია, იქ კი წივწივაძე გაჩნდა და ზუსტად დაამატა - 1:1. დაცვაში ჩამჯდარ „ტორპედოს" ამის შემდეგაც ცუდი დღე ადგა. მე-60 წუთზე ლალანიძის ჩამოწოდებულზე ტანმაღალი ქუტიძე გავიდა, მაგრამ კარს ზემოდ გაგზავნა. ცოტა ხანში ლალანიძემ შორიდან თავად დაარტყა ანაზდად და სტუმრები ისევ გადარჩნენ, ბურთმა ძელს ჩაუქროლა. ქუთაისელთა ყველაზე სუსტი ადგილი დაცვის მარცხენა ფრთა იყო. სწორედ აქედან დაიწყო შეტევა ახვლედიანმა. იგი ადვილად გასცდა ჩხაიძეს, „ტორპედოს" შუაგულ საჯარიმოში შესული კოლხი შეყრილაძის ფეხს წამოეგო და წაიქცა. მალალურაძემ უმალ 11-მეტრიანი ნიშნულისაკენ მიათითა. ჭანტურია პენალტის დამრტყმელ კალანდაძეს მიუხვდა, მარცხენა კუთხისკენ გადახტა, მაგრამ ამაოდ. „ტორპედომ" გაბრძოლება სცადა, წინა ხაზის გასაძლიერებლად ვაჩიბერაძე გამოვიდა, მაგრამ ლონემიხდილ გუნდს ბევრის თავი აღარ ჰქონდა. თამაშის დრო იწურებოდა, როცა ლალანიძემ დაახლოებით 35 მეტრიდან მოულოდნელი ყუმბარისებური საფირმო დარტყმით ქუთაისელთა კარის ხარიხას გაარტყა, იქედან მობრუნებულს წივწივაძემ შეაგება თავური და „კოლხეთს" საპასუხო მატჩის წინ ორბურთიანი ფორა „გაუხერხა". უნდა ითქვას, რომ თამაშის ბოლო წუთებში კოლხთა გუნდის ქომაგთა ერთი ჯგუფი ქუთაისელთა გოლკიპერს აუხირდა, ტრიბუნებიდან უსაშველოდ აგინებდა. ჭანტურიაც არ დარჩენილა ვალში, ყურადღება ტრიბუნებისკენ ჰქონდა გადატანილი. იქნებ ამის ბრალიც იყო მესამე გაშვებული.

თბილისი
11 ნოემბერი
14 საათი
სინათლე
300 (ტევადობა 3 000)

**მერანი 3:0 ოდიში**

1:0 ხუციშვილი (45), 2:0, 3:0 ქორიძე (50, 68)
**მერანი:** ლომაია, დევიძე, ასპინძელაშვილი, ჯიშკარიანი, დანელია (ხარებავა 46), გეწაძე, გელა ქორიძე (ე. ალადაშვილი 80), ბაჯელიძე (ჭინჭარაული 74), მესხი, ხუციშვილი, დავითაშვილი
*სათადარიგონი:* ნაჭყეპია, ჩანადირი, ადეიშვილი
**ოდიში:** ნაყოფია, ღურწკაია, ჯაბუა, კიპაროიძე, იოსავა, ტაბალუა, თოლორაია, კუტალია, მარკოზია, თოლორდავა, ჯოჯუა (ცაცუა 68)
*სათადარიგონი:* გოგია, პ. ლურსმანაშვილი
**მსაჯები:** თ. მაჭარაძე (ხონი), ა. ორდენიძე (ონი), ლ. რაზმაძე (გორი), ზ. დარჩია (თბილისი)
**სფფ-ს დელეგატი:** ვ. მელაშვილი

# მერანმა ოდიშს ჩაუქროლა

**პაატა თოთაძე**

მძიმე დროება უდგათ ოდიშართ. ეს გუშინდელმა მატჩმაც ცხადყო. ზუგდიდელები თბილისს შესუსტებლი შემადგენლობით ესტუმრნენ. გარდა ამისა, ფეხბურთელები დედაქალაქის გზას დილის ექვს საათზე დაადგნენ. აბა, რაღა მოეთხოვება გუნდს, რომელიც წამყვანი ოთხი მოთამაშის გარეშე ბურთაობს და დანიშნულების ადგილას მატჩის დაწყებამდე ერთი საათით ადრეღა ჩადის.

სახიფათო მომენტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზუგდიდელები ასეთი ანგარიშით არ უნდა დამარცხებულიყვნენ — მასპინძლებმა ხუთი რეალური საგოლე მომენტიდან სამი შედეგიანად დაასრულეს, სტუმრებმა ოთხიდან — ვერც ერთი, თუმც ისინი იმდენ ხანს ფლობდნენ ბურთს, რამდენიც იმ ოთხი საგოლე მომენტის შესაქმნელად კმაროდა, ანაც მამუკა ნაყოფიას სჭირდებოდა ბურთის თამაშში შესაყვანად.

უპირატესობას მასპინძლები შეხვედრის პირველი წუთიდანვე დაეუფლნენ და მატჩის ბოლომდე არც გაუშვიათ ხელიდან, თუმც პირველ ტაიმში სტუმართა კარს მხოლოდ ორჯერ დაემუქრა ხიფათი და ერთი შედეგიანად დასრულდა. ეს ტაიმის ბოლო წუთზე მოხდა — ხუციშვილმა თავურით დააწინაურა თანაგუნდელები. მანამდე მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა. მასპინძლებს ბურთი სტუმართა საჯარიმომდე ადვილად კი მიჰქონდათ, მაგრამ შეტევების დაბოლოებისას სცოდავდნენ ანაც ნაყოფია ირჯებოდა კარგად.

მეორე ნახევარში თამაში გაიხსნა. ამიტომაც იყო სანახაობრივად პირველზე უკეთესი. ტაიმის დაწყებიდან ხუთ წუთში ქორიძემ ორამდე გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

შემდგომ თხუთმეტ წუთში სტუმრებმა სამი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს. ორჯერ კუტალიამ გაიყვანა მარკოზია დასარტყმელ პოზიციაზე, მაგრამ პირველ შემთხვევაში ოდიშართ მეცხრე ნომერს ფეხი დაუცდა, მეორედ კი მისმა დარტყმულმა ბურთმა ხარიხას გადაუქროლა. ერთხელაც ძელმა გადაარჩინა მასპინძელთა კარი თოლორაიას თავურისგან, მაგრამ ამ დროს მასპინძლებს მესამე გოლი უკვე გატანილი ჰქონდათ. ეს გოლიც გელაც ქორიძის ანგარიშზეა, ისევე როგორც მეორე.

ამრიგად, „მერანმა" 13 ოქტომბრის შემდეგ პირველად იმარჯვა.

გორი
11 ნოემბერი
14 საათი
ცენტრალური
2000 (ტევადობა 8 230)

**დილა 1:2 ბათუმი**

0:1 ფუტკარაძე (3), 0:2 მაქაცარია (81), 1:2 კაიდარაშვილი (87)
**დილა:** მდივანი, ფეზუაშვილი (ახალკაცი 75), რ. ხაჭაპურიძე, გ. ჩიტაია (ბ. ჩიტაია 62), გაგნიძე, გოჩაშვილი (დ. მაისურაძე 46), მარეხაშვილი, ციცქიშვილი, კაიდარაშვილი, თავაძე, შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* თ. ილურიძე, აკოფიანი, არუთუნიანი
**ბათუმი:** ტოგონიძე, ფუტკარაძე, აფხაზავა (მალაყმაძე 88), სიჭინავა, კანტიძე (მაქაცარია 7), ვერემჩუკი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, თორლაშვილი (კ. მეავანაძე 73), გადელია
*სათადარიგონი:* ნადირაძე, ყულეჯიშვილი, რომანაძე
**გაფრთხილება:** შატაკიშვილი (47), რ. ხაჭაპურიძე (73)
**გაძევება:** ტოგონიძე (88)
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ხუციშვილი (დმანისი)
**სფფ-ს დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

# მაყურებელი, ბათუმი, დილა: მსაჯმა მიჰქარა

**კონსტანტინე გოგიშვილი გორიდან**

მთავარმა მსაჯმა, როგორც კი შეხვედრა დაამთავრა, გორელმა მაყურებელმა ფეხბურთელები გასახდელში ტაშით გააცილა და როგორც მიმინო მსხვერპლს, ისე დაუდარაჯდა მსაჯთა ბრიგადას. მსაჯები კი, აქამდეც უგონოდ ნაგვემნი და გალანძღულნი, მოედნის ცენტრში განლაგდნენ და გასახდელისკენ აპარებდნენ სევდიან მზერას. ვინ იცის, ნახევარი ცხოვრებაც კი მიეცათ, ოღონდაც მაშინ იქ ყოფილიყვნენ.

ყველაფერი კი მეორე ნახევრის დაახლოებით შუაგულისთვის დაიწყო, როცა მეკარესთან ჰა და ჰა, ერთი-ერთზე გასული კაიდარაშვილი ბათუმელთა მცველმა წააქცია და შალამბერიძემ ჩვენი (და მაყურებლის) აზრით, აშკარა პენალტი არ დანიშნა.

მერე ჩვეულად აირია მონასტერი. მსაჯის თითქმის ყოველი გადაწყვეტილება საეჭვო და საკამათო გახდა, მაყურებელი ნერვიულობდა, ილანძღებოდა, იკურთხებოდა, ფეხბურთელებიც ასევე ერთი სიტყვით, გორის ცენტრალური სტადიონი ღუღდა და გადადუღდა.

მეორედაც დადებდა რისკიანი არბიტრი მასპინძელთა სასარგებლოდ პენალტს. ამჯერად ზღვისპირელთა საჯარიმოში ისეთი ალიაქოთი სუფევდა, რომელიღაც დაბნეულმა ბათუმელმა მცველმა ბურთს ხელი შეავლო და წამსვე დენდარტყმულივით გააგდო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს ბურთი მხოლოდ მოხვდა ხელზე სტუმარ ფეხბურთელებს, მაგრამ ერთხელაც ვიმეორებთ, რისკიანი მსაჯი დანიშნავდა ამ პენალტს. შალამბერიძეს რომ ორიდან ერთი თერთმეტმეტრიანი მაინც დაენიშნა, შეხვედრა უდავოდ უფრო დამშვიდდებოდა, იმის მიუხედავად, რა შედეგით დამთავრდებოდა.

მართალია, გორელ მატჩში სამი გოლი გავიდა, მაგრამ სამი ამდენი შეიძლებოდა, გასულიყო. მომენტები სტუმარ-მასპინძელს თავზესაყრელად ჰქონდათ. რად ღირს თუნდაც გაგნიძისა და კაიდარაშვილის თავურები, ციცქიშვილის, მაქაცარიას, მაჭუტაძის ერთი-ერთზე გასვლა, მარეხაშვილის, ფუტკარაძის, აფხაზავას ძელზე მორტყმულები და სხვა მრავალი. გასვლით კი, როგორც გითხარით, მხოლოდ სამი გოლი გავიდა.

ზემოთ ისიც მოგახსენეთ, მონასტერი მაშინ აირია, როცა არბიტრმა პირველი პენალტი არ დანიშნა-მეთქი, მაგრამ თამაში ამის შემდეგაც გრძელდებოდა — გორელები უტევდნენ, ბათუმელები თავს იცავდნენ და დროდადრო მწარედაც იჩხვლიტებოდნენ. წინ გამწესებული მაჭუტაძე არაერთხელ დარჩა ხელსაყრელ სიტუაციაში და ბურთის დაჭერაზე მეტად გამწვავებაზე რომ ეჭიქრა, უთუოდ დაამწუხრებდა გორელებს.

თამაშმა კი აზრი მაქაცარიას მდივანთან რიგით მეორე ძლევამოსილი სვლისა და ბათუმელთა ასევე რიგით მეორე გოლის შემდეგ დაკარგა. გოლი არც კი გაუტანიათ სტუმრებს, რომ მასპინძლები თანმსაჯს მისცვივდნენ, თამაშგარე რად არ აღნიშნეო და ერთი-ორი ქართლურადაც წაუტალეს. ეს ყველაფერი ღია კარების მტვრევას ჰგავდა. გოლი უკვე გავიდა, ჩაითვალა კიდეც და ამას აღარაფერი ეშველებოდა.

ფეხზალტირებული მაყურებელი დამცავ ღობეებს აეკრა, ორიოდე გულოვანი ზედ გადასვლასაც ეცადა, მაგრამ ბედად საქმეში გორის პოლიცია ჩაერია და ყოჩაღადაც.

შეხვედრის დასასრულის უმნიშვნელოვანესი მოვლენა „ტოგონიძის ექსცესი" გახლდათ. ყველაზე ნაკლები ბრალი ამ შემთხვევაში ბათუმელთა გაძევებულ მეკარეს მიუძღვის. ნიკამ მახვილი კუთხიდან პირისპირ შესული ახალკაცის დარტყმა კი გამოუყენებელყო, მაგრამ ბურთის დაჭერა არავინ დააცალა — ერთმა მეტოქემ ფეხები შეუბორკა, მეორე ზედ გადააჯდა და ამის შემდეგ ისედაც კარზე დაგეშილ კაიდარაშვილს მცველების ამარა დარჩენილ კარში გატანა როგორ გაუჭირდებოდა. ამის მერე იყო, გავეშებულმა ტოგონიძემ ლამის ცენტრამდე რომ სდია მსაჯს და უკნიდან ხელი კრა, წაბარბაცდა სხვა უარესს იზამდა. წითელი ბარათი კი ამად მიიღო ტოგონიძემ.

ორიოდე წუთში დასრულდა შეხვედრა და დაიწყო მსაჯების გოლგოთა. ხალხი მაშინ ვთულის ბადით შემოღობილ სამსაჯისკენ გასასვლელს შემოერტყა და ოთხმოცდაათი თუ არა ორმოცდახუთი წუთის მანძილზე ნაგროვები რისხვა და ნერწყვი ერთად დაატეხა არბიტრებს. ის კი არა, ლამის შიგაც შეუცვივდნენ უკიდურესობამდე დამფრთხალ მსაჯთა ოთხეულს. ისევ პოლიციამ იყოჩაღა და მკერდით და კბილებით დაიცვა შალამბერიძე და კომპანია.

სამტრედია
11 ნოემბერი
14 საათი
ეროსი მანჯგალაძე
400 (ტევადობა 15 000)

**იბერია 1:1 სამგურალი**

0:1 თევდორაძე (62), 1:1 ვ. გიგიაძე (82)
ლურსმანაშვილმა (12) და ფაიქიძემ (24) ვერ გაიტანეს პენალტი
იბერია: გ. დოლიძე, ნიკოლეიშვილი, გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, ი. გიგიაძე, თოდუა, ჩომახიძე, ფხაკაძე (ჩიქობავა 46), ვ. გიგიაძე, ივეჩიანი (ვარდიაშვილი 78), მუმლაძე
*სათადარიგონი:* ჩაჩუა, ბრეგვაძე, მესიაჩენკო, რ. ცომაია, ნ. გიორგაძე
სამგურალი: სტურუა, დ. ჯელიძე, ფრანგიშვილი, ჯავახაძე, გ. ჯანელიძე, ღონღაძე, მახვილაძე, ი. ხაჭაპურიძე, უგულავა (მ. ჯინჭარაძე 46), ფაიქიძე (თევდორაძე 61), ფილიპაშვილი (ძაგნიძე 46)
*სათადარიგონი:* ხაჩირაშვილი, კ. ჯანაშია, დარსაძე, ლ. ქობულაძე
გაფრთხილება: დოლიძე (41), ჩომახიძე (43), გ. ჯანელიძე (43)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი), ს. შალამბერიძე, ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი); ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)
სფფ-ს დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

**გიორგი ვაშაკიძე სამტრედიიდან**

საქართველოს თასის მერვედფინალის იმერული დერბი დასრულდა თუ არა, სამტრედიელი ქომაგნი კლუბის პრეზიდენტ ნუგზარ ნიკოლაიშვილს შემოეჯარნენ. გაგვაგებინეთ, რა ხდება გუნდში, ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთ ყველაფერი, ეს გუნდი მარტო თქვენი ხომ არ არის, მთელი ქალაქისაა, ჩვენია. საშველი რაშია, იქნებ გაგვარკვიოთო, ეუბნებოდნენ გულშემატკივრები იმდენად იყვნენ განაწყენებულნი, საყვარელ გუნდს კი არა, წყალტუბოელებს ემხრობოდნენ. დიახ, ბატონო, „სამგურალმა“ ანგარიში რომ გახსნა, მცირეოდენი მაყურებელიც მაშინ ახმაურდა.

„იბერია“ გასაჭირშია. ადრე გაუწყეთ, მწვრთნელი ბადრი ქორიძე გუნდიდან წასვლას აპირებსო. მორჩა, მე აქ გამჩერებელი აღარ ვარო, თქვა კაცმა სიტყვა და არც და არც გადათქვა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სამტრედიული გუნდი უმწვრთნელოდაა. „სამგურალთან“ სათამაშო თერთმეტეული ფეხბურთელებთან ერთად კლუბის პრეზიდენტმა (!) დაასახელა. უახლოეს ხანში გუნდში ახალი მწვრთნელი მოვა და ყველაფერიც მოგ-

# ნეტავ ვინ არის ის კაცი?

ვარდებაო. ოთხი სპეციალისტის ჩამოყვანაზეა ლაპარაკი, (ამირან მინაშვილი, ჯონი ჯანელიძე, ანზორ გძელიძე, ვალერიან ჩხარტიშვილი). მათგან რომელიც მისაღებად ჩათვლის ხელმძღვანელობის შეთავაზებულ პირობებს, მწვრთნელადაც ის დაინიშნება.

შეხვედრაზე რა უნდა ითქვას, იგი დუნედ წარიმართა. ინტერესის მხრივ თუ გაინტერესებთ, და დამაინტრიგებელი „სამგურალის“ თავკაცის გაიოზ დარსაძის ჩვეული, ენერგიული იყო. მან გორში მოგებული შემადგენლობიდან ძირითადის რვა კაცი დაასვენა, ამათგან შვიდი სათადარიგოთა შორის განამწესა, ხოლო თევზაძე განაცხადში საერთოდ არ იყო. დარსაძემ ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება. თავის მხრივ სამტრედიელებიც შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდნენ. როგორც ადრე გაუწყეთ, ხუჭუა და ამაშუკელი ისრაელში ეშურებოდნენ, საწადელიც აისრულეს და გუნდსაც გამოაკლდნენ. ისინი ექვსთვიანი არენდით არიან გუშვებულნი. თუ მოეწონათ. შემდეგ კონტრაქტზეც მოვილაპარაკებთო. ამაშუკელი „ბეით შანში“ მოწყობილა. კიდევ ერთი ჩვენებური, გელა ფანჩულიძე ბურთაობს, ხოლო ხუჭუა კი ეულად იქნება „ბნეი იეჰუდაში“, ესენი ორივე ისრაელის უმაღლესი დივიზიონის გუნდია.

პირველი სახიფათო შეტევა მე-12 წუთზე განხორციელდა. როდესაც ივეჩიანი საჯარიმოში აპირებდა შესვლას. იგი აკრძალული ხერხით შეაჩერეს და ლაცაბიძის სასტვენიც გაისმა. პენალტი მცველმა ლურსმანაშვილმა დაარტყა, სტურუამ კუთხე გამოიცნო და მარცხენა ცხრიანიდან ჩამოხსნა ბურთი. ვერგატანილმა პენალტმა მასპინძლები დაზაფრა, ქაოსურად მოქმედებდნენ, რითაც ისარგებლეს წყალტუბოელებმა, უფრო სწორად კი გაიოზ დარსაძემ, კონტრშეტევები გაამწვავეს. 24-ე წუთზე კი უკვე „სამგურალს“ მიეცა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, ასევე პენალტით. თავისავე წაქცევისათვის დანიშნული პენალტი ფაიქიძემ დაარტყა, ამჯერად უკვე გუბაზ დოლიძემ იმარჯვა, მანაც გამოიცნო კუთხე და ლამაზ ნახტომში ბურთი ადგილზე გააქვავა. მომენტები ასე თუ ისე იქმნებოდა, სადაც უმეტეს წილად გამარჯვებულნი მეკარეები რჩებოდნენ, თუ არა და ორივე გუნდის თავდამსხმელები სცოდავდნენ საბოლოო დარტყმისას.

შეხვედრის არბიტრმა თამაზ ლაცაბიძემ, რომელმაც კარგადაც იმსაჯა, ჯიბეზე ხელი ორჯერ გაიკრა, როდესაც სამი ფეხბურთელი გააყვითლა. ჩომახიძე და გივი ჯანელიძე თუ ურთიერთშელაპარაკებისთვის დასაჯა, სამტრედიელთა მეკარე გუბაზ დოლიძე საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის მხოლოდ გააფრთხილა. ყველა წითელს ელოდა და ყვითელი რომ დაინახეს, გაოგნდნენ. საეჭვო სიტუაცია კი იყო, მაგრამ ლაცაბიძემ ბოლოს მითხრა, არც უნდა გამეფრთხილებინაო. ეს იყო და ეს. პირველი ტაიმი მორჩა 0:0.

61-ე წუთზე დარსაძემ ფაიქიძე თევდორაძით შეცვალა. წუთში მისი ბურთის შეხება და გოლი ერთი იყო. იგი პირისპირ გავიდა დოლიძესთან, პირველი დარტყმისას მეკარეს გაარტყა, უკუგდებულს იქვე ფეხი მიარტყა და 0:1... ამის მერე „სამგურალი“ გამართული ტექნიკით ბურთაობდა. გაიოზ დარსაძემ თავისი მითითებებითა და რჩევებით, რომ იტყვიან, გუნდს თამაში ასწავლა. მწვრთნელიც ასეთი უნდა. რომ არა ზვიად სტურუა, 72-ე წუთზე ვასო გიგიაძე ანგარიშსაც გაათანაბრებდა. მან ახლო მანძილიდან ორჯერ დაარტყა, ორჯერვე ვერ ააცილა მეკარეს. ვასო გიგიაძემ გოლი მაინც გაიტანა. ეს 83-ე წუთზე მოხდა. მანამდე „სამგურალს“ სახიფათო ჯარიმის შესრულების უფლება მიეცა. გაიოზ დარსაძემ ყველა იქ მყოფის გასაგონად შეგირდები შეაგულიანა — „აბა, ბიჭებო, აბა, ბიჭებო, თქვენ იცით“. ბიჭებმა კი უაზროდ გაითამაშეს, კაცი ვერ გაიგებდა, რა სურდათ. ჰოდა, წამოიღო „იბერიამ“ ბურთი, სტურუასთან პირისპირ გასულმა ვასო გიგიაძემ ადვილად ჩამოიცილა იგი, კარში დაარტყა. ბურთს დათო ჯანელიძე გაეკიდა, ფეხი აუცდა, წაიქცა, ბურთი კი შეგორდა კარში 1:1. ამან დარსაძე გააცეცხლა. იგი ადგილს ვერ პოულობდა.

ბოლოსკენ ლაცაბიძემ წყალტუბოელი ფეხბურთელი დააჯარიმა, ამაზე დარსაძემ მსაჯს შეუყვირა. ლაცაბიძემ უთხრა, ადგილას დაჯექიო და დარსაძეც მორჩილად დაჰყვა მსაჯის ნებას.

ასე რომ, საპასუხო იმერული დერბი წყალტუბოში ბევრ საინტერესოს გვპირდება.

რუსთავი
11 ნოემბერი
14 საათი
ფოლადი
500 (ტევადობა 10 700)

**გორდა 0:0 სიონი**

გორდა: მ. ქორიძე, გაბელაია, კედელაშვილი (ლაბაძე 55), ბექაური, მ. სახვაძე, კილასონია, ტარტარაშვილი, ზირაქაძე, ჩუხუა (შ. კაპანაძე 62), ლ. ალადაშვილი, კ. ალადაშვილი
*სათადარიგო:* მებურიშვილი
სიონი: ვოლკოვი, დ. სვანიძე (კ. გოდერძიშვილი 78), დ. სულთანოვი, ყიფშიძე, გაგუა (ძნელაძე 73), გ. ჯაფარიძე, ჩალაძე, მაზანაშვილი, ქობელაშვილი, დ. ჯაფარიძე, მოსეშვილი (ფ. არჩვაძე 63)
*სათადარიგო:* დალაქიშვილი
გაფრთხილება: გ. ჯაფარიძე (19)
მსაჯები: ს. კახიანი, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), დ. თოდუა (მარტვილი); გ. მგელაძე (თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: თ. ფანიაშვილი

**ხვიჩა სანიკიძე რუსთავიდან**

— ლაშ! — დაუცაცხანა შეხვედრის ბოლო წუთზე „გორდას“ თავკაცმა იასონ ალადაშვილმა საკუთარ ვაჟს, რომელსაც, ალბათ, მატჩამდე აქტიური თამაში და გოლის გატანა დაავალა. სამწუხაროდ, დღევანდელ ქართულ ფეხბურთში ასეთი რამეების გაკეთება ბევრს ნიშნავს.

„სიონის“ მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ კი, ეტყობა, სულ სხვა დარიგება მისცა მოსეშვილის ნაცვლად მინდორზე შესულ ვაჟიშვილს, ფრიდონს — მოედნის შუაგულში ბურთი დიდხანს დაიჭირე და მცველებსაც მიეხმარეო.

აქამდე არც მივიდოდა საქმე, რუსთაველები თამაშზე რომ არ დაეყაბულებინათ. დიახ, ისევ ნაცნობი სურათი დაგვხვდა მატჩის წინ „ფოლადზე“ მისულებს. მოედანზე მხოლოდ ბოლნისელები ვარჯიშობდნენ, გორდელები კი კუთვნილ ფულს ითხოვდნენ და გასახდელიდან ფეხს არ იცვლიდნენ. ჰოდა, გამოჩნდა ამ დროს „გორდას“ პრეზიდენტი ვალერი ქოქიაშვილი, მსაჯებს თავიანთი თანხა ჩაუთვალა, ხოლო ფეხბურთელებს აღუთქვა, თვის ბოლომდე ყველას ვალს გაგისტუმრებთო. რუსთაველებმაც ჯანდაბას, ერთხელაც ვითამაშებთო და ატყდა ფაცაფუცი. ამასობაში კი 14 საათიც გამხდარიყო და შეხვედრაც 10 წუთის დაგვიანებით დაიწყო...

# მამაშვილობას, ბევრს არ გთხოვ...

მინდორზე მოთელვის გარეშე გამოსულმა „გორდას“ ფეხბურთელებმა პირველ ტაიმში ბევრი ვერაფრის გაკეთება შეძლეს, მაგრამ, სტუმართაგან განსხვავებით, მწვავედ კი იჩხვლიტებოდნენ.

პირველ ათ წუთში ვოლკოვმა ორჯერ იყოჩაღა. ჯერ ჩუხუას სახიფათოდ დარტყმული ბურთი მოიგერია, შემდეგ კი პირისპირ გასული კილასონია არ აჰეირა.

„სიონი“ კონტრშეტევებით ცდილობდა ფონს გასვლას, მაგრამ მასპინძელი მცველები საიმედოდ თამაშობდნენ.

37-ე წუთზე სტუმართა ვეტერანმა ქობელაშვილმა მოახერხა ხელსაყრელი პოზიციის შერჩევა და ოცი მეტრიდან ძლიერად გაისროლა ქორიძის კარისკენ. ბურთი მცირე მანძილით ასცდა მიზანს.

სამ წუთში კი ვოლკოვმა აუღო კილასონიას ასევე ძლიერად დარტყმული ბურთი.

შეხვედრის მეორე ნახევარი სანახაობრივად ურიგო არ გამოდგა. „გორდამ“ უფრო გამოაკეთა თამაში, მაგრამ 52-ე წუთზე აშკარა გოლს გადაურჩა. მარცხენა ფლანგიდან საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი ქობელაშვილმა თავურით დაუგდო თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მდგარ მოსეშვილს. ბახვამ დაბალი დაურტყა ქორიძეს, რომელმაც სიმწრით მოიგერია, დამატებაზე ქობელაშვილმა ბურთი ჯერ ხარიხას მოხვდა, შემდეგ შორეულმა ძელმა უკუაგდო.

ამ მომენტის მერე რუსთაველებმა რაღაც შტურმისმაგვარი მოუწყვეს ბოლნისელებს. ლაბაძის კარგი პასის შემდეგ კილასონიამ ცაციათი ეფექტურად დაარტყა. ბურთი ძელმა აისხლიტა, დამატებაზე კი ლაშა ალადაშვილმა ითამაშა უხეიროდ.

მე-60 წუთზე ზირაქაძემ კედელი გაუთამაშა კილასონიას და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ბურთი ხარიხას დაუმიზნა.

რამდენიმე წუთში კვლავ ვარლამ კილასონია დაემუქრა ვოლკოვის კარს. მინდვრიდან ნახევარი მეტრის სიმაღლეზე მყოფ ბურთს ოსტატურად მოუქნია. ბურთი მცველს შეეხო, მიმართლება იცვალა და კარის ძელს ახლოს ჩაუქროლა.

საინტერესო აღარაფერი მომხდარა. „სიონმა“ საპასუხო მატჩისთვის კარგი განწყობილება შეიქმნა, თუმც საკითხავია, უფულო გორდელები თუ ეწვევიან ბოლნისს?

მცხეთა
11 ნოემბერი
14 საათი
არმაზი
200 (ტევადობა 3 000)

**თსუ 2:2 ვიტ ჯორჯია**

0:1 ა. ბოკერია (58), 1:1 როსტიაშვილი (83პ), 1:2 ნოზაძე (88), 2:2 ბახტაძე (90)
თსუ: ბათიაშვილი, გ. ილურიძე, ზამთარაძე, კობიაშვილი, ნინუა (დეკანოსიძე 56), ცომაია, კაკუბავა, მაღრაძე, წიტაიშვილი (ბახტაძე 66), ჭუმბურიძე, როსტიაშვილი
*სათადარიგონი:* გაბელია, ებრალიძე, ო. სულაძე, ვ. ღუდუშაური, კ. სვანიძე
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, ზ. მენთეშაშვილი, ჭოხონელიძე, ჯ. მუჯირი, ქუთათელაძე, ა. ბოკერია (დ. დოლიძე 70), ზ. გვაზავა, ვ. მაისურაძე, ნოზაძე, მაზიაშვილი (თ. ბოკერია 78), გ. გვაზავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა, ლამბაშიძე, დვალიშვილი, აბაზაძე, ვ. გოჩაშვილი
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი, ა. მეშკოვი, ა. ქარქაშაძე, თ. ლორთქიფანიძე (ყველა თბილისი)
სფფ-ს დელეგატი: ნ. ამირეჯიბი

**ვანო ოქროპირიძე მცხეთიდან**

თსუ და „ვიტ ჯორჯია“ ბოლო ხუთ დღეში მეორედ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. შაბათს გამართული ეროვნული ჩემპიონატის მეცამეტე ტურის შეხვედრა, რომელიც თსუ-მ 1:0 მოიგო, ძალიან ულიმღამოდ და უინტერესოდ წარიმართა. აი, თასის მერვედფინალური მატჩი კი ვანსხვავებული აღმოჩნდა.

ამ თამაშში იყო ბრძოლა, სახიფათო მომენტები, ლამაზი გოლები და... ძალიან, ძალიან ცუდი მსაჯობა. თამამად შეიძლება ითქვას, არბიტრ ლევან ფანიაშვილის უპრინციპულობამ მატჩის შედეგზეც იქონია გავლენა.

წინა შეხვედრისგან განსხვავებით, მწვრთნელებმა შემადგენლობაში პატარა ცვლილებები მოახდინეს. გაბელიამ ზამთარაძე თავიდანვე ათამაშა, ხოლო მახარაშვილმა ქუთათელაძე, არჩილ ბოკერია და გია გვაზავა დააყენა სასტარტო შემადგენლობაში.

მატჩი „ვიტ ჯორჯიას“ მცირე უპირატესობით დაიწყო. მაისურაძემ და გია

# ფანიაშვილს არ ლორთქიფანიძეს შერცხვა

გვაზავამ შორეული დარტყმებით სცადეს გოლის გატანა, მაგრამ ბურთი ორჯერვე კარს ასცდა. ამის შემდეგ თსუ-მ შეუტია სახიფათოდ. ზამთარაძის ძლიერად დარტყმული ბურთი ჭურაძემ მოიგერია. მალე სტუდენტებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ნინუას შეუჩერებელი დარტყმით დასრულდა, მაგრამ ბურთი მცირედით ასცდა კარს. 30-ე წუთზე კაკუბავას შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ბურთზე ფეხი დაუცდა. ცოტა ხანში არჩილ ბოკერიამ სამი კაცი მოატყუა და კარგი პასით მენთეშაშვილი მეკარეს შეატოვა, მაგრამ ზურა დაიპნა, შეყოვნდა და მცველებმაც განმუხტეს მდგომარეობა. ტაიმის მიწურულს კი „ვიტ ჯორჯია“ გადაურჩა გოლს. ჭუმბურიძის ჩინებული პასით მაღრაძე მეკარესთან პირისპირ გავიდა, დაარტყა, მაგრამ ჭურაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია, იქიდან ჩაწოდებული წიტაიშვილმა თავით ხარიხას გაარტყა, ასხლეტილს მაღრაძემ დაამატა, თუმცა ორი მეტრიდან კარს გადააცილა.

მეორე ტაიმში პირველივე სახიფათო მომენტი გოლით დასრულდა. 55-ე წუთზე ვეტერინარებმა მწვავე კონტრშეტევა განახორციელეს — არჩილ ბოკერია ბათიაშვილთან პირისპირ დარჩა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. ამ გოლმა თსუელთა აღშფოთება გამოიწვია, გაბელია და მისი შეგირდები თამაშგარეს დაფიქსირებას მოითხოვდნენ, მაგრამ ამაოდ. ამან მსაჯობით მანამდეც უკმაყოფილო სტუდენტები კიდევ უფრო გაალიზიანა, თუმცა მალე დაწყნარდნენ და მეტოქეს გააფთრებით შეუტიეს. „ვიტ ჯორჯია“ საკუთარ ნახევარს მიეჯაჭვა და მხოლოდ თავის დაცვაზელა ფიქრობდა. თსუს შტურმი კი უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა. რამდენიმე მწვავე შეტევის შემდეგ 69-ე წუთზე კაკუბავამ გოლი გაიტანა, ოღონდ ფანიაშვილმა არ ჩათვალა, თამაშგარე იყოო. ამან მდგომარეობა კიდევ უფრო დაძაბა. თსუ-მ ტემპს უმატა. მახარაშვილმა საფრთხე იგრძნო და თავდამსხმელი აჩიკო ბოკერია მცველი დოლიძით შეცვალა. 72-ე წუთზე კარგად ითამაშა მაღრაძემ, ოთხი მეტოქე ჩამოიშორა და ჭუმბურიძეს დაუგორა, კახას დარტყმული ბურთი კი ბათიაშვილის ლუკმა გახდა. მალე ბახტაძე „ვიტ ჯორჯიას“ საჯარიმოში საეჭვოდ წაიქცა, მაგრამ ფანიაშვილმა ამას ყურადღება არ მიაქცია, სანაცვლოდ კი თსუელებისგან ერთი-ორი „ტკბილი“ სიტყვა მიიღო. მე-80 წუთზე გვაზავებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, გია გვაზავა ბათიაშვილთან პირისპირაც გავიდა, მაგრამ ბოლო მომენტში მიზანმა უმტყუნა. ცოტა ხანში ისევ თსუ-მ შეუტია. სტუდენტებმა ზედიზედ ოთხი კუთხური ჩააწოდეს. მეოთხის ჩამოწოდების შემდეგ ფანიაშვილის სასტვენის ხმა გაისმა. ყველას ეგონა, არბიტრი ან თსუ-ს დააჯარიმებდა, ან ოფსაიდს დააფიქსირებდა, მაგრამ მოულოდნელად პენალტი დანიშნა. არადა, საჯარიმოში არც არავის უუხეშია და არც ხელზე მოხვედრია ვინმეს ბურთი. ჭოხონელიძემ ბურთის დასარტყმელად ამხტარი მეტოქე დაქჩაო, აგვიხსნა არბიტრმა მატჩის შემდეგ. ვეტერინარები მსაჯს შემოეხვივნენ, მაგრამ გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს. პენალტი როსტიაშვილმა უნაკლოდ დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა. ორი წუთის შემდეგ მსაჯებმა ვიტელებს ისეთი შეტევა ჩაუშალეს, გაბელიაც კი აღშფოთდა, მიზეზი ისევ თამაშგარე იყო. 88-ე წუთზე ვიტელებმა ულამაზესი გოლი გაიტანეს. დოლიძის საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი გია გვაზავამ თავით ზურგს უკან, ნოზაძეს გადაუგდო, რომელმაც შეუჩერებლივ უძლიერესად დაარტყა და ვიტელები კვლავ დააწინაურა, თუმც მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე ვეტერინართა დაცვა უხეშად შეცდა, რითაც კარგად ისარგებლა ბახტაძემ და ახლოდან ანგარიში მეორედ გაათანაბრა — 2:2.

შეხვედრის შემდეგ ორივე გუნდის ხელმძღვანელობა აღშფოთებას ვერ ფარავდა მსაჯების მიმართ, ეგ კი არა, მეოთხე მსაჯი თამაზ ლორთქიფანიძე ამბობდა, ამათი შემყურე სირცხვილით სად დავმალულიყავი, არ ვიცოდიო...

ბათუმი
11 ნოემბერი
14 საათი
დინამო
500 (ტევადობა 20 000)

**კოლეჯი 1:1 არსენალი**

1:0 გველესიანი (32ს.კ.), 1:1 ტარიელაშვილი (44)
კოლეჯი: კუნჭულია, სიამაშვილი, შანიძე, ოქროპირიძე, გორჯელაძე, ევგენიძე, გ. ჩიჩუა (ჩახუნაშვილი 64), ქაცარავა, დარჩიძე, კოპიძე, გეთია (ჩხაიძე 8, ვ. ჩიჩუა 90)
*სათადარიგონი:* გასპარიანი, ბოლქვაძე, თევდორაძე, გალოგრე
არსენალი: ჩლაიძე, ფირცხალავა, დ. კაპანაძე, ვ. გველესიანი, გემეზაშვილი (ამირიძე 46), მ. მაისურაძე, ყოლბაია, ლაცაბიძე, შ.სულაძე, ხოსროშვილი (ქიქავა 27), ტარიელაშვილი (ლომიძე 90)
გაფრთხილება: ჩლაიძე (3), მაისურაძე (16), ევგენიძე (76)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი, გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი), ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)
სფფ-ს დელეგატი: ნ. კაკულია

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

„გურიას“ დემარშის წყალობით მერვედფინალში გასული ბათუმის „კოლეჯის“ მატჩი ნაკლებ ინტერესს იწვევდა...

თასის წინ ეტაპის შედეგების შემხედვარე, ალბათ, წესით და რიგით „არსენალს“ არ უნდა გასჭირვებოდა პირველი ლიგის საშუალო დონის ახალგაზრდული გუნდის ძლევა, მაგრამ თამაშმა სულ სხვა გვიჩვენა. მატჩის დაწყება და სტუმართა კართან ხიფათის შექმნა ერთი იყო. უკვე მეორე წუთზე მოედნის შუა ხაზის სიახლოვეს მიუტევებლად შეცდა ლიბერო კაპანაძე, ბურთი გეთიას ჩააბარა. ამან კი საჩუქარი შეირგო და კარისკენ ეულად დაიძრა. გზად საჯარიმოს წინა ხაზთან გამოსული ჩლაიძე ჩამოიცილა და ცარიელ კარში დასარტყმელად გაემზადა კიდეც, მაგრამ ლაცაბიძესთან ჭიდილში წაიქცა. დოგრაშვილმა მცველის უხეშობა ოდენ ჯარიმით გამოხატა. არადა, თუ წესის დარღვევა მართლაც იყო, მაშინ ბოლო იმედის ჯარიმისთვის ლაცაბიძე უნდა გაეძევებინა. გაძევებას ვინ ჩივის, ყვითელი ბარათის ჩვენებაც არ ჩათვალა მიზანშეწონილად. ჯარიმა თვითონ დაზარალებულმა დაარტყა და ჩლაიძეს მზადყოფნა შეამოწმა. ათი წუთის

# იარაღმა ორივე მხარეს გაისროლა

შემდეგ ზედიზედ ორჯერ დარჩიძეს მართებდა გატანა. პირველ შემთხვევაში ათიოდე მეტრიდან დარტყმულს ფირცხალავამ ფეხი დაუხვედრა და მდგომარეობა განმუხტა. წუთიც არ გასულა, რომ იმავე დარჩიძემ დიდებული დრიბლინგით გაიბრწყინა, საჯარიმოს წინ ორ მცველს მოხდენილად გასცდა, მაგრამ რად გინდა, მეკარესთან პირისპირ შესული ტექნიკამ დაალალატა და ბურთი ჩლაიძეს მიართვა. მატჩის ასეთ დებიუტს არავინ ელოდა. ამასობაში არმიელები გონს მოვიდნენ, ინიციატივა ხელთ იგდეს და შეუტიეს კიდეც, მაგრამ ქაოსური თამაშით ვერაფერი იხეირეს. შეხვედრა მოსაწყენი გახდა და კარგა ხანი ღირებული არაფერი შექმნილა, 32-ე წუთზე კი ბურთის ალმაცერმა უაზრო გორებას შეცვლაზე შესული ჩხაიძის აქტიურობამ მოუღო ბოლო. ჩლაიძესთან დაპირისპირებულმა პირველ ცდაზე ვერაფერი გააწყო, აი, ბურთთან მეორე შეხებას კი კარის გასწვრივ ჩაწოდება მოჰყვა, რომელსაც გველესიანი გამოუხტა და ბურთს საკუთარ კარში მიუჩინა ადგილი.

მოვლენების ასეთმა განვითარებამ სტუმრები ერთობ გაალიზიანა და მათ აქტიურ თამაშს ტაიმის ბოლოს საპასუხო გოლი მოჰყვა. მაისურაძის ფლანგურ შეტევას საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა. იქ კი მაღალ ბურთს ტარიელაშვილმა თავი შეაგება და მრავლისმნახველ ვეტერან კუნჭულიას ახლოდან გაუტანა. მეორე ტაიმი სანახაობრივად ბევრად უარესი გამოდგა, მხოლოდ ორი ეპიზოდის გახსენება თუ ღირს. პირველი, მატჩის განახლებისთანავე იშვა, ქაცარავას ზღვისპირელთა დაწინაურება შეეძლო, მაგრამ ჩლაიძეს ვერაფერი მოუხერხა. მეორე საგოლე მომენტი თამაშის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე სტუმრებმა შექმნეს. ხოსროშვილმა სულაძესთან კედელი გაითამაშა და პენალტის ნიშნულიდან კარგადაც დაარტყა, მაგრამ ამაოდ, კუნჭულიამ ლამაზ ნახტომში აუღო. 5 წუთში ევგენიძემ გოლიც გაიტანა. ოღონდ ეგ იყო, რომ თანამსაჯმა თამაშგარე დააფიქსირა და, ბუნებრივია, გოლიც არ ჩაითვალა.

# კალაძე დარბის და სარეაბილიტაციოდ ემზადება

უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანმა და შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში ფურორის მომხდენმა კიევის „დინამომ“ ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაშიც გამოაჩინა ბრჭყალები. თავიდან უკრაინელებმა უხეიროდ დაიწყეს. ბერძნულ „პანათინაიკოსთან“ სერგეი რებროვის პირველ ტაიმში გატანილ გოლს ელინებმა ორით უპასუხეს. შემდეგ იყო ფრანგული „ლანსი“, რომელთანაც შინ, ოთხმოცი ათასი ფანის მხურვალე მხარდაჭერის მიუხედავად, მხოლოდ ფრეს მიაღწიეს — 1:1. თითქოსდა ყველაფერი დაკარგული იყო და შარშანდელი ტრიუმფატორებიც მეოთხედფინალის მიღმა უნდა დარჩენილიყვნენ, მაგრამ ლონდონის „არსენალთან“ მოპოვებულმა ოთხმა ქულამ იმედის ნაპერწკალიც გააღვივა. „დინამოში“ ჩვენებური, საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა მცველი კახა კალაძე თამაშობს, ამ უკრაინული კლუბისადმი ჩვენი განსაკუთრებული ინტერესიც ამან განაპირობა. მას შემდეგ, რაც ვალერი ლობანოვსკიმ კალაძე იტალიელებთან თბილისის მატჩში იხილა, არც დაუმალავს — ეგ ბიჭი ჩემთვის მინდაო. სანადელიც აისრულა და მას შემდეგ კახა „დინამოს“ ძირითადში მყარადაა. ამ ხნის განმავლობაში კალაძემ უკრაინის ჩემპიონობის, თასის მოპოვება და გოლების გატანაც კი მოასწრო. მთავარი კი ზამთარში, ესენგეს ჩემპიონთა თასზე „დინამოს“ მიერ მოსკოვის „სპარტაკის“ სწორედ ჩვენებურის ერთადერთი გოლით დაჩოქებაა. კახა კალაძემ ჩემპიონთა ლიგაში წელს სამივე თამაშში შეუცვლელად ჩაატარა და სამი დღის უკან ინგლისურ „არსენალთან“ ბრწყინვალედ მოგებულ მატჩში იგი ძირითად შემადგენლობაში რომ ვერ ვიხილეთ, გულმა რეჩხი გვიყო, როგორც შემდგომ გაირკვა, ამის მიზეზი სერიოზული ტრავმა ყოფილა:



სარბიელის არქივიდან

კახა კალაძე კიევის „დინამოსა“ თუ საქართველოს ნაკრებში საიმედოა

— „არსენალთან“ შეხვედრამდე სამი დღით ადრე ჩემპიონატის მატჩში ცსკა-ს შევხვდით, ტრავმა მეორე ტაიმში მივიღე, კანჭის კუნთი გამიწყდა. მას მერე არც მივაჯიშია, ნემსებს მიკეთებდნენ, ფაქტობრივად, ვერც კი დავდიოდი. მკურნალობის პროცესი ღმერთის წყალობით ნორმალურად მიდის და ნელ-ნელა დავრბივარ კიდეც. თუ ყველაფერი კარგად დასრულდა, ფორმასაც მალე აღვიდგენ და 25 ნოემბერს „პანათინაიკოსთან“, ალბათ, კიდეც ვითამაშებ.

**— მაინც რა იყო მიზეზი გუნდის ასეთი ძლიერი თამაშისა, „არსენალი“ ხომ ყველა კომპონენტში დაჩაგრეთ?**

— უპირველეს ყოვლისა, ალბათ, კიევური პრესინგი და ფიზიკური მომზადება, რა თქმა უნდა, გულშემატკივართა მხარდაჭერაც.

**— მას შემდეგ, რაც „არსენალთან“ ოთხი ქულა აიღეთ, ჯგუფიდან გასვლის შანსი დიდია?**

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი, შანსი კიდევ არის. დარჩენილი ორი შეხვედრა „პანათინაიკოსთან“ და „ლანსთან“ უეჭველად უნდა მოვიგოთ. თუ ორივე დავამარცხეთ, პირველ ადგილზე გასვლაც რეალურია.

**— ეროვნული ნაკრების შესახებ რას გვეტყვი. რა მიგაჩნია ლატვია-საბერძნეთში განცდილი ფიასკოს მიზეზად და როგორ ფიქრობ, ქვეჯგუფიდან გასვლის იმედი კიდევ არსებობს?**

— ლატვიასთან პირველივე წუთზე გაშვებული გოლის მიუხედავად, ორი ტაიმის განმავლობაში ვუტევდით და ბურთი ვერ გავიტანეთ. ამაში, ალბათ, ფსიქოლოგიურმა მოუმზადებლობამ იჩინა თავი, რომელიც შემდეგ საბერძნეთშიც გადაგვყვა. რა თქმა უნდა, ლატვიასთან წაგება ძალიან მტკივნეულია, მაინც ლატვიაა. საბერძნეთშიც იგივე დაგვემართა. რაც შეეხება იმას, გვაქვს თუ არა ჯგუფიდან გასვლის შანსი, ვიტყვი, რომ გვაქვს, ისეთი შედეგები დაფიქსირდა, რომ დაკარგული არაფერია და ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ ბელგია-ჰოლანდიაში მოვხვდეთ.

**— ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად მერაბ ჟორდანიას არჩევასთან დაკავშირებით რას გვეტყვი?**

— ძალიან სასიხარულოა ბატონი მერაბის გაპრეზიდენტება. ვფიქრობ, ამით მთლიანად ქართულ ფეხბურთს და ნაკრებსაც ეშველება. გუნდი უფრო შეიკვრება და საქართველოს ნაკრებიც თავის შესაძლებლობებს კიდევ გამოავლენს.

**— კონტრაქტით კიდევ ორი წელი გაკავშირებს „დინამოსთან“, ალბათ, იქვე დარჩები. აქამდე ვინმე ხომ არ შეგხმიანებია?**

— როგორც იცით, ჩემი კონტრაქტი სამწლიანია. ერთი წელი დეკემბერში გავა, ასე რომ, ორი წლის შემდეგ თავისუფალი აგენტი გავხდები. აქამდე პირადად არავინ შემხმიანებია. ჯერჯერობით აქ ყოფნითაც კმაყოფილი ვარ. ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. კიევის „დინამო“ იმის ცდაშია, აქეთ იყიდოს ფეხბურთელები, თორემ მაქსიმოვის გარდა, არავინ გაუყიდია და არც აპირებს, ვინმე გაუშვას.

**— კახა, როგორც ვიცი, შევჩენკოსთან და რებროვთან ახლოს მეგობრობ?**

— არა მარტო მათთან, ყველასთან, გუსინი, ვაშჩუკი, ყველას ვერც ჩამოვთვლი. ერთს ვიტყვი, „დინამოში“ ყველანი ახლოს ვართ ერთმანეთთან, ძალიან მეგობრული, შეკრული გუნდია.

**— უკრაინაში მობურთალ ჩვენებურებზე რას გვეტყვი?**

— ახლა მთავარი ჩემპიონთა ლიგაა. ლობანოვსკის, რომ იტყვიან, ჩაკეტილები ვყავართ. ხშირადაც ამიტომ ვერ ვახერხებთ ურთიერთობას, ჩემპიონატის მატჩებზე ვხედავთ ერთმანეთს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# როდის ვიტყვით, არ გვინდა ფინიში?

არაერთხელ გვინახავს შესანიშნავი ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბურთი და მოედანი“, სადაც დიდებულად არის ასახული გულშემატკივრის ბუნება, დაუოკებელი სურვილი ქომაგობისა და მთავარი გმირის დაუვიწყარი ფრაზა — „არ მინდა ფინიში“! დღეს სულაც არ ვაპირებ ფილმის მხატვრულ ღირსებებზე საუბარს. უბრალოდ, მსურს, გულშემატკივრის მაშინდელი ყოფა ქართული ფეხბურთის დღევანდელობას დავუკავშირო. რამდენად აკლია დამოუკიდებელ ქართულ ფეხბურთს მაყურებელი, ჭეშმარიტი გულშემატკივარი. ამას ბევრი ახსნა არ სჭირდება. მიზეზი მრავალია. უმთავრესი, ალბათ, ჩემპიონატის დაბალი დონეა, რაც უპირველესად ჩვენი, ხშირ შემთხვევაში, გაუსაძლისი ყოფით აიხსნება. ორი ტურიც და მეათე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდება. თექვსმეტი გუნდი სატურნირო ცხრილში თავისი ოსტატობისა და მატერიალური პირობების გათვალისწინებით განლაგდება. დაიწყება ხანგრძლივი სამთვიანი შესვენება, მაგრამ გულიდან არავის ამოხდება — „არ მინდა ფინიში“! ესე იგი, არავის გაუჩნდება სურვილი ჩემპიონატის გაგრძელებისა. ყველა — მწვრთნელიც, ფეხბურთელიც და გულშემატკივარიც მომავლის იმედად დარჩება. უიმედოდ ჩვენი მტერი იყოს, მაგრამ აქ თავს იჩენს ერთი ყველასათვის გასათვალისწინებელი ფაქტორი, უფრო სწორად, ნოსტალგიის გრძნობა. ნოსტალგია ლამაზი სანახობისა, ფეხბურთისა, რომელიც გულშემატკივრებს აღაფრთოვანებს და პირთამდე აავსებს სტადიონებს. არადა, საქართველოში ოდითგანვე ასე იყო. ქართული ფეხბურთის საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე მას არასოდეს მოჰკლებია მაყურებელი, ქომაგი, რომელიც თავისი საფეხბურთო განათლებითა და ობიექტურობით არავის ჩამოუვარდებოდა. დადგა 1990 წელი. თარიღი, რომელმაც სათავე დაუდო საქართველოს დამოუკიდებლობას და მასთან ერთად განვითარების დამოუკიდებელ გზაზე გაიყვანა ქართული ფეხბურთი.

კარგად გავიხსენოთ 1990 წლის 30 მარტი. პირველი ეროვნული ჩემპიონატის პირველი მატჩი თბილისის „დინამო“ (მაშინ „იბერია) — ფოთის „კოლხეთი“, ეროვნული სტადიონის სავსე ტრიბუნები. სიტყვით ვერ აღიწერება ის დიდებული გრძნობა, რასაც მაშინ განვიცდიდით, გრძნობა ერთიანობისა და ერის მთლიანობისა. მაშინ დამარცხებული არავინ იყო, გამარჯვებული კი — ქართველი ხალხი და ქართული ფეხბურთი. გავიდა წლები, აგერ, უკვე მეათე ჩემპიონატს ვატარებთ, მაგრამ პრობლემები, რომლებიც პირველივე ჩემპიონატიდან თან გვდევს, გადაუჭრელი რჩება. ამ ხნის მანძილზე გუნდების გაძღოლის, ანუ კლუბების პრეზიდენტობის სურვილი ბევრს გაუჩნდა, ბევრმა იპრეზიდენტა კიდეც, მაგრამ მხოლოდ ლოკალური წარმატებებით შემოიფარგლა. დაპირებები, იცოცხლეთ, მრავალი მოვისმინეთ, როგორც ეს ხდება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, მაგრამ შედეგად დაცარიელებული სტადიონები და ევროპულ თუ მსოფლიო ასპარეზზე შელახული ავტორიტეტი მივიღეთ. როგორც ზემოთ ვთქვით, ამის მიზეზი მრავალია, სუბიექტურიც და ობიექტურიც, მაგრამ მისწრაფება უკეთესობისკენ მხოლოდ ურთიერთზე გადაბრალებით არ უნდა გამოიხატებოდეს. „განტევების ვაცების“ ძებნა საქმეს არ გამოასწორებს. საჭიროა, თითქმის ყველაფრის ახალი ათვლის წერტილიდან დაწყება. ამის საბაბს კი ჩვენი დღევანდელობა იძლევა, ანუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი ხელმძღვანელობა, რომელმაც თავისი მოღვაწეობა ახლის ძიებით და წარსულში სწორად გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით უნდა დაიწყოს. რამდენად მოახერხებს იგი ამას, მომავალი გვიჩვენებს. ნიშანდობლივია ისიც, რომ წლეულს პირველი წრე ძველი მეტოქეების — „კოლხეთისა“ და „დინამოს“ პაექრობით დასრულდება, გუნდებისა, რომელთა შეხვედრები უმეტესწილად უკომპრომისო ორთაბრძოლებში მიმდინარეობს. თუ სატურნირო ცხრილს გადავხედავთ და ბოლო ტურებში მათ მეტოქეებსაც გავეცნობით, კოლხურ-იბერიული საფეხბურთო შერკინება მართლაც ლიდერთა ორთაბრძოლად უნდა მოინათლოს. რამდენად გამართლდება ჩვენი იმედები, ამას თვით მატჩის მსვლელობა გვაჩვენებს. ქართულ ფეხბურთში არსებულ პრობლემებსა და ნაკლოვანებებზე დაუსრულებლად შეიძლება საუბარი. მთავარია, მათი გადალახვისა და აღმოფხვრის მიმართულებები სწორად დაისახოს. ამაზე ყველამ უნდა ვიფიქროთ, საფეხბურთო სამყარომ, ჟურნალისტებმა, გულშემატკივრებმა... მხოლოდ ერთიანი ძალისხმევით, აზრთა გაზიარებით და შეჯერებით თუ მივაღწევთ ასე ნანატრ და სასურველ შედეგს. ქართულ ფეხბურთს დაუბრუნდება გულშემატკივარი, აგუგუნდება სტადიონები — თბილისში, ქუთაისში, გორში, ფოთში, ბათუმში, ლანჩხუთში, სრულიად საქართველოში. დღეს კი კიდევ ერთხელ გავიხსენოთ წარსული, რვა წლის წინანდელი მატჩი „დინამო იბერია“ — „კოლხეთი“. ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი, წუთები, როცა გამარჯვებას ზეიმობდა ქართული ფეხბურთი. ცოტაც ვიოცნებოთ და წარმოვიდგინოთ ლიდერთა 26 ნოემბრის მატჩი. მაყურებელთა ომახიანი შეძახილები, ისეთი შეხვედრა, რომელიც ჩვენი ფეხბურთის ისტორიას შეეფერება, მატჩი, რომელმაც ყველას უნდა გაუმძაფროს ნოსტალგიის გრძნობა, რომელიც ჩემპიონატის განახლების მოლოდინს იოლად გადაგვატანინებს. მოკლედ, ძვირფასო გულშემატკივრებო, ის დროს გაუმარჯოს, როცა ქუჩაში იქნება თუ სამუშაოზე, სიცილში თუ ტირილში, ერთმანეთის მოკითხვისას ვიტყვით — როდის დაიწყება ეროვნული ჩემპიონატი, როგორ მენატრება ქართველების ბურთაობა და ერთად შემოვძახებთ — „არ გვინდა ფინიში!“ გაუმარჯოს ჯიგრიან, ლამაზ, უსასრულოდ გაგრძელებულ ქართულ ფეხბურთს.

**მიხეილ საბახტარიშვილი**

# ოთხიდან ერთი იალტას წავა



ქორიძემ თქვა და არ გადათქვა

სამტრედიის „იბერიაში რომ გაურკვევლობა სუფევდა, უკვე ისი მოგეხსენებათ, რომ ხალხი პრეზიდენტისგან ბევრ კითხვაზე ითხოვდა პასუხს, ამტომ გადავწყვიტეთ, „იბერიის“ პრეზიდენტ გავსაუბრებოდი. დათქმულ დროს, მატჩის შემდეგ მართლაც შევხვდით. აი, რა მოგვითხრო ნუგზარ ნიკოლაიშვილმა:

— მე ვფიქრობ გუნდში მდგომარეობა დღესდღეობით ნორმალურია. ბადრი ქორიძეს უთანხმოების გამო მოუხდა წასვლა. მწვრთნელი კი მალე გვეყოლება, ოთხი კანდიდატი გვყავს ჯონი ჯანელიძე, ანზორ გძელიძე, ამირან მინაშვილი და ვალერიან ჩხარტიშვილი. რომელიც მიიღებს ჩვენს შეთავაზებულ პირობებს და დაგვეთანხმება, ბუნებრივია მწვრთნელიც ის გახდება. თუმც გამოგიტყდებით, დიდი სურვილი მაქვს, ვახტანგ კოპალეიშვილი რომ იყოს ჩვენ მწვრთნელი, მაგრამ რას ვიზამთ. რაც შეეხება იმას, რასაც გულშემატკივარი მოითხოვს, ვიტყვი 51 პროცენტი ხომ მე მეკუთვნის, დანარჩენ 49-ს რა ვუყოთ? საყვარელი გუნდის ფანობა კარგი კია, მაგრამ აქეთ რომ გვდებენ ბრალს, თავიან გულებში ჩაიხედონ, გააკეთეს რამე, ან მოგვმართეს თხოვნით რომ ასე და ასე გუნდს შევეწევითო. მე იმაზეც კი თანახმა ვარ 10 პროცენტი წილად ჩემი იყოს, ის დანარჩენი 90 კი გულშემატკივრებისა, მაგრამ მეეჭვება რომ რამე გაკეთდეს.

ხუჭუას და ამაშუკელს რაც შეეხებათ, ისინი უკვე ისრაელში იმყოფებიან. ამაშუკელი ფანჩულიძის თანაგუნდელია „ბეით შანში“, ხოლო ხუჭუა „ბნეი იეჰუდაშია“. ორივენი ექვსთვიანი იჯარით არიან, თუკი მოეწონებათ კონტრაქტსაც გააფორმებენ. მე ისეთ საქმეს ვერ გავაკეთებ, რომ მერე მათი მშობლები და ახლობლები მომადგნენ და მითხრან, ბიჭებიო რატომ მოატყუეთო.

მჯერა, გუნდში ყველანაირი სიტუაცია მოგვარდება და ყოველგვარი პრობლემაც მოიხსნება. ჩემი დევიზი ასეთია: დღევანდელ დღეს ცხოვრების ნომინალური პირობები. თუ ვინმე უკმაყოფილო იქნება, მას კეთილად დავშორდებით მათთან. რა იყო მიზეზი ბადრი ქორიძის გათავისუფლებისა. კაცი რომ რვა თვის ხელფას წინასწარ აიღებ, ოთხი თვე იმუშავებ გუნდში და შედეგი არ გექნება... ასეთთან ვერ ვიმუშავებ, როგორც გინდათ, ისე გამიგეთ.

ახლა ჩამთავრდება პირველი წრე. ბიჭებს ცოტა ხნით თუ დავასვენებთ, რადგან... ცინცხალ ამბავს გეტყვით. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, ფაქსი უკვე მივილეთ. ყირიმის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ მიგვიპატიჟა იალტაში. 5-დან 25 დეკემბრის ჩათვლით გუნდი იქ გაივლის მზადებას. ნაყოფიერად ვივარჯიშებთ, ამხანაგურ შეხვედრებსაც გავმართავთ უკრაინულ გუნდებთან. ჯერ მარიუპოლის „მეტალურგს“ შევხვდებით, შემდეგ სიმფეროპოლის „ტავრიას“, ბოლოს კი ნიკოლაეველ არმიელებს გავეჯიბრებით.

**გიორგი ვაშაკიძე**



ნიკოლაიშვილმა უნდა აირჩიოს

**ამხანაგური მატჩი**

**სლოვაკეთი 1:3 პოლონეთი**

1:1 რეისი (56), 1:1 იანკულა (57), 1:2, 1:3 ვალჩიკი (66, 75)

პოლონელთა თავდამსხმელმა ვოიცეხ კოვალჩიკმა (№10) სლოვაკეთის დედაქალაქში მშვენივრად ითამაშა და მასპინძლები ორჯერ დაამწუხრა



REUTERS ბრატისლავიდან

# ბურთის 50 მაძიებელი

ხელი კვლავ რონალდო? ძნელი სათქმე-, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონატის საუ-ესო ფეხბურთელისგან მოულოდნელი ვერია. ძნელია, გამარჯვებულის დასა-ება. არავინ იცის, ვინ იქნება პირველი. ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალი ანს ფუტბოლი" 25 დეკემბერს ევრო-საუკეთესო ფეხბურთელს 44-ეჯერ გა-ლენს. ის დაეკითხება ევროპის ქვეყნე-სპორტულ გამოცემებს და ქულათა და-ის საზოგადოდ მიღებული სისტემის ედეგ ბებერ კონტინენტს, მასთან ერთად აფეხბურთო სამყაროს, ევროპის საუ-ესო ფეხბურთელის ვინაობას აცნობებს. ანდიდატი, როგორც წესი და რიგია, ოცდაათი ფეხბურთელია, რომელსაც დაპირველად თავად „ფრანს ფუტბო-" ასახელებს. ჟურნალისტებმა ევრო-საუკეთესო ფეხბურთელი სწორედ იმ მოთამაშიდან უნდა ამოირჩიონ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებამ ნდიდატთა შორის რვა ფრანგი ფეხბუ-ლის გამოჩენა განაპირობა. მათ შო-ა ნაკრების და ტურინის „იუვენტუ-" გამთამაშებელი ზინედინ ზიდანი, რო-ც გასული წლის რეფერენდუმში მე-გახლდათ. „ოქროს ბურთის" უპი-ლეს კანდიდატთა შორის ერთ-ერთი რედ ზიდანია.

ლუბებს შორის ყველაზე წარმომად-ლობითია ჩემპიონთა თასის მფლობე-მადრიდის „რეალი", რომელიც „ოქროს ბურთის" შვიდ კანდიდატს წარადგენს. ული სეზონის „ვერცხლის ბურთის" ლობელი, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ამწყვეტი გოლის ავტორი იუგოსლა-ლი პრედრაგ მიატოვიჩი, კვლავ მთა-ი ჯილდოს ძიებაშია.

ინგლისელთაგან „ოქროს ბურთის" მო-ვების ყველაზე დიდი შანსი ყმაწვი-ც მაიკლ ოუენს აქვს, თუმცა მის გა-რდა პრეტენდენტად დევიდ სიმენი და ტონი ადამსიც არიან დასახელებულნი. სხვათა შორის, ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი „არსენალი" „ფრანს ფუტბოლის" სიაში ხუთ მოთამაშეს წარადგენს ჰოლანდიელი ლეგიონერების დენის ბერხკამპის, მარკ ოვერმარსის და მსოფლიოს ჩემპიონ ემანუელ პიტის ჩათვლით.

1995 წლიდან მოყოლებული, „ფრანს ფუტბოლის" გადაწყვეტილებით ნომინანტთა შორის მოხვედრის შანსი არაევროპელ, მაგრამ ევროპაში მოთამაშე ფეხბურთელებსაც გაუჩნდათ. სწორედ ამ გადაწყვეტილების გამო მოხდა 1995 და 1997 წლებში „ოქროს ბურთი" ჯერ აფრიკელმა (ჯორჯ ვეა), შემდეგ კი სამხრეთამერიკელმა (რონალდო) ფეხბურთელებმა რომ მიიღეს.

წლეულს „ოქროს ბურთის" მოპოვების შანსი ცხრა სამხრეთამერიკელ მოთამაშეს მიეცა, რომელთა შორისაც არიან რონალდო, გაბრიელ ბატისტუტა, არიელ ორტეგა, ივან სამორანო, მარსელო სალასი. რობერტო კარლოსი, რივალდო და დენილსონი.

აფრიკას წლევანდელ რეფერენდუმში ერთადერთი ფეხბურთელი, ნიგერიის ნაკრების და ამსტერდამის „აიაქსის" მცველი სანდი ოლისე წარადგენს.

არის ერთი სიახლეც — კანდიდატთა შორის „ოქროს ბურთის" ისტორიის მანძილზე პირველად მოხვდა აზიელი ფეხბურთელი. ესაა იტალიის სერია A-ს კლუბ „პერუჯას" გამთამაშებელი, იაპონელი ჰიდეტოში ნაკატა.

25 დეკემბრამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება. დროგამოშვებით „ფრანს ფუტბოლი" სარეიტინგო მდგომარეობას გააცნობს ევროპას, მაგრამ მთავარს, „ოქროს ბურთის" მფლობელს, 25 დეკემბრის საზეიმო ცერემონიალამდე ვერვინ გაიგებს.



ოქროს ბურთის 1997 წლის ლაურეატი რონალდო

# ვოკალურ-სპორტული პერსპექტივა

„სელტიკი" ბრიტანეთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბია, „სელტიკი" შოტლანდიის ჩემპიონია, „სელტიკისა" და მეორე გლაზგოური გრანდის „რეინჯერსის" პაექრობა ერთ რამედ ღირს და საქვეყნოდ აქვს სახელი გავარდნილი, „სელტიკის" „პარკჰედის" სტადიონზე ბრიტანეთისთვის ძალიან ბევრი — 60 200 გულშემატკივარი ეტევა და თანაც მეტად ლამაზია, „სელტიკის" თამაშებს ბრიტანეთში ყველაზე მეტი ქომაგი ესწრება — ყოველ სეზონზე საშუალოდ 55 ათასი აბონიმენტი იყიდება, „სელტიკს" უამრავი ტიტული გააჩნია, მათ შორის ევროპის ჩემპიონთა თასი, რომელიც გლაზგოელებმა 1967 წელს დაისაკუთრეს, „სელტიკში" ბევრი დიდი ფეხბურთელი თამაშობდა. დღევანდელი ჩვენი წერილის გმირიც ერთ-ერთი მათგანია — კენი დალგლიში, უფრო სწორედ ის და პოპულარული ჯგუფის „სიმფლ მაინდსის" მომღერალი ჯიმ კერი.

ერთი შეხედვით ამ ორ ადამიანს საერთო არაფერი აქვს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით — ისინი ისევ და ისევ „სელტიკმა" გააერთიანა.

როგორც უკვე ვთქვით, დალგლიში ადრე ამ კლუბში გამოდიოდა, თანაც მეტად წარმატებულად. 1969 და 1977 წლების ინტერვალში ცნობილმა სქოთმა „სელტიკის" სახელით 324-ჯერ ითამაშა და მეტოქეთა გოლკიპერები 167-ჯერ დაამწუხრა. ამავდროულად, დალგლიშს ნაკრებში 102 მატჩი აქვს გამართული, რაც შოტლანდიის ყველა დროის რეკორდია. ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ კენიმ მწვრთნელობას მიჰყო ხელი. სულ ბოლოს იგი ქართველთათვის ყველაზე „ახლობელ" პრემიერლიგურ კლუბს „ნიუკასლ იუნაიტედს" წვრთნიდა, მაგრამ საინტერესო და სახარბიელო ვერაფერი შექმნა და სამი თვის წინ უმუშევარი დარჩა — მისი თანამდებობა წარსულში ასევე ცნობილმა ფეხბურთელმა, სურინამული წარმოშობის ჰოლანდიელმა რუდ გულიტმა დაიკავა. მას შემდეგ კენი დალგლიშის სახელი საფეხბურთო წრეებში ნაკლებად ისმოდა.

რაც შეეხება ჯიმ კერს, იგი ფეხბურთს არასდროს თამაშობდა. უბრალოდ, „სელტიკის" თავგადაკლული გულშემატკივარია, თანაც ბავშვობიდან. არც არის გასაკვირი, იგი ხომ გლაზგოელია.

ერთი სიტყვით, დალგლიშს და კერს „სელტიკთან" ბევრი რამ აკავშირებთ. ამასთან ერთად უფულობას არც ერთი უჩივის. მეტიც, ორივენი მილიონერები არიან. ჰოდა, ამას წინათ შოტლანდიის ჩემპიონის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ ფერგიუს მაკკენმა რომ თქვა, კლუბის აქციებს ვყიდი და ვისაც სურვილი და საშუალება აქვს გამომეხმაუროსო, სპორტულ-მუსიკალური დუეტიც ამოქმედდა.

ბრიტანული რადიოსადგურის BBC-ს შოტლანდიურმა განყოფილებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ მაკკენი „სელტიკის" აქციათა 51 პროცენტს ფლობს. იგი ამ აქციათა გაყიდვას მომავალი წლის მარტამდე აპირებს, რის შემდეგაც კანადაში ჰქონია ცხოვრების გაგრძელება გადაწყვეტილი. იმავე რადიოს თქმით, რაც ქვეყანას მაკკენის გადაწყვეტილება მოედო, თითო აქციის ფასი 30 პენსით გაიზარდა და ახლა 292 პენსს შეადგენს. საერთო ჯამში კი გარიგება 80 მილიონ გირვანქად, ანუ 132,8 მილიონ დოლარად არის შეფასებული, რაც იმას ნიშნავს, რომ კლუბის მომავალმა მფლობელმა, ჩვენს შემთხვევაში მფლობელებმა, სწორედ ეს თანხა უნდა გაიღონ.

რამდენიმე თვის წინ ჯიმ კერმა მაკკენი საშინლად გააკრიტიკა — გუნდს ძველებური სული ჩაუკლა, მხოლოდ ფულზე ფიქრობს და ამ კაცის „სელტიკში" გაჩერება არ იქნებაო. მომღერლის სიტყვების დასტურად მიმდინარე სეზონი იოჟეფ ვენგლოშის შეგირდებმა მართლაც უსუსურად დაიწყეს — ჩემპიონატშიც ვერ მისდით კარგად საქმეები და ევროტურნირებსაც ადრეულ ეტაპზე გამოეთხოვნენ, რამაც ქომაგებში ბუნებრივია, უკმაყოფილების გრძნობა გამოიწვია. მაკკენმაც, ალბათ, იფიქრა, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო და სასწრაფოდ განაცხადა, რომ აქციებს ჰყიდის. შემდეგ, როდესაც გაიგო, ჩემს ქონებას შეიძლება დალგლიში და კერი დაეპატრონონო, ისიც თქვა, აქციებს მხოლოდ მცირე ინვესტორებს დავუთმობ, რომელთა რიცხვი ათზე ნაკლები არ იქნებაო.



ჯიმ კერი

ეს იყო და საქმეში გულშემატკივრებიც ჩაერივნენ, რომლებსაც, რაღა თქმა უნდა, აწყობთ, რომ მათი საყვარელი გუნდი საიმედო ხელში აღმოჩნდეს და ერთგვარი დალგლიშ-კერის წყვილის მხარდამჭერი კამპანიაც გააჩაღეს. შედეგად საქმე სასიკეთოდ შეტრიალდა და ახლა გლაზგოს „სელტიკის" აქციათა 51 პროცენტის მომავალ მფლობელთა ყველაზე რეალური კანდიდატებიც ჩვენი წერილის გმირები არიან. რა და როგორ იქნება, ამას მარტამდე უეჭველად გავიგებთ, მანამდე კი ბილი მაკნილის სიტყვებით უნდა დავკმაყოფილდეთ. ეს ის კაცია, ვინც ადრე „სელტიკში" თამაშობდა, 1967 წლის ტრიუმფატორი გუნდის კაპიტანი იყო, ხოლო შემდეგ ამავე კლუბს სათავეში ჩაუდგა და ორი სეზონის განმავლობაში კენი დალგლიშის მწვრთნელიც იყო.

— ნაღდად არ გამკვირვებია, როცა კენის და ჯიმის გადაწყვეტილების შესახებ გავიგე, რადგან ვფიქრობ, რომ ორივე სულით სელტიკელია და მათი მოღვაწეობა და ერთგულება მომავალში გუნდს ძლიერ წაადგება. მნიშვნელოვნად მიმაჩნია ფანების ფაქტორიც. თუ მათ ამ ხალხის კლუბის სათავეში მისვლა სურთ, უნდა იაქტიურონ, რადგან გულშემატკივარი გუნდისთვის ბევრს ნიშნავს და მისი სიტყვაც ძვირად ფასობს. ჩემი მხრივ, ყველანაირად ვეცდები, კენის დავეხმარო. მას კარგად ვიცნობ, თანაც დიდი ხანია და მისი „სელტიკში" ყოფნა სხვა თუ არაფერი, გუნდს სოლიდურობას შემატებს.

**დავით ძოვზირიძე**



სარბიელის არქივიდან

კენი დალგლიში კერს შეუამხანაგდა და ორივე ერთად „სელტიკზე" ზრუნვას აპირებს

## რუსეთი

### თასის გათამაშების მერვედფინალი

რუსეთის ჩემპიონატი კი დასრულდა, მაგრამ იქაური ფეხბურთელები სეზონს აგრძელებენ — ორიოდ დღის წინ ქვეყნის პირველი და მეორე დივიზიონის რამდენიმე კლუბმა რუსეთის თასის მეოთხედფინალისტები გაარკვია.

ქვეყნის პირველობის ვერცხლის პრიზიორმა ცსკამ ჩემპიონატში ზედიზედ მოპოვებული გამარჯვებების შეწყვეტა არ ისურვა და ჩემპიონატის მეორე წრეში ზედიზედ 12 მოგების თასის გათამაშების მერვედფინალში ზეობაც დაურთო. არმიელებმა ტომსკის „ტომი" დაამარცხეს 2:1. მოსკოველთაგან მეორე ბურთი კლუბის ბომბარდირმა დმიტრი ხომუხამ გაიტანა.

მოსკოვის „დინამომ" დაძაბულ ბრძოლაში აჯობა ვლადიკავკაზის „ალანიას" 1:0. ამ გამარჯვებით დინამოელთა მწვრთველი გიორგი იარცევი იქნებ გადაურჩა კიდეც სამუშაოს დაკარგვას. თავდამსხმელმა ოლეგ ტერიოხინმა ერთდერთი გოლი 79-ე წუთზე შეაგდო. სხვათა შორის, მატჩის განმავლობაში ძალიან ციოდა, ტემპერატურა ნულის ქვემოთ იყო.

თასის გათამაშების მერვედფინალი ვლადიკავკაზელთათვის უიღბლო გამოდგა. ამ ეტაპზე გათამაშებას გამოეთიშა მეორე ვლადიკავკაზური კლუბი „ავტოდორიც", თუმცა მეორე დივიზიონელებმა შეხვედრა პენალტების სერიაში წააგეს. ვოლგოგრადში ფავორიტად მასპინძელი „როტორი" ითვლებოდა, შეხვედრას 3:0 იგებდა, მაგრამ ჩრდილოოსეთის კლუბმა გამონახა ძალა და გაათანაბრა 3:3. საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. „საფეხბურთო ლატარიად" წოდებულ შეჯიბრში კი „როტორმა" იმარჯვა 4:2.

სხვა მერვედფინალებს რაც შეეხება, დავით ყიფიანის ყოფილმა კლუბმა „შინიკმა", შინ, იაროსლავში, დამატებით დროში 2:1 დაამარცხა ნოვოტროცკის „ნოსტა" 2:1.

სოჭში მასპინძელი „ჟემჩუჟინა" სტუმართან ზედიზედ მეორედ განადგურდა. ამჯერად სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა" 4:1 დაამარცხა მასპინძელი, მანამდე კი სოჭელები პირველობის ბოლო ტურში ელისტის „ურალანმა" დაიბრიყვა — 6:2. სხვათა შორის, „ზენიტთან" შეხვედრისას ხშირი იყო არეულობები. ერთი-ორჯერ საქმეში ომონელთა ჩარევაც გახდა საჭირო. საბოლოო ჯამში კი არბიტრს ოთხი მოთამაშის გაძევება მოუხდა.

კიდევ სამ მერვედფინალში როსტოვის „როსტსელმაშმა" 1:0 დაამარცხა ქვედალიგელი პერმის „ამკარი", ტულაში „არსენალმა" 4:1 სძლია ლიპეცკის „მეტალურგს", ორეხოვო-ზუევოში კი ადგილობრივი „სპარტაკის" და რამენსკოეს „სატურნის" შეხვედრა ფრედ 0:0 დასრულდა. პენალტების სერიაში „სატურნმა" 4:1 იმარჯვა.

გუშინ რუსეთის ფეხბურთის კავშირში მეოთხედფინალის კენჭისყრა შედგა: ცსკა — შინიკი, ზენიტი — როსტსელმაში, როტორი — არსენალი, დინამო — სატურნი. მატჩები 1999 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

**ირაკლი ილაშვილი**

## პორტუგალია

X ტური

**ბრაგა 3:3 პორტუ**

1:0 სილვა (20), 1:1 ჟარდელი (22), 1:2 ზაპოვიჩი (28), 2:2 ბაპტისტა (64), 2:3 ჟარდელი (73), 3:3 დუარტე (78)

**სალგეირუში 1:1 ბენფიკა**

0:1 ჟოაო პინტუ (50), 1:1 რეისი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 10 | 7 | 3 | 0 | 16:4 | 24 |
| სპორტინგი | 10 | 6 | 4 | 0 | 18:6 | 22 |
| პორტუ | 10 | 6 | 2 | 2 | 24:11 | 20 |
| ბენფიკა | 10 | 5 | 3 | 2 | 16:7 | 18 |
| უნიაუ | 10 | 5 | 3 | 2 | 12:6 | 18 |
| ამადორა | 10 | 5 | 2 | 3 | 13:12 | 17 |
| სალგეირუში | 11 | 3 | 6 | 2 | 16:16 | 15 |
| ალვერკა | 10 | 2 | 6 | 2 | 10:13 | 12 |
| რიუ ავე | 10 | 3 | 3 | 4 | 9:13 | 12 |
| შავეში | 10 | 3 | 3 | 4 | 13:18 | 12 |
| სეტუბალი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:14 | 12 |
| ბეირა მარი | 10 | 2 | 4 | 4 | 7:12 | 10 |
| ბრაგა | 10 | 2 | 4 | 4 | 12:18 | 10 |
| გიმარაეში | 10 | 2 | 3 | 5 | 15:14 | 9 |
| კამპომაიორენსე | 10 | 2 | 3 | 5 | 12:16 | 9 |
| აკადემიკა | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 |
| მარიტიმუ | 10 | 1 | 4 | 5 | 10:14 | 7 |
| ფარენსე | 10 | 2 | 1 | 7 | 9:18 | 7 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| მარიო ჟარდელი (პორტუ) | 9 |
| აუგუსტინ აჰინფული (უნიაუ) | 6 |
| ნუნუ გომეში (ბენფიკა) | 6 |
| სელსო სილვა (სალგეირუში) | 6 |
| ელპიდიო სილვა (ბრაგა) | 6 |
| მონტანინი (კამპომაიორენსე) | 6 |

# ოდესღაც დიდი ყოფილა

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, რაინერ ბონჰოფმა, დანიშნეს თუ არა მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მწვრთნელად, გულშემატკივრები დაამშვიდა, დარწმუნებული ვარ ბუნდესლიგიდან არ გავვარდებითო.

— ჩაძირული გემი ველარ ამოტივტივდება, მაგრამ „ბორუსია" ჩაძირული გემი არ გახლავთ. მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა იგი მშვიდ დინებას დავუბრუნო — განაცხადა ფრიდელ რაუშის მემკვიდრემ.

ცხრილის ძირში მოქცეული, ოდესღაც თავმოყვარე გუნდი წინა მწვრთნელს, რაუშსა და მენეჯერს, როლფ რუსმანს ერთად გამოეთხოვა. მიზეზი საშინელი შედეგები გახლდათ: 2:8 ლევერკუზენის „ბაიერთან", 1:7 „ვოლფსბურგთან"...

არადა, რა დრო იყო! 1978 წელს მიონხენგლადბახელებმა მეზობელი დორტმუნდის სეხნია გუნდს, „ბორუსიას" 12:0 მოუგეს და ეს შედეგი დღემდე ბუნდესლიგის რეკორდია.

მიონხენგლადბახი გერმანიისა და ჰოლანდიის საზღვართან მდებარე პატარა ქალაქია, რომლის მცხოვრებნიც მარად ამაყობდნენ თავიანთი ფეხბურთის კლუბით. ამ კლუბის მუზეუმს 1970-იან წლებში ორჯერ მოპოვებული უეფას თასის ასლი და გერმანიის ჩემპიონის ხუთი ოქროს მედალი ამშვენებს. ამიტომაც გასაგებია გულშემატკივართა განრისხება, რომელმაც მწვერვალს „ვოლფსბურგთან" სამარცხვინო წაგების შემდეგ მიაღწია.

გაცეცხლებულმა ფანებმა „ბოეკელბერგის" სტადიონის გარშემო ყველაფერი დალეწეს. თავად სარბიელზე, მოედანს ირგვლივ შემოწყობილ სარეკლამო დაფათაგან ერთიც ვერ გადაურჩა დაფშვნა-დაქუცმაცებას. შეილანძლა გასახდელებისკენ მიმავალი გვირაბიც.

ქომაგთა ასეთ ქმედებას დაპატიმრებები არ მოჰყოლია, ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არავის არაფერი უცნობებია. პოლიციამ, ეტყობა, ძველის გამოძიებაზე მეტად ახლის თავიდან აცილებაზე იზრუნა და ამიტომაც მიავლინა საგანგებო რაზმი „ბორუსიას" საწვრთნელ ბაზაზე, სადაც კვირას უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი.

ჟურნალისტთა არმია რაუშის კომენტარს ეშურებოდა, თუმცა მან ერთ კითხვასაც არ გასცა პასუხი, თქვა აქაურობას ვტოვებო, ეს იყო და ეს.

მწვრთნელის ხშირ ცვლას მიონხენგლადბახში ჩვეულნი არ იყვნენ. ადრე კლუბი ამ მხრივ შესაშური სტაბილურობით გამოირჩეოდა: ოცდაორ წელიწადში სათავეში სამად სამი ადამიანი, ჰენეს ვაისვაილერი, უდო ლატეკი და იუპ ჰაინკესი ედგა.

დაღმასვლა 1987 წელს დაიწყო, როდესაც ჰაინკესი მიუნხენის „ბაიერნში" გადავიდა. მას მერე მწვრთნელების მოსვლა-წასვლაც ჩვეულ ამბად იქცა, რამაც შედეგად ფინანსური სიძნელეები მოიტანა.

როგორც ვთქვით, „ბორუსიას" ბოლოდროინდელი ჩავარდნა რაუშთან ერთად მენეჯერს, როლფ რუსმანსაც დაბრალდა. ამის გამო, გუნდის ოდინდელმა ვარსკვლავმა, გიუნტერ ნეტცერმა „შპორტ ბილდისთვის" დაწერილ სტატიაში თქვა:

„რუსმანმა კლუბის გარშემო საკუთარი იმპერია ააგო, მისი განვითარება კი შეწყვიტა, თანაც გარს ეკრა სუსტი, უმაქნისი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც ყველაფერზე თავს უქნევდა".

სხვათა შორის, გუნდიდან წასვლამდე თავად რაუშმაც გაილაშქრა მენეჯერის წინააღმდეგ: „უნდა განვაცხადო, რომ ყველაფერი, რაც ნეტცერმა დაწერა, სიმართლეა" — ბრძანა მან.

მიონხენგლადბახელთა ცნობილმა ფეხბურთელმა, ტონი პოლსტერმა, კი რომელიც თავდაპირველად რაუშის მხარდამჭერად იყო ცნობილი, ბოლოს მწვრთნელს დასდო ბრალი:

— ჩვენს მდგომარეობაში ერთადერთი, რასაც შეიძლება ხსნა მოჰყვეს, მწვრთნელის შეცვლა გახლავთ — ავსტრიელის ეს სიტყვები პრესაში რაუშის თანამდებობიდან განთავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე გამოქვეყნდა.

საბოლოოდ, „ბორუსიას" პრეზიდენტმა ვილფრედ ჯაკობსმა ყურად იღო აქეთ-იქიდან მოდენილი რჩევა-დარიგებანი და მწვრთნელიცა და მენეჯერიც დაითხოვა.

— დღეს, სპორტული თვალსაზრისით ისეთი ვითარებაა შექმნილი, რომ მოვლენათა განვითარებას ველარ დავუცდით — განმარტა მან.

გასულ სეზონში მიონხენგლადბახელებმა ორი მწვრთნელი მოხსნეს და მხოლოდ ბოლო ტურში შეინარჩუნეს ადგილი ბუნდესლიგაში. ამას გუნდის მთავარი ფეხბურთელის, შტეფან ეფენბერგის „ბაიერნში" გადასვლაც მოჰყვა...

...„ბორუსია" და „ბაიერნი" ბუნდესლიგაში ერთდროულად, 1965 წელს შევიდნენ და 70-იან წლებში დიდ მეტოქეებად იქცნენ. 1969-77 წლებში მათ ომში ვერავინ ერეოდა და ამ ომებში 1970, 1971, 1975, 1976 და 1977 წლებში მიონხენგლადბახელებმა გაიმარჯვეს. 1975 და 1979-ში მათ უეფას თასი მოიპოვეს, 1973 წელს კი გერმანიის თასს დაეპატრონენ.

მაგრამ „ბორუსიამ" ჩემპიონთა თასი ვერ მოიგო. ტიტულთან იგი ყველაზე ახლოს 1977 წელს იყო, ფინალში ინგლისური „ლივერპული" უნდა დაემარცხებინა, მაგრამ თავად დამარცხდა — 1:3.

სწორედ მაშინ, 70-იან წლებში თამაშობდა გუნდის ახალი თავკაცი, რაინერ ბონჰოფი.

ბონჰოფი, ნეტცერი და ჰაინკესი ვახსენეთ. მათ გარდა „ბორუსიას" ვარსკვლავთდროინდელ ეპოქაში მოღვაწეობდნენ გერმანიის ნაკრების ორი თვის წინ მოხსნილი ხელმძღვანელი, ბერტი ფოგტსი და დანიელი ალან სიმონსენი, 1977 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი. სწორედ მან, სიმონსენმა გაიტანა ის ერთადერთი გოლი „ლივერპულის" კარში. სიმონსენი, წლების მანძილზე გულშემატკივართა კერპი გახლდათ.

დღეს „ბაიერნი" ისევ მწვერვალზეა, ხოლო „ბორუსია" ცხრილის მეორე ბოლოში. სხვაობა 23 ქულაა. მიონხენგლადბახის გუნდმა ზედიზედ 6 შეხვედრაში მარცხი იწვნია, ხოლო 11 თამაშიდან მხოლოდ ერთი გამარჯვება მოინადირა.

ვნახოთ, რა მოხდება. „ბაიერნი" „ბოეკელბერგზე" 16 დეკემბერს თამაშობს, თუმცა, რა დროს მიუნხენელებთან გაჯიბრებაა.

— მართალია ცხრილში საშინელი მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ მას უიმედოს ვერ დავარქმევ — თქვა ბონჰოფმა.

სხვა რა გზაა, ქომაგები უნდა ენდონ კაცს, რომელსაც „ბორუსიას" შემადგენლობაში 231 შეხვედრა აქვს ჩატარებული.

**პაპუნა ძიძია**



**რაინერ ბონჰოფი**

დაიბადა 1952 წლის 29 მარტს
1963-70 — თამაშობდა „ემერიხში"
1970-78 — თამაშობდა „მიონხენგლადბახში"
1978-80 — თამაშობდა ესპანურ „ვალენსიაში"
1980-82 — თამაშობდა „კიოლნში"
1982-83 — თამაშობდა „ჰერტაში"
გერმანიის ჩემპიონი — 1971, 75, 76, 77
გერმანიის თასის მფლობელი — 1973
უეფას თასის მფლობელი — 1975
ესპანეთის თასის მფლობელი — 1979
თასების თასის მფლობელი — 1980
გერმანიის ნაკრებში ითამაშა 53-ჯერ, გაიტანა 9 გოლი
მსოფლიოს ჩემპიონი — 1974
1989-90 — იყო უერდინგენის „ბაიერის" მწვრთნელის ასისტენტი
1990-98 — იყო გერმანიის ნაკრების მწვრთნელის ასისტენტი

**ფეხბურთის რუკასთან**



**ნორვეგიის** ნაკრებისა და „მანჩესტერ იუნაიტედის" მცველმა რონი იონსენმა შესაძლოა, ორი თვე ვერ ითამაშოს. ინგლისის ბოლო წლების ყველაზე ტიტულოვანი კლუბის ექიმებმა განაცხადეს, რომ იონსენმა ძველი ტრავმა გაიმიზეზა და ფეხბურთისგან დასვენებას საჭიროებს. რონიმ კლუბის პირველი შვიდი შეხვედრა ითამაშა, მაგრამ 12 სექტემბერს „ქოვენთრისთან" მატჩში კოჭი დაიზიანა და მომდევნო 11 მატჩში აღარ უთამაშია. იგი აქამდე მკურნალობდა, კვირას კი იფიქრა, გამოვჯანმრთელდიო და „ნიუკასლთან" მატჩში 57-ე წუთზე ვეს ბრაუნი შეცვალა, მაგრამ 25 წუთში თავად გახდა შესაცვლელი. რენტგენმა დაადგინა, რომ მან ვითომ მოშუშებული ტრავმა გაიმიზეზა.

**გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა, 1983 წლის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში გადამწყვეტი გოლის ავტორმა, ფელიქს მაგათმა „შპორტ ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ გერმანელი ფეხბურთელები ყველაზე ზარმაცი სპორტსმენები არიან მთელი დედამიწის ზურგზე. „ვერსად ნახავთ სპორტსმენებს, რომლებიც კვირაში მხოლოდ სამი საათი ემსახურებიან თავიანთ საქმეს და მილიონებს შოულობენ. ბუნდესლიგის ფეხბურთელთა ზარმაცობა გაუგონარ მასშტაბებს აღწევს" — განაცხადა ბრემენის „ვერდერის" 45 წლის მწვრთნელმა. შეგახსენებთ, რომ იგი ბრემენელთა თავკაცად მას შემდეგ დაინიშნა, რაც კლუბმა ერთი თვის წინ ვოლფგანგ სიდკა გაათავისუფლა.**

**ინგლისის** ნაკრების ყოფილმა მცველმა სტიუარტ პირსმა, რომელიც დღესდღეობით „ნიუკასლ იუნაიტედში" თამაშობს, განაცხადა, რომ „ვესტ ჰემ იუნაიტედთან" მატჩში იგი უსამართლოდ გააძევეს. პირსმა შეხვედრის მსაჯის, გრემ პოლის მოქმედება მიუღებლად ჩათვალა და ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში პროტესტის წერილი აფრინა, თან ვიდეომასალაც დაურთო, სადაც მისი და ლონდონელი ტრევორ სინკლერის ორთაბრძოლა იყო ასახული, რომლის შედეგაც იგი მოედნიდან მიაბრძანეს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა ბევრი იმსჯელა პოლის მოქმედებაზე და საბოლოო ჯამში მისი გადაწყვეტილება სამართლიანად ჩათვალა. სტიუარტ პირსის გაძევება არ გაუქმებულა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მცველს პრემიერლიგის სამი შეხვედრის გამოტოვება მოუწევს.

**ჩეხი მეკარე პაველ სრნიჩეკი, რომელიც „ნიუკასლიდან" წასვლის შემდეგ ოსტრავის „ბანიკში" თამაშობდა, ნისლიან ალბიონს დაუბრუნდა იგი „შეფილდ უენსდეიში" ითამაშებს. სრნიჩეკი ბოლო ორი კვირა შეფილდელებთან ვარჯიშობდა და კლუბის მწვრთნელს ერთობ მოაწონა თავი, რის შემდეგაც კონტრაქტი გააფორმა. 30 წლის მეკარეს პრემიერლიგაში დაბრუნება ამ ტურშივე შეეძლება და სხვათა შორის, ძველი გუნდის, „ნიუკასლ იუნაიტედის" წინააღმდეგ. ახლა „შეფილდ უენსდეი" ნიუკასლელთა „სენტ ჯეიმსის პარკზე" ითამაშებს მორიგ შეხვედრას, გუნდის ძირითადი მეკარე კევინ პრესმენი კი ტრავმირებულია. თავდაპირველად სრნიჩეკი, ალბათ, მეორე მეკარე იქნება, მერე კი ძირითადისთვისაც იბრძოლებს. მან პრემიერლიგაში 185 მატჩი ითამაშა. მერე შაკა ჰისლოპმა ამოაგდო ძირითადი შემადგენლობიდან, მოგვიანებით კი შეიგივენმა.**

**ჩილელი** ახალგაზრდა თავდამსხმელი სებასტიან როზენტალი სამშობლოში დაბრუნდა და ნატკენი მუხლის მკურნალობას იქ გააგრძელებს. 22 წლის ჭაბუკი 1996 წლის მიწურულს „გლაზგო რეინჯერსში" გადავიდა, სადაც წარმატებულ კარიერას უწინასწარმეტყველებდნენ. სადებიუტო მატჩში სებასტიანმა „სენტ ჯონსტონს" გოლიც გაუტანა, მაგრამ ამავე შეხვედრაში მუხლი დაიზიანა, მას შემდე კი ვერ იქნა და ვერ ითამაშა. როზენტალმა ჩილეშიც იმკურნალა, ამერიკაშიც, ინგლისშიც, მაგრამ ვერსად უშველეს, ახლა კი კვლავ სამშობლოში დაბრუნდა. მას და „გლაზგო რეინჯერსს" შორის გაფორმებულ კონტრაქტს ვადა 2001 წელს გაუდის. ჩილელი თავდამსხმელი იმედოვნებს, რომ მანამდე გამოჯანმრთელდება და სქოტური კლუბის ღირსების დაცვას მოასწრებს.

# დიეგოც ინგლისში მიდის?

დიეგო მარადონას ინგლისში ვერ იტანენ. გასაგებია რატომაც, 1986 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში მან ალბიონელებს ორიდან ერთი გოლი „ღვთის ხელით" გაუტანა. ბედის ირონია კი სწორედ ისაა, რომ მარადონამ შესაძლოა ინგლისში ითამაშოს.

არა, აქ პრემიერლიგაზე არ არის საუბარი. საუბარია ინგლისში დაფუძნებულ დარბაზის, ექვსკაციანი ფეხბურთის ლიგაზე, რომელშიც 35 წელზე უფროსი მოთამაშეები დაიშვებიან.

ეს ამბავი „ივნინგ სტანდარდმა" აცნობა საზოგადოებრიობას. გაზეთის თქმით, „მასტერ ლიგ ფუტბოლის" დებიუტი 2000 წლის აპრილშია დაგეგმილი და მისი ორგანიზატორები ამ საკითხზე მარადონას უკვე ელაპარაკნენ.

— დიდი იმედი გვაქვს, რომ მარადონა დაგვყაბულდება — განაცხადა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებლის, კომპანია „ალადინის" წარმომადგენელმა ნილ ბლექმა, რომელიც მარადონას გარდა ბრაზილიელ დუნგასა და გერმანელ ლოთარ მათეუსსაც ურიგდება.

მოგეხსენებათ, 38 წლის მარადონა 1997 წლის აგვისტოში დიდი ფეხბურთიდან მოკვეთეს. მიზეზი ნარკოტიკების მიღებაში მესამედ მხილება გახლდათ.



ღვთის ხელი

პირველად დიეგო 1991 წელს, იტალიაში, „ნაპოლიში" თამაშის დროს ემხილა. იგი თურმე კოკაინს ყნოსავდა. მეორედ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სისხლში სტიმულატორი აღმოუჩინეს, მესამედ კი, როგორც გითხარით, 1997 წელს დაუმტკიცეს აკრძალული ნივთიერებებისადმი ლტოლვა.

# ავსტრო-უნგრეთის აღდგენა

ავსტრიის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტმა, ბეპო მაუჰარტმა განაცხადა, რომ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის მასპინძლობაზე მისი ქვეყნისა და უნგრეთის ერთობლივ განცხადებას სერიოზული განხილვა შეშვენის. აღსანიშნავია, რომ დღეს ორ სახელმწიფოდ ქცეულ, ოდესღაც ძლიერ იმპერიას, 2004 წლის შეჯიბრებას ესპანელები და პორტუგალიელები ეცილებიან.

— ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენ სერიოზული კანდიდატები ვართ და არამც და არამც აუტსაიდერები. ივლისში რომ გეკითხათ, გიპასუხებდით, რომ შანსი გვაქვს, გუშინ, ჟენევაში გამართული პრეზენტაციის შემდეგ კი დარწმუნებული ვარ, რომ ვლიდერობთ — ბრძანა მაუჰარტმა.

საუბარია სამშაბათს, შვეიცარიაში მოწყობილ ოფიციალურ წარდგენაზე, სადაც ავსტრო-უნგრეთის გარდა პორტუგალია და ესპანეთიც მონაწილეობდნენ.

ავსტრიელთა და უნგრელთა გეგმის თანახმად, ევრო 2004-ის მატჩებს თითო ქვეყნიდან ხუთი სტადიონი უმასპინძლებს. ავსტრიელთაგან ესენია ვენის, ზალცბურგის, ინსბრუკის, გრაცისა და ზანქტ პოელტენის, ხოლო უნგრელთაგან ბუდაპეშტის, გიოერის, დებრეცენისა და შეკეშფეჰავარის სარბიელები. ბუდაპეშტი ორი სტადიონით წარსდგება.

უეფა საბოლოო სიტყვას გაისად ივლისში იტყვის.

# პამიდორის მოლოდინში

იტალიის ნაკრების მწვრთნელი, დინო ძოფი მზადაა ტრიბუნიდან ნასროლი პამიდორის მოსაგერიებლად. „სკუადრა აძურამ" მისი ხელმძღვანელობით ჯერჯერობით ორივე თამაში მოიგო, სძლია როგორც უელსს, ასევე შვეიცარიას, მაგრამ ძოფი რეალისტი და თან ძალიან გამოცდილი კაცია.

„შედეგებს უნდა ვუმადლოდე ხალხს რომ ვუყვარვარ, თუმცა კარგად ვიცი ნაკრების მწვრთნელთა ბედის ამბავიც, ადრე თუ გვიან აუცილებლად მესვრიან პამიდორს სახეში" — უთხრა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონმა კათოლიკეთა ყოველკვირეულ ჟურნალ „სენო ნელ მონდო 7"-ს.

ინტერვიუში ძოფი ევროპული სუპერლიგის შექმნა-არშექმნის საკითხსაც შეეხო.

„ეროვნული გუნდებისთვის სუპერლიგა ძალიან საზიფათოა" — თქვა მან — „ამერიკაში NBA-მ მთელი დანარჩენი სპორტი სტუდენტურ შეჯიბრებათა დონემდე დასცა. ჩვენთანაც თუ იგივე მოხდა, ფეხბურთს სარბიელი შეეკვეცება. იტალიაში გუნდების აღზევება-გავარდნა, ყოველთვის მნიშვნელოვანი გახლდათ, ვინც თამაშის ხარისხს გააუმჯობესებდა, წარმატებაც მისი იყო, სუპერლიგაში კი ერთსა და იმავე გუნდებს ექნებათ ადგილი დაჯავშნული".

შემდეგ საუბარი ბოლოხანს გახმაურებულ დოპინგ-სკანდალს შეეხო.

„ვგონებ, გამარჯვების ნებისმიერი გზით მოპოვება, აქ დოპინგის მიღებასაც ვგულისხმობ, დიდი შეცდომაა" — ბრძანა ლეგენდარულმა მეკარემ.

ამჯერად დინო ძოფი მომავალი ოთხშაბათის ამხანაგური თამაშისთვის ამზადებს „სკუადრა აძურას". შემადგენლობის დასახელებას იგი ხვალ, პარასკევს აპირებს. იტალიის ეროვნული გუნდის მოწინააღმდეგე იქნება ესპანეთის ნაკრები. შეხვედრა სალერნოშია დანიშნული, სწორედ იმ სტადიონზე, სადაც ცოტა ხნის წინ „ფიორენტინასა" და „გრასჰოპერის" შეხვედრაში ტრიბუნიდან ნასროლმა ცეცხლოვანმა საგანმა თანამსაჯი დააშავა.



სარბიელის არქივიდან

პაპა დინო — დინო ძოფი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიატოვიჩი მილანისკენაა

შეხვედრა, რომელიც 18 ნოემბერს უნდა გაიმართოს, ერთი თვის წინ უნდა ჩატარებულიყო. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იუგოსლავიას ირლანდიისთვის უნდა ემასპინძლა, მაგრამ მაშინ უეფამ ამ თამაშის სხვა დროისთვის გადატანა ბრძანა. მიზეზი კოსოვოს კონფლიქტი, ნატოს ჯარების მოსალოდნელი თავდასხმა იუგოსლავიაზე, უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი გარანტიები და კიდევ რამდენიმე ასეთი არასაფეხბურთო ამბავი გახლდათ. იმ ხანებში უეფამ იუგოსლავიურ კლუბებს ევროთასების შეხვედრების ნეიტრალურ ქვეყნებში გადატანა უბრძანა. ეგ კი არა, კოსოვოს კონფლიქტმა იუგოსლაველ კალათბურთელებსაც გაუჭირა საქმე. ერთი სიტყვით, ზოგი მატჩი მეზობელ ქვეყნებში ჩატარდა, ზოგი გადაიდო.

მოგვიანებით, როცა კოსოვოს კონფლიქტი მეტ-ნაკლებად ჩაწყნარდა, იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციამ ირლანდიელ კოლეგებს შეუთვალა, ბურთი როდის გავაგოროთო. ირლანდიელებმა ბევრი იფიქრეს თუ ცოტა, ვერ მოიფიქრეს. აქ კი საქმეში უეფა ჩაერია. არგამართული შეხვედრის ჩასატარებელ პირობით თარიღად 18 ნოემბერი მიიჩნიეს.

ახლა, როცა მეტად მნიშვნელოვანი შეხვედრის დრო ახლოვდება და ირლანდიამ შემადგენლობაც კი დაასახელა, იუგოსლავიის ნაკრების ხელმძღვანელობა ერთი, მაგრამ საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მოგეხსენებათ, ნაკრების ფეხბურთელთა უმეტესობა უცხოურ კლუბებში თამაშობს, გადამთიელი გუნდების ხელმძღვანელებმა კი იუგოსლაველი ლეგიონერების დროებით მოსაკლისება არ ისურვეს.

— იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციის პოზიცია ნათელია. ყველა ის ფეხბურთელი, რომელსაც ნაკრების მწვრთნელი გამოიძახებს, ბელგრადში უნდა იყოს დათქმულ დროს. ირლანდიასთან მატჩი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია და აქედან გამომდინარე, ნაკრების ყველა მოთამაშე ვალდებულია, მწვრთნელს დაემორჩილოს — ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბრანკო ბულატოვიჩმა საკმაოდ მკაცრი ტონით ისაუბრა. მოგვიანებით მან ისიც დასძინა, თუ გუნდის თავკაცი დრაგან სტოიკოვიჩსაც გამოიძახებს, მასაც მოუწევს იაპონიიდან სამშობლოში დაბრუნებაო.

ამასთანავე იუგოსლაველთა მწვრთნელმა ერთი მეტად საყურადღებო გადაწყვეტილების შესახებაც განაცხადა. მილან ზივადინოვიჩმა ნაკრების ფეხბურთელები წინდაწინვე გააფრთხილა, რომ შეკრებისას ისინი მობილური ტელეფონებით ვერ ისარგებლებენ. „მსურს, გუნდი მთლიანად მომავალი შეხვედრისთვის იყოს კონცენტრირებული. ათასგვარი სატელეფონო საუბრები მათ გონებას უფანტავს, ასე კი არ შეიძლება. ირლანდიასთან შეხვედრა ჩვენთვის იმდენად საპასუხისმგებლოა, რომ ღირს მისთვის მცირეოდენი მსხვერპლის გაღება" — განაცხადა იუგოსლაველთა თავკაცმა.

მწვრთნელის გადაწყვეტილება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფეხბურთელები გარესამყაროს, ოჯახებს მოწყვეტილნი იქნებიან. მათ მობილურ ტელეფონებს ნაკრების ბაზაზე, საგანგებო სეიფში შეინახავენ, სალამოჟამს კი გარკვეული დროით მფლობელებს გადასცემენ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩისათვის მოსამზადებელი გუნდის შემადგენლობას იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელი მილან ზივადინოვიჩი ხუთშაბათს დაასახელებს, პარასკევს კი ყველა რჩეული ბელგრადში უნდა იყოს.

გუშინ, მადრიდის „რეალის" თავდამსხმელმა პრედრაგ მიატოვიჩმა ბოდიშის მოხდით განუცხადა კლუბის მწვრთნელს და ხელმძღვანელებს, რომ იგი მორიგ ტურში, ვიგოს „სელტასთან" საპასუხისმგებლო მატჩში ვერ ითამაშებს.

— ჩემთვის ნაკრები უპირველესია. იქნებ ფინანსური თვალსაზრისით „რეალში" თამაში უფრო მომგებიანია, ვიდრე ეროვნულ გუნდში, მაგრამ იმ გრძნობას, რომელიც სამშობლოს ღირსების დაცვისას მეუფლება, ვერაფერი შეედრება. იუგოსლავიის ნაკრები იყო, არის და იქნება ის გუნდი, რომელში თამაშიც ჩემთვის ძალიან დიდი პატივია — განაცხადა მიატოვიჩმა, რომლის ერთადერთი გოლის წყალობით ჩემპიონთა თასის ფინალში „რეალმა" „იუვენტუსი" დაამარცხა.

აი, საუკეთესო მაგალითი იმ ფეხბურთელებისთვის, რომლებიც ვერ აცნობიერებენ, რა სხვაობაა ეროვნულ გუნდსა და კლუბში თამაშს შორის.

**ირაკლი ილაშვილი**



სარბიელის არქივიდან

პრედრაგ მიატოვიჩი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია და აქედან გამომდინარე მილიონების უქონლობასაც არ უჩივის, თუმცა ეს ხელს არ უშლის იყოს პატრიოტი

# სარბიელი
## სპორტული ლატარია "CROCO"

### გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | |
| ვერდერი — კაიზერსლაუტერნი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჰანზა — მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,0 | 3,5 |
| 14 ნოემბერი | | | |
| ლევერკუზენი — ნიურნბერგი | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვოლფსბურგი — ჰერტა | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ჰამბურგი — აინტრახტი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| დუისბურგი — ბოხუმი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| ბაიერნი — შტუტგარტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| დორტმუნდი — შალკე | 1,5 | 3,2 | 6,5 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ფრაიბურგი — მიუნხენ 1860 | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | |
| კოტბუსი — ობერჰაუზენი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| მაინცი — დიუსელდორფი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ჰანოვერი — კიკერსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| უნტერჰახინგი — ბერლინი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 15 ნოემბერი | | | |
| კიოლნი — ფიურტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ზანკტ პაული — ფორტუნა | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| ულმი — ურდინგენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| არმინია — ვატენშტაიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,1 | 2,7 |
| 16 ნოემბერი | | | |
| კარლსრუე — გიუტერსლო | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| არსენალი— ტოტენჰემი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ჩარლტონი — მიდლსბრო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ჩელსი — უიმბლდონი | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ლივერპული — ლიდსი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| მანჩესტერი — ბლექბერნი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| ნიუკასლი — შეფილდ უენსდეი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| საუთჰემპტონი — ასტონ ვილა | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| ვესტ ჰემი — ლესტერი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ქოვენთრი — ევერტონი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| 16 ნოემბერი | | | |
| ნოტინგემი — დერბი | 2,4 | 2,9 | 2,6 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ბირმინგემი — ოქსფორდი | 1,3 | 4,4 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ბოლტონი — ტრანმერი | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| ბრედფორდი — სვინდონი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ქრიუ — ქუინზ პარკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კრ. პალასი — ბრისტოლი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| გრიმსბი — პორტსმუთი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ნორვიჩი — ვულვერჰემპტონი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| პორტ ვეილი — სანდერლენდი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| შეფილდ იუნაიტედი — ბერი | 1,5 | 3,0 | 7,5 |
| სტოკპორტი — უოტფორდი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ვესტ ბრომვიჩი — ჰადერსფილდი | 2,2 | 2,9 | 3,0 |

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14-15 ნოემბერი | | | |
| ლე ავრი — პსჟ | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| რენი — ლიონი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| მარსელი — ლანსი | 1,4 | 3,4 | 7,5 |
| ბასტია — მონაკო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| ბორდო — სოშო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |
| სტრასბური — ლორიანი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ტულუზი — ნანსი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| მონპელიე — ოსერი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| მეცი — ნანტი | 2,4 | 2,8 | 2,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. IX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | |
| ბარი — მილანი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ემპოლი — კალიარი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| ინტერი — სამპდორია | 1,4 | 3,3 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,1 | 2,4 |
| პარმა — უდინეზე | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| პიაჩენცა — ფიორენტინა | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| რომა — იუვენტუსი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| სალერნიტანა — პერუჯა | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| ვენეცია — ლაციო | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| ვიჩენცა — ბოლონია | 2,1 | 2,8 | 3,3 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ტერნანა — რავენა | 2,5 | 2,7 | 2,7 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ბრეშა — ნაპოლი | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ჩეზენა — რეჯინა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| კოზენცა — მონცა | 1,8 | 2,7 | 4,7 |
| ფ. ანდრია — ტრევიზო | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| ჯენოა — კრემონეზე | 2,3 | 2,7 | 3,0 |
| ლუკეზე — ლეჩე | 3,4 | 2,7 | 2,1 |
| რეჯანა — კიევო | 1,9 | 2,7 | 4,0 |
| ტორინო — პესკარა | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| ვერონა — ატალანტა | 1,5 | 2,9 | 8,0 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. X ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14-15 ნოემბერი | | | |
| დეპორტივო — ალავესი | 1,35 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვილიარეალი — ატლეტიკო | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| ვალიადოლიდი — მალიორკა | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ბარსელონა — ტენერიფე | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| ბილბაო — ოვიედო | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| ბეტისი — სოსიედადი | 2,1 | 2,8 | 3,3 |
| სარაგოსა — ესპანიოლი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| რასინგი — სალამანკა | 1,6 | 2,8 | 6,5 |
| ესტრემადურა — ვალენსია | 3,1 | 2,8 | 2,2 |
| რეალი — სელტა | 1,35 | 3,6 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14-15 ნოემბერი | | | |
| ოსასუნა — მალაგა | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ერკულესი — ბადახოსი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| ბარსელონა B — ლეგანესი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| ალბასეტე — მერიდა | 2,0 | 2,7 | 3,6 |
| ტოლედო — რეკრეატივო | 1,5 | 2,9 | 8,0 |
| ეიბარი — ორენსე | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| სპორტინგი — სევილია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| ლას პალმასი — კომპოსტელა | 1,7 | 2,8 | 5,3 |
| მალიორკა B — ნუმანსია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ატლეტიკო B — ლეიდა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| რაიო ვალეკანო — ლოგრონიესი | 1,6 | 2,9 | 6,0 |

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14-15 ნოემბერი | | | |
| შავეში — ლეირია | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| აკადემიკა — ბოავიშტა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| სეტუბალი — სალგეირუში | 2,3 | 2,8 | 2,9 |
| სპორტინგი — ალვერკა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ბენფიკა — ბრაგა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ამადორა — გიმარაეში | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| რიუ ავე — მარიტიმუ | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ბეირამარი — ფარენსე | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| კამპომაიორენსე — პორტო | 5,6 | 3,0 | 1,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| გრააფსხაპი — როდა | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| მაასტრიხტი — აკმაარი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ნაიმეგენი — ტვენტე | 2,6 | 2,9 | 2,4 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ტილბურგი — ბრედა | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| ვიტესი — უტრეხტი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,0 | 2,4 |
| ვალვაიკი — სპარტა | 2,9 | 3,0 | 2,2 |
| ფეიენოორდი — სიტარდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| აიაქსი — ეინდჰოვენი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| სტ. ტრუიდენი — გენკი | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლომელი — გენტი | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| ანდერლეხტი — სტანდარდი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ლოკერენი — ლიერსი | 1,5 | 3,1 | 7,0 |
| მუსკრონი — აალსტი | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| ვესტერლო — ბევერენი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ეკერენი — კორტრაიკი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,3 | 3,1 |
| ბრიუგე — შერლერუა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ჰარელბეკი — ოსტენდე | 1,6 | 3,2 | 5,0 |

### პოლონეთის ჩემპიონატი. XV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13-15 ნოემბერი | | | |
| ლკს — ვიძევი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| გურნიკი — რუხი | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| პოგონი — ვისლა | 4,2 | 2,9 | 1,8 |
| ოდრა — ბელხატოვი | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| პოლონია — ლეგია | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ზაგლებე — კატოვიცე | 2,3 | 2,9 | 2,8 |
| სტომილი — ამიცა | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| ლეხი — რაძიონკოვი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,7 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 ნოემბერი | | | |
| ქოჯაელი — დარდანელი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| 14 ნოემბერი | | | |
| ერზურუმი — ალთაი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ქარაბუქი — საქარია | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| ფენერბაჰჩე — გაზიანთეფი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ისთანბული — ბურსა | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| ადანა — ანკარაგიუჯიუ | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| გენჩლერბირლიგი — ანთალია | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| გალათასარაი — ტრაბზონი | 1,6 | 2,9 | 6,0 |
| სამსუნი — ბეშიქთაში | 5,3 | 3,1 | 1,6 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIV ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| დანდი — კილმარნოკი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| მოზერველი — ჰართსი | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| რეინჯერსი — აბერდინი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| სტ. ჯონსტონი — სელტიკი | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| 15 ნოემბერი | | | |
| დანფერმლაინი — დანდი იუნაიტედი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| გრაცერი — რიდი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,3 | 3,4 |
| ლინცერი — შტურმი | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| რაპიდი — აუსტრია | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,4 |
| ზალცბურგი — ლუსტენაუ | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,6 | 2,5 |
| ტიროლი — შტაირი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 1,8 | 3,6 | 2,5 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XVIII ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ბაზელი — სტ. გალენი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სერვეტი — გრასჰოპერი | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| 15 ნოემბერი | | | |
| ლუცერნი — ქსამაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| ციურიხი — ლოზანა | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| არაუ — იანგ ბოისი | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| სიონი — ლუგანო | 2,0 | 2,9 | 3,4 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

სარბიელის არქივიდან



ამ ბურთს რამაზ ურუშაძე არ გაუშვებდა

## ქართველები საბჭოთა ნაკრებში





# რამაზ ურუშაძე

მაშა და დაეხმარა ნაკრებს ქულის მოპოვებაში (1:1). საკმარისი იყო სსრკ-ს ნაკრებს მოსკოვში მოეგო და ოლიმპიადის საგზურსაც მოიპოვებდა, მაგრამ მატჩი კვლავ ფრედ (1:1) დასრულდა. გადათამაშებაში კი რამაზ ურუშაძე აღარ იდგა კარში, რადგან იმ პერიოდში იგი უკვე მთავარ ნაკრებში გამოიძახეს. მის ნაცვლად კარის პოსტი ალმა-ათელმა ლისიცინმა ჩაიბარა და ნაკრებიც 1:4 დამარცხდა.

ურუშაძე მთავარი ნაკრების წევრი გახდა, მაგრამ ძირითად მეკარედ, რა თქმა უნდა, ლევ იაშინი ითვლებოდა. ახლოვდებოდა მატჩები „მრისხანე იტალიელებთან“. რამაზი, რომელსაც აქამდე არც ერთი შეხვედრა არ ჰქონდა მთავარ ნაკრებში ნათამაშევი, რასაკვი-

ნაკრების კარი კვლავ იაშინს მიანდეს, რამაზი კი სათადარიგო სკამიდან ადევნებდა თვალყურს. მატჩი 1:1 დასრულდა და საბჭოთა ნაკრებში შემდეგ ეტაპზე გავიდა.

რამაზ ურუშაძე: „ხშირად ამბობენ, რომ ბესკოვი არ იყო კარგად განწყობილი ქართველი ფეხბურთელების მიმართ. მე ეს არ მიგრძვნია. ანდა როგორ უნდა მეგრძნო, როცა ქუთაისის „ტორპედოს“ მეკარეს ასეთ დიდ მატჩში იტალიელებთან ამგვარი ნდობა გამოიცხადა. მერეც არ ყოფილა ჩვენი ურთიერთობა ცუდი. მე ესპანეთშიც გავემგზავრე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თუმც ძირითად შემადგენლობაში კვლავ იაშინი იდგა. ბესკოვის რა მოგახსენოთ, მაგრამ ძმები სტაროსტინების ცუდ დამო-

და ნომალ მაისურაძემ შეაგდეს. მე კი ბევრი უძნელესი ბურთი მოვიგერიე. რასაკვირველია, იყო წარუმატებელი თამაშებიც, მაგრამ ამისგან არც ერთი მეკარე არაა დაზღვეული“.

ქართველ მეკარეებს, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობას, უფრო გამოსვლებზე უჭირდათ თამაში, ვიდრე კარის ხაზზე. რამაზი ამ მხრივაც გამოირჩეოდა. მისი გამოსვლები ყოველთვის ზუსტი და თავდაჯერებული იყო.

რამაზ ურუშაძე: „ალბათ, ამაში ჩემი გაბოროტებაც მიწყობდა ხელს. თამამად იმიტომ გამოვდიოდი, რომ ვინმესთან შეჯახების არ მეშინოდა“.

რამაზ ურუშაძე კარის ხაზზეც ძლი-

# პირველ მეკარედ ქუთაისიდან

იყო დრო, როცა მთელი საქართველო ფეხბურთით ცხოვრობდა. ამიტომაც თუ სადმე ვინმე ნიჭიერი ფეხბურთელი გამოჩნდებოდა, ინფორმაცია იმწამსვე აღწევდა თბილისამდე. გულშემატკივრებს ამაში პრესის დახმარებაც არ სჭირდებოდათ, საკუთარი არხებით კრებდნენ ცნობებს. 50-იანი წლების ბოლოს თბილისში ხმა გავრცელდა, ანდრო ჟორდანიას ლანჩხუთში შესანიშნავი აღნაგობის მეკარე ჰყავს, რომელიც ჩინებული ოსტატი დადგებაო. დრომ გაამართლა გულშემატკივართა მოლოდინი. რამაზ ურუშაძის გზა ლანჩხუთის „კოლმეურნედან“ (მაშინ ასე ერქვა „გურიას“) დაიწყო და თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრებამდე მივიდა.

1958 წელს ანდრო ჟორდანიამ იგი „ბ“ კლასში მოთამაშე ქუთაისის „ტორპედოში“ მიიწვია, სადაც ნიჭიერმა მეკარემ უმალვე მიიქცია ყურადღება. საბჭოთა ფეხბურთის დონე იმის საშუალებას იძლეოდა, რომ მეკარეს „ბ“ კლასშიც დაეხვეწა ოსტატობა ერევნის „სპარტაკის“, ბაქოს „ნეფტიანიკისა“ და რიგის „დაუგავას“ თავდამსხმელთა შეტევების მოგერიებაში.

1959-ში ჟორდანია თბილისის „დინამოში“ წამოვიდა და თან ორი შესანიშნავი ახალგაზრდა ფეხბურთელი წამოიყვანა — თავდამსხმელი ილია დათუნაშვილი და რამაზ ურუშაძე. დათუნაშვილი დარჩა გუნდში, რამაზი კი მალე კვლავ ქუთაისის „ტორპედოს“ დაუბრუნდა. ამის მიზეზი „დინამოში“ მეკარის ადგილზე გაჩაღებული დიდი კონკურენცია იყო. თვითონ განსაჯეთ, ოთხი შესანიშნავი მეკარე ერთ ადგილზე: სერგო კოტრიკაძე, ანზორ კავაზაშვილი, ანზორ კვაჭაძე და რამაზ ურუშაძე. ბუნებრივია, ოთხი ასეთი მოთამაშის ერთ გუნდში გაჩერება არც შეიძლებოდა და კავაზაშვილმა და ურუშაძემ დატოვეს „დინამო“. ანზორმა ლენინგრადს მიაშურა, ურუშაძე კი ქუთაისის „ტორპედოს“ დაუბრუნდა.

თუმცა „ბ“ კლასში თამაშს რამაზისთვის ხელი არ შეუშლია საკავშირო საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მიეპყრო. ცნობილმა მწვრთნელმა ევგენი ლიადინმა იგი იქიდანვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვია. ამასობაში ქუთაისის „ტორპედომაც“ დაიწყო წარმატებული თამაში და 1961 წელს თბილისის „ლოკომოტივთან“, რიგის „დაუგავასთან“ და კიშინიოვის „მოლდოვასთან“ ჭიდილში „ა“ კლასის საგზური მოიპოვა. ეს ქართული ფეხბურთის დიდი წარმატება იყო: 1962 წლის საკავშირო ჩემპიონატს „ა“ კლასში ორი ქართული გუნდი იწყებდა: თბილისის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“. ქუთაისელებმა სადებიუტო პირველობა ბრწყინვალე გამარჯვებით დაიწყეს. საკუთარ მოედანზე სახელგანთქმულ მოსკოვის „ტორპედოს“, სადაც გამოჩენილი ფეხბურთელები — ვალენტინ ივანოვი, ბორის ბოტანოვი, ვალერი ვორონინი, ვიქტორ შუსტიკოვი და სხვები გამოდიოდნენ, სძლიეს 4:2.

ქუთაისელთა ახოვანმა (190 სმ) მეკარემ კი მალე დაიმკვიდრა ადგილი ჩემპიონატის უძლიერესთა შორის. ბრწყინვალედ ითამაშა რამაზმა მოსკოვში ქუთაისელთა წარმატებული სერიის დროს, როცა გათამაშების დებიუტანტმა, ქუთაისის „ტორპედომ“ ზედიზედ ორი გამარჯვება ერთნაირი ანგარიშით — 1:0 მოიპოვა მოსკოვის გუნდებთან — ცსკასთა და „ლოკომოტივთან“. ურუშაძე უმალ ჩარიცხეს საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში და პირველი ნაკრების კანდიდატადაც დაასახელეს.

იმ დროის საბჭოთა კავშირის პირველ



1963 წელი. 11 ოქტომბერი. იტალიასთან მატჩის წინ კონსტანტინ ბესკოვი შემადგენლობას აცხადებს. თავჩაქინდრულმა იაშინმა (მარცხნივ) იცის, რომ კარში ურუშაძე დგას, რამაზმა — არა

ნაკრებში ძალიან ძნელი იყო ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა. საბჭოთა ფეხბურთში ხომ მსოფლიოს საუკეთესო მეკარის, ლევ იაშინის კულტი არსებობდა. იაშინის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ მას მოთამაშეობისასაც მამის სახელით „ლევ ივანოვიჩ“ — მოიხსენიებდნენ და მასთან ჭიდილში სხვა, თუნდაც ჩინებულ მეკარეებს, პრაქტიკულად შანსი არ ჰქონდათ. თავის კლუბში, მოსკოვის „დინამოში“ იაშინს შესანიშნავი კონკურენტი ჰყავდა ბელიაევის სახით, რომელიც გარკვეულ დროს საბჭოთა კავშირის მეორე მეკარედ ითვლებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ არსებობდა იაშინი, ნიჭიერი მეკარის კარიერამ ისე ჩაიარა, არც ერთ დიდ საპასუხისმგებლო მატჩში არ დაუცავს მოსკოვის „დინამოს“ კარი. ასევე იყო ნაკრებშიც. იმხანად მეკარეთა საბჭოთა სკოლა ერთ-ერთი საუკეთესო იყო მსოფლიოში, მაგრამ ოლეგ მაკაროვმა, ვლადიმერ მასლაჩენკომ, ჩვენმა სერგო კოტრიკაძემ ვერ თქვეს თავისი სიტყვა, საერთაშორისო ასპარეზზე, რადგან ნაკრების კარში იაშინი ბატონობდა.

რამაზ ურუშაძე 1963 წელს უკვე იყო ოლიმპიური ნაკრების წევრი, როცა იგი ძირითად ნაკრებშიც მიიწვიეს სათამაშოდ. ოლიმპიური ნაკრები ტოკიოს ოლიმპიადის შესარჩევ მატჩებს ატარებდა, პირველი ნაკრები კი ესპანეთში ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე გასვლას ისახავდა მიზნად. ოლიმპიურში რამაზს კონკურენტი არ ჰყავდა და მთელი შესარჩევი ციკლიც მან გაიარა. სამწუხაროდ, ოლიმპიელები ფინალში ვერ მოხვდნენ. პოლონელებთან გამარჯვების შემდეგ მათი მეტოქეები გდრ-ს ფეხბურთელები იყვნენ. რამაზმა გდრ-ში შესანიშნავად ითა-

რველია, ვერც იფიქრებდა, რომ მისი დებიუტი ასეთ საპასუხისმგებლო მატჩში შედგებოდა.

რამაზ ურუშაძე იხსენებს: „ქლაქგარეთ ვცხოვრობდით მოსკოვში. იტალიელებთან შეხვედრისთვის ვემზადებოდით. მე და მიშა მესხი ვცხოვრობდით ერთ ოთახში. მიშა და სლავა მოდიოდნენ და მეუბნებოდნენ, შენ იქნები ძირითად შემადგენლობაშიო. ნუ შაყირობთ-მეთქი, ვეუბნებოდი. ვერც კი წარმომედგინა, რომ მე, საფეხბურთო თვალსაზრისით პროვინციული ქუთაისის „ტორპედოდან“, ასეთ დიდ მატჩში, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებთან მანდობდნენ კარის დაცვას, თანაც მაშინ, როცა გუნდს ჰყავდა ლევ იაშინი. დადგა მატჩის დღე. თორმეტ საათზე ბესკოვმა მოთელვა ჩაატარა და შემადგენლობაც დაასახელა: პირველად ჩემი გვარი გავიგონე. ძალიან მოულოდნელი იყო. სლავა და მიშა იცინოდნენ, ხომ გეუბნებოდითო. ცოტა ავღელდი. ბესკოვმა არც არაფერი დამარიგა, შენი თამაში ითამაშეო, მითხრა.იაშინმაც ვაჟკაცურად მიიღო ეს ამბავი, არ ინერვიულოო“„არ ინერვიულო“ — ადვილი სათქმელია, როცა საქმე იტალიელებს ეხება. ხალხით გაჭედილ სტადიონზე საბჭოთა ნაკრების კარს რამაზ ურუშაძე იცავს. მის წინააღმდეგ კი... იტალიელებს ვარსკვლავებს ყველა დროში რა გამოულევს: მაცოლა, რივერა, პასკუტი, მალდინი (იტალიის ნაკრების ამასწინდელი მწვრთნელი). სხვათა შორის, ბესკოვის ეს სვლა რისკთანაც იყო დაკავშირებული. მეკარის შეცდომა ხომ მოგეხსენებათ, რამდენს იწონის.

რამაზ ურუშაძე: „პირველ თხუთმეტ წუთს ვნერვიულობდი, მერე კი დავმშვიდდი და თამაშიც გამომივიდა“.

გამოუვიდა კი არა, რამაზმა ჩინებულად, თავდამაჯერებლად ითამაშა, ისე, თითქოს ასეთი მატჩი მისთვის პირველი არ იყო. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 2:0 მოიგო. მატჩის 0-ზე დასრულება, რასაკვირველია, რამაზის დამსახურებაც იყო. დაუწერელი კანონია, მოგებულ შემადგენლობას, თანაც ასეთ მატჩში, არ ცვლიან, მაგრამ იტალიაში

კიდებულებას ქართველებისადმი აშკარად ვგრძნობდი. ისინი თავის დროზე, არც თუ უსაფუძვლოდ, ბერიაზე იყვნენ ნაწყენები და ეს ქართველ ფეხბურთელებზე გადმოჰქონდათ. სტაროსტინებს დიდი გავლენა ჰქონდათ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში და, ალბათ, უფრო მათი „მოღვაწეობის“ შედეგად აღარ დამაყენეს ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატის შემდგომ მატჩებში, თორემ მწვრთნელთან და ფეხბურთელებთანაც ძალიან კარგი დამოკიდებულება მქონდა. თვით იაშინმა მოსკოვის მატჩის შემდეგ გულწრფელად მომილოცა წარმატება.

ამის შემდეგ რამაზ ურუშაძემ ერთი მატჩიღა ითამაშა საბჭოთა კავშირის ნაკრებში. ურუგვაელებთან, სახელგანთქმული ლუის კუბილასა და მისი პარტნიორების წინააღმდეგ. იმ შეხვედრაშიც ხელშეუხებელი დატოვა კარი. საბჭოთა ნაკრებმა თამაში 1:0 მოიგო. ოლიმპიური ნაკრების კარს კი 1967 წლამდე იცავდა.

რამაზ ურუშაძე 1965 წელს თბილისის „დინამოში“ გადმოვიდა. ერთი წელი ის და სერგო კოტრიკაძე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს „დინამოს“ კარში.

1966 წლიდან 1971-მდე კი ურუშაძე თითქმის შეუცვლელად იცავდა საქართველოს უპირველესი გუნდის კარს. მას ბევრი დიდებული წუთიც ახსოვს ამ მატჩებიდან.

რამაზ ურუშაძე: „გასახსენებელი ძალიან ბევრი მაქვს. განსაკუთრებით მახსოვს ქუთაისელთა მატჩები სადებიუტო წელს მოსკოვის „ტორპედოსთან“, ცსკა-სთან და „ლოკომოტივთან“. დაუვიწყარი მატჩი ისევ „ტორპედოს“ შემადგენლობაში კიევის „დინამოსთან“, სადაც სერებრიანიკოვს, ბიბას, საბოს, ლობანოვსკის, ბაზილევიჩს საშუალება არ მივეცი, გამარჯვება მოეპოვებინათ და მატჩი 1:1 დავასრულეთ.

თბილისის „დინამოს“ მატჩები მოსკოვში. განსაკუთრებით ჩამრჩა მეხსიერებაში 1965 წლის თბილისური მატჩი მოსკოვის „დინამოსთან“, რომელიც 2:0 მოვიგეთ და ბურთები შოთა იამანიძემ

ერი იყო. 1967 წელს ერთ სეზონში ურუშაძემ 11-მეტრიანები აუღო ისეთ გამოჩენილ ოსტატებს, როგორებიც იყვნენ საბჭოთა ფეხბურთის სახელგანთქმული ფორვარდები — ედუარდ მარქაროვი, ანატოლი ბანიშევსკი, ედუარდ სტრელცოვი. ასევე გაამწარა პენალტის დარტყმისას მოსკოვის „დინამოს“ ცბიერი ნახევარმცველი ვალერი მასლოვიც.

პენალტების აღების უნივერსალური რეცეპტი, რა თქმა უნდა, არ არსებობს. თუმცა, როგორც რამაზ ურუშაძე ამბობს, მას წინასწარ არასოდეს ჰქონდა განსაზღვრული, რომელ კუთხეში გადახტებოდა. იგი ბოლომდე თავდამსხმელის მოძრაობას და მის ფეხებს უყურებდა. ბოლოს კი მისი ნახტომი შეუმცდარი იყო. რასაკვირველია, რამაზ ურუშაძესაც გაუშვია პენალტი, მაგრამ არავის ახსოვს, რომ იგი საწინააღმდეგო კუთხეში გადამხტარიყოს და ბურთი თერთმეტმეტრიანიდან მეორე კუთხეში შეგორებულიყოს.

რამაზ ურუშაძე ახლა ახალგაზრდა ფეხბურთელებს ზრდის და, რასაკვირველია, ყურადღებით ადევნებს თვალყურს ჩვენს ფეხბურთში არსებულ სიტუაციას.

რამაზ ურუშაძეს სჯერა ქართველ ფეხბურთელთა ნიჭიერების, მაგრამ მათი წარმატების მთავარ პირობად დიდი შრომა და პასუხისმგებლობის გრძნობა მიაჩნია.

რამაზ ურუშაძე: „წაგებისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ როცა უსულგულოდ, უჯიგროდ თამაშობ და ისე აგებ, ესაა გულდასაწყვეტი. აი, ამ მონდომებას ვერ ვხედავ ჩვენი ახალი თაობის ფეხბურთელებში. ჩვენ თბილისში თუ წავაგებდით, მეორე დღეს ქალაქში არავითარ შემთხვევაში არ გამოვდიოდით. შინ ვიჯექით. გრცხვენოდა ჩვენი გულშემატკივრებისა, რომ გული ვატკინეთ“.

სწორედ ამიტომაც, თავისი საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამო აჩუქა რამაზ ურუშაძემ ფეხბურთის მოყვარულებს უამრავი, ლამაზი წუთი და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა სახელოვან ქართველ მეკარეთა შორის.

**ილია მხეიძე**



ურუშაძე მაღალ ბურთებზეც საიმედოდ თამაშობდა

სარბიელის არქივიდან



მზტ — სპლიტი: მაკედონიელი მირზა კურტოვიჩი (7) ხორვატთა მარკ მილერის შეჩერებას ცდილობს

## საპორტას თასი. ჯგუფური ეტაპი. VII ტური. 10-11 ნოემბერი

### A ჯგუფი

ეშტრელა (პორტუგალია) — პოლზელა (სლოვენია) 57:60; ჩერნო მორე (ბულგარეთი) — სონი (იტალია) 85:87

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კალევი | 7 | 5 | 2 | 538:469 | 12 |
| სონი | 7 | 4 | 3 | 510:487 | 11 |
| პოლზელა | 7 | 4 | 3 | 472:489 | 11 |
| ატლეტასი | 7 | 3 | 4 | 499:518 | 10 |
| ეშტრელა | 7 | 3 | 4 | 489:508 | 10 |
| ჩერნო მორე | 7 | 2 | 5 | 524:561 | 9 |

VIII ტური. 17.11: სონი — ატლეტასი, პოლზელა — კალევი, ეშტრელა — ჩერნო მორე

### B ჯგუფი

მზტ (მაკედონია) — სპლიტი (ხორვატია) 71:69; ტელეკომი (თურქეთი) — მლეკარნა (ჩეხეთი) 89:72 სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — შოლე (საფრანგეთი) 63:62

სლოვაკოფარმა: ონდრუშკა (2), ბერძენიშვილი, ჩერნიცკი (2), კუზნეცოვი (16), მიჩუდა (2), რისტანოვიჩი (21), სირტაუტასი (13), საბო (2), ზადრავეცი (5)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შოლე | 7 | 5 | 2 | 566:470 | 12 |
| ტელეკომი | 7 | 5 | 2 | 547:497 | 12 |
| სლოვაკოფარმა | 7 | 4 | 3 | 513:522 | 11 |
| სპლიტი | 7 | 3 | 4 | 547:536 | 10 |
| მზტ | 7 | 2 | 5 | 520:558 | 9 |
| მლეკარნა | 7 | 2 | 5 | 524:634 | 9 |

VIII ტური. 17.11: შოლე — ტელეკომი, სპლიტი — მლეკარნა, მზტ — სლოვაკოფარმა

### C ჯგუფი

პამესა (ესპანეთი) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 79:63; ბროცენი (ლატვია) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) 86:78; ცეპტერი (პოლონეთი) — ჰაპოელი (ეილათი, ისრაელი) 75:58

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პამესა | 7 | 7 | 0 | 571:482 | 14 |
| ცეპტერი | 7 | 4 | 3 | 507:485 | 11 |
| ბუდუჩნოსტი | 7 | 4 | 3 | 525:538 | 11 |
| ბროცენი | 7 | 3 | 4 | 571:583 | 10 |
| ჰაპოელი | 7 | 2 | 5 | 558:583 | 9 |
| სენტ პიოლტენი | 7 | 1 | 6 | 463:524 | 8 |

VIII ტური. 17.11: ბუდუჩნოსტი — პამესა, ცეპტერი — ბროცენი, სენტ პიოლტენი — ჰაპოელი

### D ჯგუფი

აეკ (საბერძნეთი) — ტოპო (ფინეთი) 72:60; ატომერომუ (უნგრეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 64:84; პივოვარნა (სლოვენია) — ზაგრები (ხორვატია) 89:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 7 | 6 | 1 | 527:464 | 13 |
| პარტიზანი | 7 | 6 | 1 | 592:523 | 13 |
| პივოვარნა | 7 | 5 | 2 | 576:557 | 12 |
| ზაგრები | 7 | 2 | 5 | 516:564 | 9 |
| ტოპო | 7 | 1 | 6 | 524:558 | 8 |
| ატომერომუ | 7 | 1 | 6 | 516:585 | 8 |

VIII ტური. 17.11: პივოვარნა — ატომერომუ ზაგრები — ტოპო, პარტიზანი — აეკ

### E ჯგუფი

კიორმენდი (უნგრეთი) — სტატიბა (ლიტვა) 76:80; თოფაში (თურქეთი) — ბოსნა (ბოსნია) 72:60; შარლერუა (ბელგია) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 66:64

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თოფაში | 7 | 5 | 2 | 548:443 | 12 |
| ჰაპოელი | 7 | 5 | 2 | 528:472 | 12 |
| სტატიბა | 7 | 5 | 2 | 544:550 | 12 |
| შარლერუა | 7 | 4 | 3 | 442:481 | 11 |
| კიორმენდი | 7 | 2 | 5 | 509:573 | 9 |
| ბოსნა | 7 | 0 | 7 | 450:502 | 7 |

VIII ტური. 17.11: სტატიბა — თოფაში, ჰაპოელი — ბოსნა, შარლერუა — კიორმენდი

### F ჯგუფი

არისი (საბერძნეთი) — შიროკი (ბოსნია) 67:57; ანტვერპენი (ბელგია) — ტრირი (გერმანია) 83:78; პლანია (შვედეთი) — ლიმოჟი (საფრანგეთი) 72:83

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| არისი | 7 | 6 | 1 | 573:434 | 13 |
| ლიმოჟი | 7 | 5 | 2 | 513:455 | 12 |
| ანტვერპენი | 7 | 5 | 2 | 526:521 | 12 |
| ტრირი | 7 | 3 | 4 | 504:542 | 10 |
| პლანია | 7 | 1 | 6 | 502:564 | 8 |
| შიროკი | 7 | 1 | 6 | 451:553 | 8 |

VIII ტური. 17.11: ლიმოჟი — არისი, ტრირი — შიროკი. 18.11: ანტვერპენი — პლანია

### G ჯგუფი

ხუვენტუდი (ესპანეთი) — ვენტსპილსი (ლატვია) 78:68; მაზოვეანკა (პოლონეთი) — ულმი (გერმანია) 85:64 სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი) — აპოელი (კვიპროსი) 81:74

სპარტაკი: ასტახოვი (34), ასტანინი (21), დიომინი (4), ფილიპოვი, კონდრატოვი (12), პოტაპოვი (5), ვაშაკიძე (5)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ხუვენტუდი | 7 | 6 | 1 | 588:514 | 13 |
| ულმი | 7 | 6 | 1 | 557:516 | 13 |
| ვენტსპილსი | 7 | 3 | 4 | 580:553 | 10 |
| მაზოვეანკა | 7 | 3 | 4 | 534:555 | 10 |
| სპარტაკი | 7 | 2 | 5 | 551:616 | 9 |
| აპოელი | 7 | 1 | 6 | 474:530 | 8 |

VIII ტური. 17.11: ულმი — ვენტსპილსი, მაზოვეანკა — აპოელი, სპარტაკი — ხუვენტუდი

### H ჯგუფი

ჰანს ფერკერკი (ჰოლანდია) — ბენეტონი (იტალია) 63:80; შტალბაუ (ავსტრია) — უნიქსი (რუსეთი) 89:75; ბიპა მოდა (უკრაინა) — ოვარენშე (პორტუგალია) 84:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 7 | 7 | 0 | 571:449 | 14 |
| უნიქსი | 7 | 4 | 3 | 517:503 | 11 |
| ოვარენშე | 7 | 3 | 4 | 482:482 | 10 |
| ბიპა მოდა | 7 | 3 | 4 | 451:479 | 10 |
| შტალბაუ | 7 | 2 | 5 | 482:553 | 9 |
| ჰანსე ფერკერკი | 7 | 2 | 5 | 375:432 | 9 |

VIII ტური. 17.11: უნიქსი — ბენეტონი, ოვარენშე — ჰანს ფერკერკი, ბიპა მოდა — შტალბაუ

საპორტას თასი
სპარტაკი — აპოელი

# ვაშაკიძის სპარტაკი იოლად იგებს

საპორტას თასის წლევანდელ გათამაშებაში მეორედ იმარჯვა ჩვენებური ირაკლი ვაშაკიძის „სპარტაკმა“. ამით მოსკოველებმა დამარცხებათა ხანგრძლივი სერიაც შეწყვიტეს და მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსიც შეინარჩუნეს. მათი მსხვერპლი G ჯგუფის მაჩანჩალა კვიპროსის „აპოელი“ აღმოჩნდა, რომელთაც სპარტაკელებმა გასვლაზეც მოუგეს ამ შეხვედრის ვაშაკიძისეული კომენტარი ამგვარია:

- კვიპროსელები უპრობლემოდ დავამარცხეთ. მთელი თამაში ვიგებდით. დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე ოცი ქულითაც დავწინაურდით, თუმცაღა ბოლოს ცოტა მოვეშვით და საბოლოოდ შვიდი ქულით ვიმარჯვეთ.

**- ოქმის მიხედვით თუ ვიმჯელებთ არცთუ შედეგიანი ყოფილხარ. სხვა დროს მეტ ქულებს აკეთებდი, თუმცა ბევრიც არ გითამაშია.**

- სულ თვრამეტი წუთი ვითამაშე და ხუთი ქულა გავაკეთე. ეს იმიტომაც მოხდა, რომ მოწინააღმდეგე არცთუ ძლიერი იყო და მწვრთნელს ვთხოვე, ძალიან არ დავეტვირთე. მანაც გამიგო და ნაკლები მათამაშა.

**- რა იყო, რამეს ხომ არ უჩივი? დაღლილობა ხომ არ შეგეპარა?**

- სიმართლე გითხრათ, მართლა გადავიღალე და თავს ცუდად ვგრძნობ. ხუმრობა ხომ არაა ამდენი თამაშები, თითქმის ყოველ მეორე დღეს გვიწევს. გადავწყვიტე, ცოტა დავისვენო. თანაც ახლა ნაკრების შეხვედრები ახლოვდება და მინდა კარგად მომზადებული შევხვდე.

**- ნაკრები ახსენე და შენ როდის შეუერთდები ეროვნულ გუნდს?**

- დღე — დღეზე თბილისიდან პასპორტი და ვიზა ჩამომივა. ჩვიდმეტში საპორტას თასზე ესპანურ „ხუვენტუდს“ ვხვდებით და მეორე დღესვე ისრაელში გავფრინდები. ფაქტობრივად, სამი დღე დამიგვიანდება, ჩვენები ხომ იქ თხუთმეტში ჩადიან.

საპორტას თასი
სლოვაკოფარმა — შოლე

# ბერძენიშვილის იღბლიანი დებიუტი

მართლაც რომ იღბლიანი გამოდგა დავით ბერძენიშვილის დებიუტი საპორტას თასის წლევანდელ გათამაშებაში. ჩვენებურის „სლოვაკოფარმამ“ ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო. თურქულ „ტელეკომს“ ახლა B ჯგუფის ლიდერი, ფრანგული „შოლეც“ მიაყოლეს და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ამ გამარჯვებაში ბერძენიშვილსაც წვლილი მიუძღვის. თუ წინა შეხვედრა დათომ მთლიანად სათადარიგოთა შორის გაატარა, ახლა მწვრთნელებმა ნდობა გამოუცხადეს და მანაც თერთმეტი წუთი დაჰყო მოედანზე ამით თავად ბერძენიშვილიც კმაყოფილი ჩანდა:

— მართლაც გახარებული ვარ. ბოლოს და ბოლოს მწვრთნელებმა თამაშშიც ჩამრთეს. მართალია, ქულები ვერ მოვაგროვე, მაგრამ, რაც მთავარია, მოვიგეთ. ძალიან პრინციპული შეხვედრა იყო, დაძაბული.

**— წარმომიდგენია, როგორ ინერვიულებდით. თანაც მხოლოდ ქულით მოიგეთ.**

— მატჩი „ტელეკომთან“ წინა შეხვედრის მსგავსად წარიმართა. მაშინაც ბოლო წამებზედა ვიმარჯვეთ. არადა, ოთხი-ხუთი ქულით სულ წინ ვიყავით, მაგრამ „შოლე“ ძლიერი გუნდია, ბოლომდე იბრძოლა. ჩვენც, რომ იტყვიან, გაგვიმართლა, თანაც შინაური კედლები დაგვეხმარა. მაყურებლებმაც ძალიან იგულშემატკივრეს.

მწვრთნელმაც შემაქო. მეტოქის ცენტრების წინააღმდეგ გარჯა მომიწონა და ამიერიდან ბოლომდე გენდობიო, მითხრა.

**— ეგ ყველაფერი კარგი და ახლა ნაკრებზეც ვთქვათ. ამას წინათ გვითხარი, თორმეტში თბილისში ვიქნებიო. ჩამოსვლა არ ხერხდება?**

— მაშინ მეც ასე მეგონა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა. ძალიან მეწყინა, რომ საქართველოში ჩამოსვლის შანსი ხელიდან გავუშვი. მონდაურობა ძალიან მომენატრა, ოჯახი, მეგობრები, მაგრამ რა ვქნა? აქ გუნდს ვჭირდები და მწვრთნელები დარჩენას მთხოვენ. უბრალოდ, თავზე ვერ გადავახტები. სამწუხაროდ, ნაკრებთან ვერც ისრაელში ვიქნები, მაგრამ პრაღაში აუცილებლად ჩავალ. ოც ნოემბერს „სლოვაკოფარმა“ სწორედ ჩეხეთში მიდის ტურნირზე და მეც მას შემდეგ, რაც ორ თამაშში ჩემს გუნდს მივეხმარები, ნაკრებს შევუერთდები.



# კარპოლის შავი დღე

იაპონიაში მიმდინარე ფრენბურთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ქალთა შორის გუშინ ნახევარფინალური შეხვედრები გაიმართა. ზოგი პირველი ადგილისთვის იბრძოდა, ზოგი კი მეხუთესთვის.

იტალიელები და ჰოლანდიელები ერთმანეთს ძალიან კარგად იცნობდნენ, რადგან მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ორჯერ ამხანაგურად ითამაშეს. შეხვედრა ჩრდილოევროპელების უპირატესობით დაიწყო და ისინი თავიდან 5:0 დაწინაურდნენ. მაგრამ იტალიელებმა თავიანთი მე-7 ნომრის, კაჩიატორის საუცხოო თამაშის წყალობით მალევე შეძლეს გარღვევის შეტანა და რამდენიმე წუთში უკვე ისინი გავიდნენ წინ — 10:6. პირველი პარტიაც მათი გამარჯვებით დასრულდა — 15:7. მეორე ხელიც იგივე სცენარით წარიმართა. მეტოქის ჩინებულმა მომწოდებლებმა ჰოლანდიელებს უამრავი პრობლემა გაუჩინეს. ამ პარტიაში საუკეთესონი მელო და გალასტრი იყვნენ და მათმა გუნდმაც 15:4 გაიმარჯვა. ბოლო ხელში კი საკმაოდ დაძაბული და უშეღავათო ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა საბოლოოდ მაინც იტალიამ იმარჯვა — 16:14. „მოხარული ვარ, რომ მოგება შევძელით. მეტოქეს კარგი მომწოდებლები ჰყავს, მაგრამ დაცვაში ბევრი ხარვეზი ჰქონდათ. ამიტომაც ვაჯობეთ“ თქვა შეხვედრის შემდეგ იტალიის მწვრთნელმა ანჯიოლინო ფროჯონიმ.

მომავალი მატჩი იტალიელებს ხორვატებთან აქვთ, რომლებმაც იაპონელების ძლევა შეძლეს. ექსიუგოსლაველებს რომ მშვენიერი გუნდი ჰყავთ, ამას ისიც მოწმობს, რომ აწ უკვე ფინალისტმა ჩინეთმა მათთვის მოგება ხუთპარტიან დაძაბულ მატჩში ძლივს მოახერხა, მეოთხედფინალურ ჯგუფში კი ბალკანელები იტალიას და ბულგარეთს იოლად გაუსწორდნენ. ხორვატთა ნაკრების საუკეთესო მოთამაშე ბარბარა იელიჩია, რომელიც ჯერჯერობით ტურნირის ყველაზე შედეგიანი ფრენბურთელიცაა და თუ პირველობა არ დათმო, ჯილდოდ 50 ათას დოლარსაც მიიღებს. აზიელებმა თამაში მეტოქის შეცდომების გამოყენებაზე ააგეს, ისევე როგორც ჩინელებმა რუსების წინააღმდეგ, მაგრამ ხორვატები, რუსთაგან განსხვავებით, თითქმის არ ცდებოდნენ. „ბედნიერი ვარ დღევანდელი მოგებით. იაპონია კარგი გუნდია, მეტად გამოცდილი და დაცვაში საუცხოოდ თამაშობს, მაგრამ გამარჯვების მისაღწევად თავდასხმაშიც ისევე კარგად უნდა გაისარჯო, როგორც დაცვაში“ — მეტოქეებს ნაკლზე მიუთითა ხორვატთა კაპიტანმა ირინა კირილოვამ.

ჩინეთი-რუსეთის მატჩის ბოლოს ოსაკას დარბაზში რომ ვინმე შესულიყო და გუნდების ვინაობის უცოდინრად ტაბლოსთვის შეეხედა, ალბათ, იფიქრებდა, ძალიან ძლიერი ძალიან სუსტს ხვდებაო — 15:4, 15:4, 13:2! მაგრამ ჩინეთი ვინმე უსუსურს კი არ უგებდა, არამედ რუსეთს, რომელსაც ცოტა ხნით ადრე ბევრი სპეციალისტი კუბელთა დამარცხების შემძლედაც სახავდა. რა მოხდა? აზიელები თამაშობდნენ საუცხოოდ, თუ რუსები ვერ იყვნენ სათანადო სიმაღლეზე? ალბათ, ეს ორივე აზრი მართალია. ჩინელებს გუშინ ყველაფერი გამოსდიოდათ, რუსებს კი — არაფერი. კარპოლის შეგირდები მხოლოდ ერთი დაფარების გაკეთებას ახერხებდნენ დროის იმ მონაკვეთში, რომელშიც სხვა დროს ამ ილეთს თხუთმეტჯერაც იოლად შეასრულებდნენ. ბოლოსკენ სლავები ცოტა გონს მოვიდნენ და ზედიზედ შვიდი ქულაც მოიგეს, მაგრამ მწარე მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ — 0:3 (4:15, 4:15, 9:15). „საშინლად ვითამაშეთ. ჩვენი ფრენბურთელების უმრავლესობა ძალიან ახალგაზრდაა და თავდაჯერება და გამოცდილება აკლია. ბოლო პარტიაში ვასილევსკაიამ კი ითამაშა კარგად, მაგრამ გოდინას და სოკოლოვას შეცდომებმა დაგვღუპეს“ — რუსთა თავკაცი ნიკოლაი კარპოლი თავის მოთამაშეებს მატჩის შემდეგ, ალბათ, გვარიანად შეახურებდა, ისეთი ნერვებაშლილი იყო.

კუბისა და ბრაზილიის მატჩი გუშინ გამართული თამაშებიდან ყველაზე ხანგრძლივი გამოდგა. ორსაათიანი დაძაბული ბრძოლის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მსოფლიოს ჩემპიონები გავიდნენ. ბრაზილიელი ქალები თავს კარგად იცავდნენ და ფრენბურთის დიდოსტატებთან პირველი პარტია მხოლოდ 10:15 დათმეს. მეორე ხელში კი მოედანზე საუკეთესო მათი მერვე ნომერი ბაროსი იყო, ვინც სამი მოწოდება პირდაპირ ქულად აქცია და კუბელებს სხვა ბევრი თავსატეხიც გაუჩინა. ყველაზე მეტად სწორედ მისი დამსახურებაა, სამხრეთამერიკელებმა ანგარიში რომ გაათანაბრეს. შემდეგი ორი პარტიის მოგება კი მაინც კუბელებმა შეძლეს და ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში დღესაც სწორედ ისინი არიან მთავარი ფავორიტები. „გამარჯვება ძალიან გაგვიჭირდა. ბრაზილიის ნაკრებს კარგად ვიცნობთ და ამ მატჩისთვისაც საფუძვლიანად მოვემზადეთ, რამაც სასურველი შედეგის მიღწევა შეგვაძლებინა. თუ ჩინეთიც დავამარცხეთ, ბედნიერი ვიქნები“ — თქვა მატჩის შემდეგ კუბელთა მწვრთნელმა ანტონიო პერდომომ.

ფრენბურთის სპეციალისტები ფინალში გასვლას რუსეთს და კუბას უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ შეცდნენ. გუშინ კი ყველა მათგანი გაიძახოდა, ოქროს მედლებს კარიბელები დაეუფლებიანო. გამართლდება თუ არა ამჯერად მათი პროგნოზი, „სარბიელის“ მომდევნო ნომერში შეიტყობთ.

**გაიოზ თალაკვაძე**

### ნახევარფინალები

**ჩინეთი — რუსეთი 3:0 (15-4, 15-4, 15-9)**

**კუბა — ბრაზილია 3:1 (15-10, 4-15, 15-11, 15-10)**

### 5-8 ადგილებისთვის

**იტალია — ჰოლანდია 3:0 (15-7, 15-4, 16-14)**

**ხორვატია — იაპონია 3:0 (15-13, 15-5, 15-9)**

### 12 ნოემბერი, ოსაკა

მატჩი მე-7 ადგილისთვის

**იაპონია — ჰოლანდია**

მატჩი მე-5 ადგილისთვის

**ხორვატია — იტალია**

მატჩი მე-3 ადგილისთვის

**რუსეთი — ბრაზილია**

ფინალი

**კუბა — ჩინეთი**




REUTERS ოსაკადან

რუსეთი ჩინურ კედელს შესკდა

ჩოგბურთი

# ზოგს მოსწონს, ზოგს არა


REUTERS მოსკოვიდან

გორან ივანიშევიჩი

მოსკოვი. რუსეთი. კრემლის თასი. დარბაზი, ხალიჩა. საპრიზო 1,15 მილიონი $

მოსკოვში დაწყებულ კრემლის თასზე მომავლის ვარსკვლავად შერაცხულმა მარატ საფინმა (8) თანამემამულეები ვერაფრით გაახარა. 18 წლის რუსმა გამოცდილ ჰოლანდიელ პოლ ჰაარჰუისთან ვერაფერი გაწყო, 3:6, 4:6 წააგო და ყველაფერი ცუდ კორტებს გადააბრალა: „ცხადია, კარიერის საუკეთესო მატჩი არ ჩამიტარებია, მაგრამ საფარიც არ გახლდათ ისეთი, როგორიც უნდა ყოფილიყო."

კიდევ უფრო დიდი მოულოდნელობის ავტორი კი ჰოლანდიელი რაემონ სლუტერი გახდა. 20 წლის ჩოგბურთელი ტურნირზე კვალიფიკაციით მოხვდა, რაკილა კლასიფიკაციაში 313-ეა და აქამდე ATP ტურზე ერთი გამარჯვებაც არ მოუპოვებია. სლუტერმა მეშვიდედ განთესილი ჩეხი დანიელ ვაცეკი 56 წუთში 6:2, 6:4 გაანადგურა და კარიერაში პირველად უწია მეორე წრეს: „ეს მოგება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. სხვების არ ვიცი და კორტი თავად ძალიან მომეწონა, ჩემი თამაშის სტილისთვის ზედგამოჭრილია."

კიდევ ერთი კვალიფიკაციაგავლილის დასამარცხებლად ორი ტაი-ბრეიკი დასჭირდა ტურნირის 1996 წლის ჩემპიონ გორან ივანიშევიჩს. ხორვატს მთელი მატჩის მანძილზე საკუთარი მოწოდება ერთხელაც არ წაუგია, მაგრამ, თავის მხრივ, ვერც მეტოქისას მოუხერხა რაიმე 7:6 (7:5), 7:6 (7:3). „რა მნიშვნელობა აქვს, როგორ მოხვდა ის ტურნირზე — განაცხადა ივანიშევიჩმა მეტოქეზე, რომელიც კლასიფიკაციაში სულაც მოკრძალებულ 852-ე ადგილზე იმყოფება — კორტები ძალიან სწრაფია და ბრეიკის გახერხება, თუ კაცი წესიერად აწოდებს, თითქმის შეუძლებელი."

სამაგიეროდ, ალექს კორეტხამ (1) და ევგენი კაფელნიკოვმა (2) მეტოქეები იოლად დაამარცხეს. რუსმა, რომელსაც ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოსახვედრად „კრემლის თასის" მოგება ან ფინალისტობა სჭირდება, თანამემამულე ანდრეი ჩერკასოვს მოუგო 6:3, 6:4. ესპანელმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ყველას, რომ ბოლო ხანებში თიხნარის გარდა თამაში სხვა საფარზეც მშვენივრად ეხერხება და ბელგიელ იონ ვან ლოტუმს აჯობა 6:3, 7:6 (7:2): „აქ 1996-შიც ვიასპარეზე და ძალიან, ძალიან ცუდადაც. ასე რომ, წლეულს უკვე უკეთეს შედეგს მივაღწიე."

**პირველი წრე: ბაირონ ბლექი (4, ზიმბაბვე) — მარტინ დამი (ჩეხეთი) 6:2, 6:3; ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) — ბოგდან ულირახი (5, ჩეხეთი) 6:4, 6:2; მარკ როსე (6, შვეიცარია) — ჟეფ ტარანგო (აშშ) 6:4, 6:4; გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 7:6 (7:5), 6:4; ანდრეი პაველი (რუმინეთი) — ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია) 7:6 (7:4), 6:2; ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 7:5, 6:3.**

**ავთანდილ სვანიძე**

# ვინ შეახტება ბოლო ვაგონს?

საჩოგბურთო სეზონი დასასრულს მოუახლოვდა. მომდევნო ორი კვირის მანძილზე ჰანოვერში, ნიუ იორკსა და ჰართფორდში კაცები და ქალები ერთეულებისა და წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატებზე დაეჭიდებიან ერთმანეთს.

ყველაზე დიდი დაძაბულობა ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზეა. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ სეზონის ბოლოს კლასიფიკაციის პირველი ადგილისთვის მებრძოლი დუეტის — პიტ სამპრასისა და მარსელო რიოსის მონაპოვარს შორის განსხვავება სულ რაღაც 30 ქულაა და თერთმეტთვიანი მარათონის შემდეგ ფინიშის ხაზს პირველად რომელი გადაკვეთს, სწორედ ამ გერმანულ ქალაქში გაირკვევა.

რიოს-სამპრასის დუელამდე კი გასარკვევი ის არის, ჩემპიონატის ბოლო ორ საგზურს ვინ დაეპატრონება. პატრიკ რაფტერისა და რიჩარდ კრაიჩეკის მუხლის ტრავმებმა ჰანოვერში გამგზავრების შანსი მანამდე ჩამოწერილ ჩოგბურთელებს — ტიმ ჰენმანს, გრეგ რუზეცკის, ევგენი კაფელნიკოვსა და პეტერ კორდას გაუჩინა. კორდას ღვთით ბოძებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად თავი არც კი შეუწუხებია — „კრემლის თასის" ორგანიზატორებს, ავად ვარო, შეუთვალა და იანვრამდე შვებულება აიღო.

სამაგიეროდ, ორი ბრიტისა და სოჭელი ქენიას ბედი უახლოეს სამ-ოთხ დღეში, სტოკჰოლმსა და მოსკოვში გადაწყდება. კაფელნიკოვს მშობლიური ტურნირის მოგება თუ არა, ფინალში გასვლა მაინც სჭირდება აუცილებლად. ამ შემთხვევაში მის ბედს ძაღლი მხოლოდ მაშინ დაჰყეფს, თუ შვედეთის დედაქალაქში ინგლისური ფინალი გაიმართება.

დღეისთვის მდგომარეობა შემდეგია:

| | |
|---|---|
| 1. პიტ სამპრასი | 3703* |
| 2. მარსელო რიოსი | 3670* |
| 3. პატრიკ რაფტერი | 3315 — არ ითამაშებს |
| 4. ანდრე აგასი | 2879* |
| 5. კარლოს მოია | 2819* |
| 6. ალექს კორეტხა | 2798* |
| 7. კაროლ კუჩერა | 2579* |
| 8. რიჩარდ კრაიჩეკი | 2548 — არ ითამაშებს |
| 9. ტიმ ჰენმანი | 2427 |
| 10. გრეგ რუზეცკი | 2379 |
| 11. ევგენი კაფელნიკოვი | 2259 |
| 12. პეტერ კორდა | 2114 |
| 13. გორან ივანიშევიჩი | 1980 |
| 14. ალბერტ კოსტა | 1823 |
| 15. მარკ ფილიპუსისი | 1823 |

ჰართფორდის წყვილების მსოფლიოს ჩემპიონატზე თითქმის ყველაფერი წინასწარაა გარკვეული. ვაკანტურად ერთადერთი, მერვე საგზურია დარჩენილი, თუმცა ჯოშუა ივლსა და ენდრიუ ფლორენტს ჯონსონ-მონტანას გადასწრების შანსი თითქმის აღარც აქვთ.

| | |
|---|---|
| 1. ი. ელტინგი/პ. ჰაარჰუისი | 3964* |
| 2. მ. ბჰუპატი/ლ. პაესი | 3775* |
| 3. ტ. ვუდბრიჯი/მ. ვუდფორდი | 3398* |
| 4. მ. ნოულსი/დ. ნესტორი | 2695* |
| 5. ე. ფერერა/რ. ლიჩი | 2392* |
| 6. ს. სტოლი/ს. სუკი | 2032* |
| 7. ო. დელეტრი/ფ. სანტორო | 1936* |
| 8. ი. ბიორკმანი/პ. რაფტერი | 1932 — არ ითამაშებენ |
| 9. დ. ჯონსონი/ფ. მონტანა | 1927 |
| 10. ჯ. იგლი/ე. ფლორენტი | 1662 |

ჰანოვერისა არ იყოს, ნიუ იორკის „მედისონ სკვერ გარდენში" მოთამაშეთათვის გამოყოფილი საგზურები მასზე რეალურ პრეტენდენტთა რიცხვზე ერთით ნაკლებია. ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ ამას ვერვინ იფიქრებდა, მაგრამ ოპერაციით გამოწვეული ორთვიანი შესვენების შემდეგ შტეფი გრაფმა თავისი პირველივე ტურნირი მოიგო და 22-ედან ერთბაშად მე-17 ადგილზე აინაცვლა. დიდ გერმანელს მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრას ამ კვირაში ფილადელფიის „ადვანტას პირველობაზე" ნახევარფინალში გასვლაც გაუნაღდებს (რისთვისაც შეიძლება მარტინა ჰინგისთან შებრძოლებაც მოუხდეს), თუმცა თუ მის უშუალო კონკურენტთაგან რომელიმე — ამანდა კუტცერი, ირინა სპირლეა ან ნატაშა ზვერევა ადრეულ ეტაპზე წაიფორხილებს, იქნებ მეოთხედფინალიც საკმარისი გახდეს.


შტეფი გრაფი

გრაფის შესაძლო მონაწილეობის გარდა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს ინტრიგას ისიც მატებს, რომ სეზონის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგნობის ბედი შეიძლება სწორედ აქ გადაწყდეს. საჩოგბურთო ტახტის დასაბრუნებლად და ლინდსი დევენპორტის გადასასწრებად მარტინა ჰინგისს ძველი დროის გახსენება და ყველა მეტოქის დაფრენა მართებს.

| | |
|---|---|
| 1. ლინდსი დევენპორტი | 5183* |
| 2. მარტინა ჰინგისი | 4703* |
| 3. იანა ნოვოტნა | 3679* |
| 4. არანჩა სანჩეს ვიკარიო | 3363* |
| 5. ვინუს უილიამსი | 3262* |
| 6. მონიკა სელეში | 2911* |
| 7. მარი პირსი | 2282* |
| 8. კონჩიტა მარტინესი | 2277* |
| 9. პატი შნიდერი | 2158* |
| 10. სანდრინ ტესტუ | 2001* |
| 11. ნატალი ტოზია | 1983* |
| 12. დომინიკ ვან რუსტი | 1965* |
| 13. ანა კურნიკოვა | 1919* |
| 14. ამანდა კუტცერი | 1595 |
| 15. ნატაშა ზვერევა | 1588 |
| 16. ირინა სპირლეა | 1572 |
| 17. შტეფი გრაფი | 1536 |
| 18. სილვია ფარინა | 1397 |
| 19. აი სუგიამა | 1368 |
| 20. სერენა უილიამსი | 1301 |

კაცებისგან განსხვავებით, რომლებიც ერთეულებისა და წყვილების ჩემპიონატებს ერთმანეთისგან ლამის ნახევარი სამყაროს მოშორებით მართავენ, WTA ტურს ორივე პირველობა „მედისონ სკვერ გარდენში" აქვს მოწყობილი. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ის ფაქტი გახლავთ, რომ აქ ძირითადად ერთეულებში წარუმატებლად მოასპარეზე ჩოგბურთელები კი არა, ნამდვილი ვარსკვლავებიც თამაშობენ. აი, მარტინა ჰინგისს კი სეზონის განმავლობაში იმდენი ქულა დაუგროვდა, ნიუ იორკში სულაც ორ სხვადასხვა მეწყვილესთან — იანა ნოვოტნასა და მირიანა ლუჩიჩთან ერთად შეუძლია ასპარეზობა. თუმცა 18 წლის შვეიცარიელი თავის მეორე საგზურს, ალბათ, გულმოწყალედ დაუთმობს კაროლინ ვისსა და იაუკ ბაზუკის.

| | |
|---|---|
| 1. დევენპორტი/ზვერევა | 3381* |
| 2. ჰინგისი/ნოვოტნა | 2892* |
| 3. რეიმონდი/სტაბსი | 2332* |
| 4. ფუზე/ტოზია | 2082* |
| 5. მარტინესი/ტარაბინი | 1508* |
| 6. ლიხოვცევა/სუგიამა | 1454* |
| 7. კურნიკოვა/ნეილანდი | 1420* |
| 8. ჰინგისი/ლუჩიჩი | 1228 |
| 9. ბაზუკი/ვისი | 1216 |
| 10. რუანო-პასკუალი/სუარესი | 951 |

** აღნიშნულია ჩემპიონატებზე მოხვედრილი ჩოგბურთელები*

ხელბურთი

**ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში სამ დღეს გასტანა ხელბურთელ ვაჟთა მეცხრე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრებმა, რომელთა გამოც კომენტარი „სტუ-ქარიშხალას" მთავარ მწვრთნელს ზაზა დოლიძეს ვთხოვეთ**

# ძველი სახელი კარგია, დიდება — უკეთესი

## ხელბურთელები გიორგობას თელავში შეხვდებიან

— დებულების თანახმად, მონაწილე გუნდები ორ ქვეჯგუფად დაიყვნენ. თითოეულში ოთხ-ოთხი გუნდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირველ ქვეჯგუფში უსახსრობის გამო ვერ შეძლო ჩამოსვლა ქუთაისის გუნდმა. ჩვენი ინფორმაციით, ქუთაისელებს თელავში, ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩებზე ვიხილავთ. თელავში თამაშები 20-24 ნოემბერს გაიმართება და ქუთაისელებიც, ალბათ, გამოტოვებულ შეხვედრებს იქ ჩაატარებენ. ქუთათურთა არყოფნაში პირველი ქვეჯგუფის გუნდებმა ორ-ორი თამაში გამართეს, მეორე ქვეჯგუფისა კი სამ-სამი. ტექნიკური უნივერსიტეტის ძირითადმა გუნდმა 60-იანი წლების სახელი დაიბრუნა — „სტუ-ქარიშხალა". მათ ორივე შეხვედრა მოიგეს და ქვეჯგუფშიც ლიდერობენ. „სტუ-შევარდენის" სახელით ჩემპიონატზე ტექნიკური უნივერსიტეტის ახალგაზრდული გუნდი ასპარეზობს (1978-80 წლებში დაბადებულები). ამ ბიჭების ცალკე გუნდად თამაში ჩემპიონატზე შემთხვევითი არ არის. ისინი ახალგაზრდული ნაკრების ბირთვს შეადგენენ. მათ ხომ მომავალი წლის მაისში ბულგარეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მოუწევთ პაექრობა რუს, პოლონელ და მასპინძელი ქვეყნის ახალგაზრდა ხელბურთელებთან. „შევარდენი" მხოლოდ „ქარიშხალასთან" დამარცხდა, ჩემპიონატის დებიუტანტ ზოოვეტის გუნდს კი მოუგო.

მეორე ქვეჯგუფში სამივე შეხვედრაში გაიმარჯვა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა „მამულმა", რომელიც არმიელებს შეუამხანაგდა და ჩემპიონატში „ასკ-მამულის" სახელით გამოდის.

სამ-სამი ქულა აქვთ ბათუმის „მენავთობეს" და ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდ „მართვეს". მეორე ტურის მასპინძლები, თელაველი ავიატორები სამივე შეხვედრაში დამარცხდნენ.

**— რომელი გუნდის თამაშს გამოარჩევდით?**

— საგრძნობლად მოუმატეს „მართვეს" ბიჭებმა. ეს გუნდი ფაქტობრივად კადეტთა ნაკრებია (1981-82 წლებში დაბადებულები). მათი წარმატებები გვაიმედებს, რომ ისინი თავს არ შეირცხვენენ თანატოლთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე.

REUTERS ლოიფუცეიდან

**— როგორც გავიგეთ, ხელბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატი ცოტა მოგვიანებით დაიწყება.**

— მართალია. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ქალების ხელბურთის სკოლის გოგონათა გუნდი ბაქოს საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. დიდი წვალებით გამოვნახეთ სახსრები და 10 გოგონასთან ერთად ორი გამოცდილი ხელბურთელი, ნინო წივწივაძე და ეკა ჟ[...]ჟაშვილი გავამგზავრეთ აზერბაიჯანის დედაქალაქში. ტურნირზე 10 გუნდი მონაწილეობს დსთ-სა და შავი ზღვის აუზის ქვეყნებიდან. აზერბაიჯანელებს ტურნირის ჩატარების დრო შემთხვევით არ შეურჩევიათ. მათი ეროვნული ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშებისთვის ემზადება. ტურნირი ერთ კვირას გასტანს (8-15 ნოემბერი). გოგონები 16-ში დაბრუნდებიან და ქალთა ჩემპიონატიც 18-ში დაიწყება. ქალთა ჩემპიონატის ვადების გადაწევამ ვაჟთა მეორე ტურის მატჩებიც დააგვიანა. ამიტომაა, რომ გიორგობას თელავში მოგვიწევს ყოფნა.

**— ბოლო შეკითხვა, რომელიც ყველაზე მტკივნეულ საკითხს — ფინანსებს შეეხება...**

— მონაწილე გუნდებიდან მხოლოდ ერთმა ვერ შეძლო თანხის შემოტანა, მსაჯებს და მომსახურე პერსონალს გასამრჯელო დროულად მივეცით. მოკლედ, ჩემპიონატი ჩემპიონატს ემსგავსება.

**ზურაბ ტაბატაძე**

6 ნოემბერი

**სტუ-ქარიშხალა (თბილისი) — ზოოვეტი (თბილისი) 40:15 (21:6)**
**მართვე (თბილისი) — მენავთობე (ბათუმი) 28:28 (15:10)**
**ასკ-მამული (თბილისი) — ავიატორი (თელავი) 34:33 (19:15)**

7 ნოემბერი

**სტუ-შევარდენი — ზოოვეტი 40:21 (20:8)**
**მართვე — ავიატორი 36:30 (14:10)**
**ასკ-მამული — მენავთობე 36:28 (19:16)**

8 ნოემბერი

**მენავთობე — ავიატორი 35:30 (17:18)**
**სტუ-შევარდენი — სტუ-ქარიშხალა 17:32 (9:20)**
**ასკ-მამული — მართვე 32:26 (14:13)**

რაგბი

# საფრანგეთი — უელსი: შვიდი ერთზე

ვიდრე „ლეონსიო" — ლევან ცაბაძე ეროვნული ნაკრების მატჩებით იყო დაკავებული, მისმა ფრანგულმა კლუბმა „ნარბონმა" ევროპის კონფედერაციათა თასის ბოლო ტურის მატჩიც გამართა. მისი მეტოქე ფრანგულივე, თანაც ჩემპიონატში კუდში მდევარი „პერიგო" იყო. „ნარბონმა" ეს მატჩი 18:16 მოიგო და ქვეჯგუფში წაუგებლად დაიკავა პირველი ადგილი.

მეოთხედფინალში „ნარბონის" გარდა კიდევ ექვსი ფრანგული კლუბი გავიდა. მათ მეტოქეობას ერთადერთი არაფრანგული გუნდი — უელსის „ქერფილი" გაუწევს. ამ ეტაპზე მეტოქეები ასე დაწყვილდნენ: „ნარბონი — „პო", „ბრივი" — „ქერფილი", „მონფერანი" — „დაქსი", „ბურგუენი" — „აჟანი".

რა შეიძლება ითქვას შანსებზე? აშკარად გაუმართლათ „ბურგუენსა" და „მონფერანს". საფრანგეთის სამ ჯგუფად დაყოფილ ჩემპიონატში „მონფერანს" ყველაზე მეტი ქულა აქვს. „ბურგუენი" თავის ჯგუფში მესამეა, ამათი მეტოქეები კი ცხრილის მეორე ნახევარში იმყოფებიან. თანაც, შინ თამაშობენ. ჯგუფის ლიდერია „ბრივიც", რომელსაც ერთადერთი არაფრანგული გუნდი ერგო. მოგების მეტი შანსიც ალბათ მას აქვს, მით უფრო, ისიც მასპინძელი იქნება, მაგრამ ამ შეხვედრის პროგნოზი მაინც ძნელი საქმეა — უელსური „ქერფილი" იოლად არაფერს დათმობს.

ყველაზე ძნელად გამოსაცნობი მაინც „ნარბონი" — „პოს" შედეგია. ორივე 16-16 ქულით ლიდერობს ეროვნული ჩემპიონატის თავის ჯგუფს(ოლონდ „პო" „ბრივთან" ერთად), ასე რომ, ეს ლიდერთა მატჩია და აქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ამ მატჩში მასპინძელი „ნარბონი" იქნება.

**ირაკლი თამაძე**

ვასწავლი იტალიურს
3-4 თვეში ტელ: 32-08-74

კრივი

# ოსკარი ჩხუბს მოერიდა

განთქმულმა ჩემპიონმა ოსკარ დე ლა ჰოიამ თავისი უახლოესი ბრძოლა გადადო. როდესაც გამოცხადებული ბრძოლის რომელიმე მონაწილე ბრძოლის გადადებას გამოაცხადებს, მიზეზი ერთი უნდა იყოს — ტრავმა. ეს ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ხმაურიც ხშირად ატყდება ხოლმე.

ამჯერადაც ასე მოხდა, რადგან დე ლა ჰოია ვინმეს კი არ უნდა შეხვედროდა, არამედ განელ აიკ კორტის და თანაც ტიტულთა გამაერთიანებელ ბრძოლაში.

საბჭოს (ვბკ) ჩემპიონ ოსკარისა და ასოციაციის (ვბა) ქამრის მპყრობელ აიკის ბრძოლა 21 ნოემბერს უნდა გამართულიყო და ეს ველთერის წონის უდიდეს სანახაობადაც გადაიქცეოდა, მაგრამ დე ლა ჰოიამ ბიგ ბეადან, თავისი საწვრთნელი ბანაკიდან შემოთვალა, მარცხენა თვალის ქუთუთო დამიშავდა და 13 თებერვალს ვიბრძოლოთო.

„მე არ მჯერა მისი" — უთხრა კორტიმ მედიას — „ის მომზადებას ვერ ასწრებს. ფორმაში არ არის. წარამარა ნოკდაუნშია სპარინგისას. ეს დანამდვილებით ვიცი".

ეჭვი მედიამაც გამოთქვა, მითუმეტეს, რომ ბრძოლის გადადების ტაქტიკა სრულიადაც არ არის უცხო „ოქრობიჭად" წოდებული დე ლა ჰოიასთვის. მარტო წელს მან ორჯერ გადადო პატრიკ შარპანტიესთან შეხვედრის თარიღი და ორჯერვე მაჯის ტკივილი მოიმიზეზა.

ასე რომ, 29 ბრძოლაში დაუმარცხებელი 25 წლის ოსკარისა და 34 ბრძოლაში ასევე წაუგებელი 28 წლის აიკის შერკინება გადადებულია.

და საერთოდაც, ველთერის წონაში ბრძოლების გადადება ჩვეულ ამბად ქცეულა. წელს უკვე გადაიდო კორტისა და პარნელ ვიტეკერის, ასევე, ფელიქს ტრინიდადისა და ანდრეი პესტრიაევის შერკინებები.

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ოსკარ დე ლა ჰოიას აღარავინ ენდობა

ძალოსნობა

# ჩინელი ქალი ღონიერია

ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატზე, ფინეთის ქალაქ ლახტიში, 62-კილოგრამიანმა ბერძენმა ათლეტმა ლეონიდას საბანისმა 147,5 კგ აიტაცა და მსოფლიოს რეკორდი დაამყარა, საბანისი აკვრაში 172,5 კილოსაც შესწვდა, ორჭიდში 320,0 კგ დააგროვა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა.

ვიდრე მომავალი მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი ფიცარნაგზე გამოვიდოდა, მანამდე ტაივანელმა ქალებმა ყველას დაუმტკიცეს, რომ „კონტინენტელ" თვისტომებზე ნაკლებნი არ არიან: 58 კგ წონაში კუო პინ ჩუნმა 207,5 კგ-ით აჯობა ყველას, ჩენ ჟუ ლინმა კი 63-კილოგრამიანთა შორის იმარჯვა 225 კგ-ით.

დღეს კი ლახტის ფიცარნაგი ქართველთა ყურადღების ცენტრში მოექცევა — 77 კგ-ში ევროპის წლევანდელი ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანი გიორგი ასანიძე შეეჭიდება შტანგას.



მსოფლიოს ჩემპიონი კუო პინ ჩუნი

ჰოკეი

# რეინჯერები გაზეთებს ტყუილად არ კითხულობენ

NHL

10 ნოემბერი

**ტამპა-რეინჯერსი 2:10**

**1:4 1:3 0:3**

0:1 სამუელსონი 2'06 (1); 1:1 ლანგკოუ 11'18 (3); 1:2 სტივენსი 13'35 (3); 1:3 მალჰოტრა 13'50 (3); 1:4 მაკლინი 18'36 (4); 1:5 სტივენსი 20'25 (4); 1:6 სამუელსონი 23'29 (2); 2:6 ჩიკონე 26'17 (1); 2:7 სავარი 35'46 (1); 2:8 სუნდსტრიომი 45'46 (2); 2:9 სტივენსი 54'44 (5); 2:10 ჰარვი 57'37 (6)

მაინც რა უცნაური გუნდი ყოფილა რეინჯერსი. სანამ ნიუიორკელები პრესამ სასტიკად არ გააკრიტიკა და გენერალურმა მენეჯერმა ტრეიდების საკითხი არ დააყენა, ჰოკეისტები გონს ვერ მოვიდნენ. პირველ 12 თამაშში მხოლოდ 18 გოლი გაიტანეს, ბოლო ორში კი — 16(!). გაირკვა, რომ კლუბს ჩინებული სნაიპერიც ჰყოლია — კევინ სტივენსი, რომელიც თავის დროზე პიტსბურგში ლემიეს მხარდამხარ თამაშობდა, მერე კი ჩრდილში მოექცა.

ნიუიორკელებს პერსპექტიული ახალგაზრდებიც ჰყავთ. ტოდ ჰარვიმ (1+3) ორ მატჩში 7(3+4) ქულა დააგროვა, ხოლო ტორონტოსთან შეხვედრის წინ ფარმკლუბიდან გამოძახებულ მარკ სავარს 1 გოლი და 5 პასი შეუსრულდა. საოცრად შედეგიანი გამოდგა მცველი ულფ სამუელსონი. ასე რომ, ამ დიდ გამარჯვებას ნიუიორკელებმა ფაქტობრივად უეინ გრეცკის გარეშე მიაღწიეს, რომელმაც თავისი ორი პასი თამაშის ბოლოსღა გააზერხა, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მიუხედავად გამარჯვებისა, ნიუიორკელები მაინც სალად აფასებენ მოვლენებს (მათ ტამპაში ბოლო 8 მატჩში პირველად მოიგეს), ფორვარდმა გრეივზმა კი ისიც თქვა, ერთ-ორი მომენტი რომ გაგვეცუდებინა, მოვლენები იქნებ სხვაგვარად განვითარებულიყო.

**ბუფალო — ოტავა 2:2**

**1:2 1:0 0:0 0:0**

0:1 კრავჩუკი 11'23 (1); 1:1 ვული 12'49 (2); 1:2 პროსპალი 17'16 (3); 2:2 ბრაუნი 35'58 (3)

შაბათს ვაშინგტონთან მარცხით გამწარებულმა სტუმრებმა პროსპალის შაიბის შემდეგ ფიცხლად შეუტიეს, მაგრამ დომინიკ ჰაშეკმა მათი 34-ვე დარტყმა მოიგერია. ოტაველებს ანდრეას დაკელი დაუბრუნდათ.

**პიტსბურგი — აილენდერსი 3:2**

**1:1 2:0 0:1**

1:0 მოროზოვი 1'51 (2); 1:1 სმოლინსკი 6'27 (5); 2:1 ლანგი 20'54 (6); 3:1 სტრაკა 31'29 (5); 3:2 ლინდენი 41'54 (6)

დივიზიონის სათავეში მყოფ პიტსბურგს აქამდე შინ წარუმატებლობა დაებედა (+0=3-1). ამან ქომაგები ცოტა გაანაწყენა და „პინგვინთა" თამაშს ბოლო სამი წლის განმავლობაში ყველაზე ცოტა, 10292 კაცი დაესწრო. მასპინძლების გამარჯვების სულისჩამდგმელნი ისევ ჩეხები და რუსები იყვნენ.

**სენტ ლუისი — ჩიკაგო 5:2.**

**2:0 2:1 1:1**

1:0 დემიტრა 8'57 (6); 2:0 ტარჯონი 10'31 (5); 3:0 ტარჯონი 32'35 (6); 4:0 დემიტრა 36'09 (7); 4:1 მორო 38'42 (2); 4:2 მორო 58'22 (3); 5:2 ტარჯონი 59'54 (7)

თამაშის ბედი პავოლ დემიტრასა (2+3) და პიერ ტარჯონის (ჰეთ-თრიქს პასიც დაამატა) ბრწყინვალე დუეტმა გადაწყვიტა.

**ფინიქსი — კოლორადო 1:1**

**0:1 1:0 0:0 0:0**

0:1 ფორსბერგი 3'23 (3); 1:1 ტკაჩუკი 33'24 (7)

მას შემდეგ, რაც ფორსბერგმა გაიტანა, კოლორადოელები ერთობ დამშვიდდნენ (მანამდე, 25 თამაშში შვედი ფორვარდის გოლი კოლორადოს გამარჯვების ასპროცენტიანი გარანტია იყო), მაგრამ „კოიოტები" წლეულს არ ხუმრობენ: ასე კარგად სეზონი ჯერ არ დაუწყიათ (+6=2-2).

**კალგარი — ლოს ანჯელესი 5:4**

**0:2 2:1 2:1 1:0**

0:1 ციპლაკოვი 1'52 (4); 0:2 იოკინენი 11'00 (1); 0:3 რობიტაილი 26'04 (9); 1:3 ფლერი 29'50 (10); 2:3 ბურე 35'55 (5); 2:4 მიურეი 48'42 (6); 3:4 სტილმანი 50'16 (4); 4:4 მორისი 57'32 (2); 5:4 კესელზი 61'12 (3)

ზედიზედ მეოთხე მატჩია, „მეფეთა" რიგებში მიურეი-იოკინენ-რობიტაილის სამეული ბრწყინავს. ამ ხნის განმავლობაში მათ 19 ქულა მიითვალეს. გოლები ოთხივემ გაიტანა, 20 წლის ფინელმა ახალბედამ კი ნჰლ-ში პირველი შაიბა შეაგდო. თუმც სტუმრებმა უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და დამარცხდნენ.

**სან ხოსე — ნეშვილი 2:4**

**0:1 0:2 2:1**

0:1 რონინგი 1'40 (3); 0:2 კრივოკრასოვი 21'46 (8); 0:3 ტერკოტი 34'09 (1); 1:3 რატიე 44'24 (3); 2:3 ზიუზინი 55'46 (2); 2:4 უოკერი 59'48 (2).



REUTERS

ოტაველი შონ მაკიჩერნი (15) და ბუფალოელი აარონ უორდი წაქცეულებიც ფიცხლად იბრძვიან

**სატურნირო ვითარება**

| ატლანტა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 13 | 6 | 4 | 3 | 35:34 | 16 |
| ნიუ ჯერსი | 12 | 7 | 0 | 5 | 25:26 | 14 |
| აილენდერსი | 15 | 7 | 0 | 8 | 36:38 | 14 |
| ფილადელფია | 14 | 5 | 4 | 5 | 34:33 | 14 |
| რეინჯერსი | 14 | 4 | 4 | 6 | 34:38 | 12 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| კაროლინა | 14 | 6 | 3 | 5 | 34:29 | 15 |
| ტამპა | 15 | 6 | 2 | 7 | 38:49 | 14 |
| ფლორიდა | 12 | 4 | 3 | 5 | 27:35 | 11 |
| ვაშინგტონი | 13 | 4 | 3 | 6 | 28:35 | 11 |

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსტონი | 15 | 6 | 3 | 6 | 36:26 | 15 |
| მონრეალი | 13 | 6 | 2 | 5 | 34:33 | 14 |
| ტორონტო | 14 | 6 | 2 | 6 | 41:44 | 14 |
| ბუფალო | 12 | 5 | 4 | 3 | 32:25 | 14 |
| ოტავა | 12 | 6 | 1 | 5 | 39:36 | 13 |
| **ცენტრი** | | | | | | |
| სენტ ლუისი | 13 | 6 | 4 | 3 | 35:28 | 16 |
| დეტროიტი | 13 | 7 | 0 | 6 | 37:20 | 14 |
| ნეშვილი | 13 | 5 | 1 | 7 | 34:39 | 11 |
| ჩიკაგო | 14 | 4 | 2 | 8 | 30:44 | 10 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 11 | 7 | 2 | 2 | 29:23 | 16 |
| ფინიქსი | 10 | 6 | 2 | 2 | 28:16 | 14 |
| ლოს ანჯელესი | 15 | 5 | 3 | 7 | 34:38 | 13 |
| ანაჰაიმი | 12 | 3 | 4 | 5 | 26:27 | 10 |
| სან-ხოსე | 13 | 2 | 4 | 7 | 30:35 | 8 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ედმონტონი | 13 | 8 | 0 | 5 | 46:34 | 16 |
| კალგარი | 14 | 6 | 2 | 6 | 39:40 | 14 |
| ვანკუვერი | 13 | 6 | 1 | 6 | 40:34 | 13 |
| კოლორადო | 14 | 4 | 2 | 8 | 33:45 | 10 |

*ბომბარდირები: იაგრი (პიტსბურგი) 19(5+14); რეკი (მონრეალი) 18(5+13); ფორსბერგი (კოლორადო) 18(3+15); შენაჰანი (დეტროიტი) 17(9+8); ფლერი (კალგარი) 16(10+6); ლინდროსი (ფილადელფია) 16(9+7); გერინი (ედმონტონი) 15(10+5); რობიტაილი (ლოს-ანჯელესი) 15(9+6); ლეკლერი (ფილადელფია) 15(8+7); მესიე (ვანკუვერი) 15(7+8)*

# იოზეფ ბერანეკი კვირის კაცია

ედმონტონელ იოზეფ ბერანეკისთვის გასული კვირა მართლაც იღბლიანი გამოდგა. ნჰლ-ში რამდენიმე უიღბლო სეზონის შემდეგ შინ, ჩეხეთში დაბრუნებულ ფორვარდს „მენავთობეებმა" კიდევ ერთი შანსი მისცეს და კიდეც გაუმართლათ. ცენტრფორვარდმა ტრავმირებულ პლეიმეიკერ დუგ უეიტის ადგილზე ისე კარგად ითამაშა, რომ შეტევას სულ სხვა ელფერი მისცა. გასულ კვირას იოზეფმა 4 თამაშში 7(5+2) ქულა დააგროვა და „მენავთობეების" სამივე გამარჯვებაში ლომის წილი დაიდო. მისი კლუბი ჩემპიონატში ყველაზე შედეგიანი გახდა (46 შაიბა).

**კვირის საუკეთესო ექვსეული**

*მაიკ ვერნონი* (სან ხოსე); *ბორის მირონოვი* (ედმონტონი) — *სკოტ სტივენსი* (ნიუ ჯერსი).

*დმიტრი ხრისტიჩი* (ბოსტონი) — *იოზეფ ბერანეკი* (ედმონტონი) — *მარკ რეკი* (მონრეალი)

**სამველ ღარიბიანი**



იოზეფ ბერანეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია

XII ტური

**ნიურნბერგი 2:2 ბოხუმი**

1:0 ვაისინგერი (20), 2:0 კუკა (46), 2:1, 2:2 კუნცი (44პ, 72პ)

**აინტრახტი 3:1 ფრაიბურგი**

1:0 შნაიდერი (11), 1:1 ვასმერი (23), 2:1 ეპი (36), 3:1 გებჰარდტი (90)

**დორტმუნდი 2:0 დუისბურგი**

1:0 რიკენი (11), 2:0 შაპუიზა (35)

**ჰერტა 0:1 ლევერკუზენი**

0:1 მაიერი (73)

**შტუტგარტი 1:2 ვოლფსბურგი**

1:0 აკპობორი (22), 1:1 პრეგერი (36), 1:2 იუსკოვიაკი (88)

## ჰოლანდია

XIII ტური

**ტვენტე 1:2 ჰერენვენი**

0:1 პაგი (15ს.კ.), 1:1 სტაინმანი (66), 1:2 პალპაცი (90)

**ბრედა 1:2 ნაიმეგენი**

0:1 დე გირი (30), 0:2 იანსენი (39), 1:2 ა. არველაძე (40)

**კამბური 0:0 ალტმაარი**

**მაასტრიხტი 1:3 ფეიენოორდი**

0:1 კონტერმანი (30), 0:2 კრუზი (35), 1:2 პერესი (80), 1:3 ვან გასტელი (83)

**ტილბურგი 3:0 ვალვაიკი**

1:0, 2:0, 3:0 ბომბარდა (14, 74, 84)

**სიტარდი 0:0 გრააფსხაპი**

**აიაქსი 2:1 როდა**

1:0 ვამბერტო (9), 2:0 ბენი (17), 2:1 ვან პუდტი (48)

## საფრანგეთი

XIII ტური

**ლორიანი 0:2 ბორდო**

0:1 პავონი (9), 0:2 ვილტორდი (80)

**ლანსი 3:1 რენი**

1:0 ელუა (4), 1:1 ნონდა (17), 2:1 დებევი (75), 3:1 ვერელი (82)

**მონაკო 3:2 ოსერი**

1:0 ტრეზეგე (50), 2:0 კონჯიჩი (52), 2:1 დენიო (58), 3:1 ტრეზეგე (59), 3:2 კარნო (85)

**ლიონი 2:0 მონპელიე**

1:0 კაველია (48), 2:0 ვიოლო (89)

**სოშო 2:1 ბასტია**

0:1 ნე (6), 1:1, 2:1 ბუჟე (25, 26)

**პსჟ 2:2 მეცი**

0:1 მერიო (30), 1:1 კასტენდოჩი (63 ს.კ.), 2:1 სიმონე (67პ), 2:2 როდრიგესი (75)

**ტულუზი 0:1 სტრასბური**

0:1 ბერტენი (45)

## იტალია

თასის მერვედფინალი

საპასუხო მატჩები

ვენეცია 2:2 (დ.დ.) *იუვენტუსი* (0:0)

*ბოლონია* 2:1 სამპდორია (0:0)

ვიჩენცა 0:1 *უდინეზე* (0:0)

*პარმა* 0:0 ბარი (2:1)

დი სანგრო 1:1 *ინტერი* (0:1)

მილანი 1:1 *ლაციო* (1:3)

## ავსტრია

XVI ტური

აუსტრია 0:0 გრაცერი

რიდი 0:0 ზალცბურგი

შტურმი 2:1 რაპიდი

ტიროლი 1:4 ლინცერი

შტაირი — ლუსტენაუ

*გადაიდო*

## ესპანეთი

თასის საპასუხო მატჩები

ესტრემადურა 0:0 (1:4პ) *ლევანტე* (0:0)

სალამანკა 0:2 *სევილია* (0:0)

*ტენერიფე* 4:0 (დ.დ.) რეიესი (0:2)

სარაგოსა 2:2 *სპორტინგი* (1:1)

*ვალიადოლიდი* 3:2 მალაგა (2:1)

ალავესი 2:2 *ლას პალმასი* (0:0)

*ვილიარეალი* 3:0 ტალავერა (1:0)

*რასინგი* 1:1 ნუმანსია (1:0)

ოვიედო 0:1 *ბადახოსი* (1:3)

*ოსასუნა* 2:0 ლეიდა (1:1)

*დეპორტივო* 3:1 ხერესი (3:1)

*ბენიდორმი* 1:0 ბესაინი (0:0)

## ინგლისი

ლიგის თასის

მერვედფინალი

ლესტერი 2:1 ლიდსი

მანჩესტერი 2:1 ნოტინგემი

არსენალი 0:5 ჩელსი

ევერტონი 1:1 (4:5პ) სანდერლენდი

ნიუკასლი 1:1 (2:4პ) ბლექბერნი




მონაკო — ოსერი. მონაკოელი დიავარა ოსერელების კლოსისა და კარნოს გარემოცვაში



# ისევ ლონგო

ჟანი ლონგოს სიტყვის ქალობისა არაფერი სცხია — ლეგენდარული ფრანგი ველომრბოლი აგერ უკვე ათი წელია, თითქმის ყოველ მსოფლიოს ჩემპიონატზე ამბობს, ეს ჩემთვის უკანასკნელი იქნებაო, მაგრამ ფიცი ერთი აქვს, ბოლო — სხვა.

ორიოდ დღის წინ დიდი სპორტიდან „მეათედ და საბოლოოდ“ წასულმა 40 წლის დიაცმა მექსიკაში კიდევ ერთხელ შეუტია თავისსავე ერთსაათიან რეკორდს, რომელიც 48,159 კილომეტრის ტოლია. ოლიმპიურმა და ათგზის მსოფლიოს ჩემპიონმა სწორედ აქ, მეხიკოს ოლიმპიურ ველოტრეკზე, დაამყარა რეკორდი ორი წლის წინ, მაგრამ ამჯერად უშედეგოდ გაისარჯა.

ლონგო ტექნიკურმა პრობლემებმა დაალალატა — ჯერ, ერთი წრის გავლის მერე წინა საბურავი გაუსკდა, შემდეგ მუხრუჭებმაც უმუხთლა, მესამედ კი 17 წუთში თავად შეწყვიტა რბოლა: „საწყენია, რადგან თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. ეს პრობლემები რომ არა, მწამს, რეკორდსაც დავამყარებდი“.

ამჯერად პენსიაზე გასვლის შესახებ ლონგოს ალარაფერი დასცდენია. ის კი არა, განაცხადა, რეკორდს მექსიკაში ერთხელაც შევეჭიდები, თუ ისევ არაფერი გამომივიდა, გამორიცხული არაა, საფრანგეთშიც შევეცადო იგივესო.



8 ნოემბერს დაიწყო ტრადიციული ტრანსატლანტიკური საოკეანო რბოლა „რომის გზა“. თითო იახტას, სულ 35-ს, თითო ზღვაოსანი მართავს, „რომში“ კი მეზღვაურთა საყვარელი სასმელი იგულისხმება და არა იტალიის დედაქალაქი.


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს



**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია

**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე

**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული

**მთავარი რედაქტორის მოადგილე:** ილია ბაბუნაშვილი

**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:** ვახტანგ ბზიკაძე

**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი

**კალათბურთის განყოფილების გამგე:** მერაბ რატიშვილი

**ინფორმაციის განყოფილების გამგე:** სოსო კოტორეიშვილი

**ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება:** კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე

**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი

**კალათბურთის განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე

**ინფორმაციის განყოფილება:** ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29